93
1920

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოცემა მთავრიშვილის ამხანაგობისა.

პროფესორი ა. ვულფიუსი.

ახალი ისტორია

35-1-111

ნაწილი I.

გადმოთარგმნილი ტრ. ჯაფარიძისა და ს. ცაგერეიშვილის მიერ.

მეექვსე კლასის კურსი

ფასი 120 მ.

ქუთაისი
ნ. ფერაძის და ამხ. სტამბა
1920

93
1920

გამოცემა მთავრიშვილის ამხანაგობისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფესორი ა. ვულფიუსი.

ᲖᲐ 1-11
ᲙᲐ ᲜᲐ ᲛᲐᲚ

ახალი ისტორია

ნაწილი I.

გადმოთარგმნილი ტრ. ჯაფარიძისა და ს. ცაგერეიშვილის მიერ.

მეექვსე კლასის კურსი

საქართველოს სახ. ბიბლიოთეკა
16/XII
შემოვიდა 1940 წ.
1 ცალი
№ 93

ქუთაისი
ნ. ფერაძის და ამხ. სტამბა
1920 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენესანსი ანუ განახლების ხანა.

პირველი თავი.

ჰუმანიზმი.

ჰუმანიზმის წარმოშობა და მისი საერთო დახასიათება

საშუალო საუკუნოებში ხალხთა სულიერ ცხოვრებაში უმთავრეს როლს კათოლიკური ეკლესია ასრულებდა. მაშინდელი ეკლესიის მსოფლმხედველობის დამახასიათებელი თვისება იყო ეგრეთ-წოდებული ასკეტიზმი ე. ი. ქვეყნიურ ცხოვრებაში სიამოვნებისა და სიტკბოების უარყოფა. ქვეყნიური ცხოვრება ფასდებოდა იმდენად, რამდენად ის ამზადებდა მომავალი, ზეციური ცხოვრებისათვის. კათოლიკეთა ეკლესია ცდილობდა სახელმწიფოზე გაბატონებულიყო, თანაც თავისი მოძღვრება და ყოველგვარი მოთხოვნა სავსებით დაეცვა.

ეკლესიის ასეთ ბატონობას ძლიერ შეუშალა ხელი ჯვაროსანთა ომებმა და ისეთი ქალაქების აღორძინებამ, რომელთაც სავაჭრო-სამრეწველო ინტერესები ამოძრავებდა. ლაშქრობის დროს ევროპაში მრავალი ახალი ცოდნა გავრცელდა, რამაც ევროპიელთა გონებრივი ასპარეზი გააფართოვა, ამასთანავე ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ დიდი სიმდიდრე შექმნა და ხალხი აიძულა ქვეყნიური ცხოვრება დაკვირვებით შეესწავლა. დაშორებულ ქვეყნებთან ვაჭრული კავშირის დაწყება ისეარ შეიძლებოდა, თუ წინასწარ გათვალისწინებულ ყოველგვარ დაბრკოლებებს არ გარდალახავდენ, ამიტომაც საჭირო იყო ყოველგვარი ცოდნის შეძენა და უცხო ერების ენისა და ზნე-ჩვეულების შესწავლა.

ვაჭრობა-მრეწველობამ ძლიერ გააფართოვა ასპარეზი ადამიანის ნიჭის გამოჩენისა და გამოყენებისა. ამან კი აიძულა ადამიანი, რომ განვითარებია მთელი თავისი **შემოქმედებითი** ძალები, როგორც არსებობისათვის აუცილებელი იარაღი. ამის მიხედვით იწყეს შესწავლა ადამიანის შინაგანი ცხოვრებისა; ამის გამო ადამიანის პიროვნება განვითარდა; ადამიანი უფრო შეგნებულათ ეჭცეოდა როგორც თავის თავს, ისე ყველაფერს, რითაც ის გარემოცული იყო. საეკლესიო ასკეტიზმი, რომ-

ლიც კაცობრიობას საიქაო ცხოვრებისთვის ამზადებდა ⁄ ზეციერ-ებ-ებ-ებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანტე. **Д**ანტე ფლორენციიდან იყო. პირველი ხანა ცხოვრებისა დანტემ სამშობლო ქალაქ ფლორენციაში გაატარა და ენერგიულ მონაწილეობასაც იღებდა იქაურ პოლიტიკურ ცხოვრებაში; შემდეგ კი მტრებისაგან გაძევებული სამშობლოს გარეთ ცხოვრობდა; გარდაიცვალა 1321 წ. დანტე ოცნებობდა, რომ მთელი ქვეყნები ერები შეერთებული ყოფილიყვენ რომის იმპერატორის ხელქვეით, რომელიც დაამყარებდა მათ შორის წესიერებას და მშვიდობას, რაც საუკეთესოდ ეზრუნველჰყოფდა მათ თავისუფალ კულტურულ განვითარებას. დანტეს აზრით, იმპერატორის ძალა-უფლება დამოკიდებული იყო ღმერთზე და არა პაპზე. პაპი, როგორც ეკლესიის თავი, უნდა ზრუნავდეს ხალხის სულის ცხოვრებაზე, იმპერატორი კი — ქვეყნიურ ცხოვრებაზეო. იმპერატორს ეუფლება ადამიანის სხეული, პაპს კი — სულიო. დანტეს სწამდა, რომ ამ ორ ძალას შეეძლო შეთანხმებულათ განეგოთ მთელი საქრისტიანო მსოფლიო. ეს აზრები მან გამოსთქვა თავის თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „მონარქია“ და დაწერილია იმის გამო, რომ ჰენრიხ მეშვიდემ გაილაშქრა იტალიაზე, რასაც დანტე დიდი აღფრთოვანებით შეხვდა.

დანტეს უმთავრეს ნაწარმოებათ ითვლება პოემა, რომელსაც თვითონ უწოდა „კომედია“, ისტორიაში კი ეწოდება „საღვთო კომედია“. ამ წიგნში დანტემ დაგვისურათა თავისი ზღაპრული მოგზაურობა ჯოჯოხეთსა და სამოთხეში.

ჯოჯოხეთს ის ნახულობს რომაელთა გამოჩენილი პოეტის **ვირგილიუსის** ხელმძღვანელობით, სამოთხეს კი მისი უდროოთ გარდაცვლილი სატრფოს **ბეატრიჩეს** შემწეობით.

მოგზაურების დროს ის ხვდება თავისი და წარსული დროის ისტორიულ მოღვაწეებს, აგრეთვე პაპებსაც, რომელთა წრიდან ზოგიერთები ჯოჯოხეთში მოხვედრილიყვენ. პოემის აზრი ასეთია: ადამიანმა გონების საშუალებით უნდა შეიგნოს თავისი ცოდვები და მათი შედეგები, განსპეტაკდეს სულიერათ და დაუახლოვდეს ქვეყნიურ სამოთხეს, რაც დანტეს შეხედულობით მოთავსებულია იმ მაღალი მთის მწვერვალზე, რომელიც იმყოფება სულთა განსაწმენდელ განყოფილებაში.

განსპეტაკებული გონება, რომლის სიმბოლოც არის ვირგილიუსი, ამას იქით ველარ წაიყვანს ადამიანს. ნამდვილ ზეციურ სამოთხეს და თვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთაებას ადამიანი მისწვდება და იხილავს მხოლოდ ქრისტიანული ქვეყნიური სიბრძნის—საშუალებით, რომლის სიმბოლოთ დანტემ დასახა ბეატრიჩე. საერთოდ, გონება, დანტეს აზრით, მსახურის მოვალეობას ასრულებს. ის გვამზადებს ზეციური ნეტარებისათვის, რაც უმთავრესი მიზანია ჩვენი ქვეყნიური არსებობისა.

დანტეს შეხედულება ცხოვრებაზე და მისი ოცნება ქვეყნებისა და ერების გაერთიანების და მათზე რომის იმპერატორის გაბატონების შესახებ სავსებით გამოხატავს საშუალო საუკუნეთა მსოფლმხედველობას. მიუხედავათ ამისა დანტეს თხზულებებში ბევრი ახალი აზრებიცაა გამოთქმული: 1, თავისი დიდი პოემა მან დასწერა ყველასათვის მისაწვდომ იტალიურ ენაზე. ამით მან შექმნა სალიტერატურო იტალიური ენა, რომელიც მისცა ყველას და არა მარტო სამღვდელოებას, რათა საშუალება ჰქონოდათ გამოეთქვათ თავისი აზრი პოემაში წამოყენებულ საკითხებზე; 2. დანტე თავის პოემაში ამბობს, რომ ის გატაცებულია შთამამავლობაში დიდების სახელით, რასაც ასკეტიზმის თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა; 3. „ღვთაებრივ კომედიასა“ და სხვა თხზულებებში დანტემ გამოიჩინა არაჩვეულებრივი უნარი მით, რომ თავისი სულიერი ბუნება საუცხოოდ გამოარკვია, და ეს კი აშკარად ამტკიცებს მის ღრმა განვითარებას.

პეტრარკა (+1374 წ.) და **ბოკაჩიო** (+1375 წ.).

პეტრარკა ფლორენციელი იყო, მხოლოდ ის აღიზარდა სამხრეთ საფრანგეთში—უმთავრესად ავინიონსა და მის ახლო მდებარე ქალაქებში. პეტრარკა მთელ თავის სიცოცხლეში ცდილობდა თავისი პირადი გრძნობები და აზრები გამოერკვია და ბოლოს თვითონ აღიარა, რომ მისი იდეალი არის დიდება და სიყვარული. მისი სიყვარულის საგანი იყო ერთი ქალი—ლაურა, რომელიც მან შეაქო სატრფიალო ლექსებში, რაც დღეს ავტორის შემოქმედების სასახელო ნაშთს შეადგენს. თავის დროზე პეტრარკა უმეტესად ცნობილი იყო ისტორიული, ფილოსოფიური და გეოგრაფიული ნაწარმოებებით. პეტრარკა ახალგაზდობაშივე გაიტაცა ძველმა მწერლობამ. მთელი მისი ნაშრომები სავსეა იქიდან მოყვანილი ციტატებით და ამონაწერებით. პეტრარკას მეოხებით შეუდგენ ძველი ხელთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწერების შეკრებას, გადაწერას და საზოგადოდ ყოველი ძველ-ნაშთ-ების დაცვას. რომაულ ლიტერატურა—მეცნიერებასთან ერთად პეტრარკას იტაცებდა ძველი რომის სიდიადე; ამიტომაც ხშირად ოცნებობდა რომის განახლება—აღორძინებაზე. რომში მან დიდი სახელი დაიმსახურა და ამიტომ მას კაპიტოლიაში პოეტის გვირგვინი დაადგეს. პეტრარკას სახელი მთელს ევროპაში განთქმული იყო პაპები, იმპერატორი კარლოს მეოთხე, მთავრები და კარდინალები დიდის პატივისცემით ეპყრობოდენ მას. მეგობრები, რომლებთანაც მას ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა, ცდილობდენ ხელი შეეწყოთ და კიდევ მეტათ გაედიდებიათ მისი სახელი. მეგობრებს შორის პირველი ადგილი ბოკაჩიოს ეჭირა.

ბოკაჩიოც ფლორენციიდან იყო. თუ დანტე სახელოვანია, როგორც უდიდესი საეპიკო პოეტი და პეტრარკა, როგორც ლირიკოსი, ბოკაჩიო უდიდესი პროზაიკული მწერალია.

უმთავრეს მის ნაწარმოებში „დეკამერონში“ შეკრებილია რამდენიმე პატარა მოთხრობა. მომთხრობნი არიან შვიდი ფლორენციელი მანდილოსანი და სამი მხედარი, რომლებმაც გადამდები სენის გავრცელების გამო დასტოვეს ფლორენცია. ათი დღის განმავლობაში ყოველი მათგანი თითო მოთხრობას გადმოგვცემს. ამ თხზულებაში ბოკაჩიომ დიდი დაკვირვებით დაგვიხატა მისი დროის იტალიელთა ცხოვრება, დაწყებული საზოგადოების მაღალი წრეებიდან, როგორიც არიან მეფეები და მთავრები, დაბალ გლეხთა ბანაკამდი.

ამასთან ერთად ბოკაჩიომ სასტიკათ გაჰკიცხა თანამედროვე საზოგადოების სხვადასხვა ბიწიერება და ცუდი მხარეები. უმთავრესათ ის შეეხო სამღვდელოებას, განსაკუთრებით კი ბერებს. „დეკამერონში“ ბერები არიან დასახული გარყვნილებისა და სასაცილო ამბების გმირებათ.

ბერების გაკიცხვით ბოკაჩიომ გაკიცხა მთელი ასკეტური იდეალი და თვითონ კი დამცველი იყო წესიერი და რიგიანი სიამოვნებისა ქვეყნიურ ცხოვრებაში. გარდა „დეკამერონისა“‘ ბოკაჩიოს ეკუთვნის მთელი რიგი რომანებისა, რომელშიც იგი სიყვარულს გვიხატავს.

ზოგიერთ მათგანში დიდი ხელოვნებით ხატავს არა მარტო გარეგან შემთხვევებს, არამედ ადამიანთა შინაგან განწყობილებასა და გრძნობებს. თავისი ცხოვრების მეორე ნახევარში ბოკაჩიომ პეტრარკას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავლენით მეცნიერებას მიჰყო ხელი და შეადგინა ლათინური ენისა და ამ-
დენიმე წიგნი ისტორიული და გეოგრაფიული შინაარსისა. არც პეტრა-
რკამ და არც ბოკაჩიომ არ იცოდენ ბერძნული ენა, მაგრამ მისი ცოდ-
ნის დიდ საჭიროებას კი აშკარად გრძნობდენ, რადგან უამისოთ საფუ-
ძვლიანათ შესწავლა უძველესი დროისა შეუძლებელი იყო. მეთოთხმეტე
საუკუნის ბოლოს იტალიაში მოვიდენ სწავლული ბერძნები და მათი
გავლენით ბერძნული ენის შესწავლა თანდათან გავრცელდა.

მეთუთხმეტე საუკუნის ჰუმანიზმი.

ბერძნული ენის შესწავლამ იტალიის განათლე-
ბული საზოგადოების წინაშე გადაშალა არაჩვეულებ-
რივი სიმდიდრე ბერძნული პოეზიისა, ფილოსოფიისა და მეცნიერებისა.

ბევრი ისე გაიტაცა კლასიკურმა სიძველეებმა, რომ სავსებით დაე-
მორჩილენ მას და მოინდომეს, მთელი თავისი ცხოვრება ძველ გე-
მოზე მოეწყოთ. ზოგიერთი გატაცებული ჰუმანისტი უარყოფით უყუ-
რებდა იტალიურ ენას და ლიტერატურას — და განათლებული ადა-
მიანის ღირსათ მარტო ლათინურსა და ბერძნულს სთვლიდა. ამის მიხედ-
ვით იტალიური პოეზია და ლიტერატურა თანდათან აითვალისწუნეს,
ამ შემთხვევაში თვით დანტეს, პეტრარკას და ბოკაჩიოს ნაწარმოებნიც
გამონაკლისს აღარ შეადგენდა. ამბობდენ, რომ მათ თხზულებებში ლა-
თინური ენის ცოდნა და მშვენიერება სავსებით არ არის დაცულიო. გან-
ვითარდა ერთგვარი მიბაძვითი პოეზია და ლიტერატურა, სადაც ავტო-
რები ცდილობდენ, რაც შეიძლებოდა, ძველი ნიმუშების მზგავსი რამ შე-
ექმნათ.

ასეთ გატაცებას თავისი კარგი მხარეებიც ჰქონდა. მთელ იტალიაში თავგა-
მოდებით დაუწყეს ძებნა ძველ ნაწერებს, ხელოვნების ნაშთებს, ოჯახის ნივ-
თებს დ სხვას. ამ საქმეს მრავალმა პირმა მთელი თავისი საცხოვრებელი შესწი-
რა. აღმოჩენილ დ შეკრებილ ხელნაწერებს დაკვირვებით ასწორებდენ, ადა-
რებდენ ერთი მეორეს და მერე სწერდენ. საბერძნეთის მწერალთა ნა-
წარმოებს ლათინურ ენაზე თარგმნიდენ. ძველი მწერლების საფუძვლიანი
შესწავლის მეოხებით შეადგინეს ახალი გრამატიკები და სახელმძღვანე-
ლოები ძველი ენების წარმატებით შესასწავლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათინური ენის საუკეთესო მცოდნეთ ითვლებოდა **ლავრენტი ვალლა**. გარდა ამისა, მან ზედმიწევნით იცოდა ისტორია და კანონმეტყველება; მან დაამტკიცა სიყალბე კოსტანტინეს სიგელისა, რომელზედაც რომის პაპები უმთავრესად ამყარებდენ თავის უფლებათა უზენაესობას დასავლეთ ევროპაში.

კლასიკურ სიძველეთა წარმატებით შესწავლას იტალიაში მოჰყვა განვითარება მეცნიერების სხვა დარგებისა, უმთავრესათ ფილოსოფიისა და ისტორიისა. ფილოსოფოსთა შორის ყველაზე მაღლა პლატონს აყენებდენ. გაჩნდა ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც ცდილობდა პლატონის მოძღვრებასა და ქრისტიანობის დაახლოვებას. ამ მიზანს ემსახურებოდა ფლორენციაში სწავლულთა წრე, რომელსაც პლატონის სახელობის აკადემია ეწოდებოდა. აკადემიის მეთაური იყო **მარსილიო ფიჩინო.**

საისტორიო მეცნიერებაც ვითარდებოდა; გაჩნდა რამდენიმე საყურადღებო ნაწარმოები საერთოთ იტალიის ისტორიიდან და ცალკე ზოგიერთი ქალაქების ცხოვრებიდან. ყველაზე უფრო გამოჩენილი ისტორიკოსი მაკიაველი იყო, რომელიც გარდაიცვალა მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში (1527). მეთუთხმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ისევ დაიბადა სურვილი იტალიური ენის შესწავლისა. გაჩნდა ახალი იტალიური პოეზია და ლიტერატურა, რომელიც სარგებლობდა არა მარტო ძველი მწერლობით, არამედ ხალხის ცხოვრებიდან აღებული მასალით, თქმულებებით და სხვა. ამ პოეზიაზე ძლიერი გავლენა ჰქონდა დანტეს, პეტრარკას და ბოკაჩიოს.

იტალიური პოეზია განსაკუთრებით განვითარდა ფლორენციაში.

იტალიის მდგომარეობა საშუალო საუკუნის ბოლოს; ფლორენცია, ვენეცია, მილანი, რომი და ნეაპოლი.

ფლორენციაში მეთოთხმეტე საუკ. მიწურულში თავისი სიმდიდრით და გავლენით მედიჩის ოჯახი იყო ცნობილი. მეთუთხმეტე საუკუნეში ამ ოჯახს ხელში ჩაუვარდა მთელი ქალაქის ძალა-უფლება, თუმცა რესპუბლიკანური წესწყობილება გარეგნულათ მაინც არსებობდა. მედიჩის ოჯახი განსაკუთრებით სახელოვანი შეიქნა ლავრენტი დიდებულის დროს. (+1492). ლავრენტი ღირსეული დამფასებელი იყო ხელოვნების და მეცნიერებისა, თანაც დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტური ნიჭით იყო აღჭურვილი. მის სასახლეში მუდამ თავშეყრილი იყვნენ იმ დროის სწავლულები, მხატვრები და პოეტები, ბინა კი ავსილი იყო ძველი იტალიური ხელოვნების იშვიათი ნაწარმოებით, წიგნებითა და სხვა. აქაც და იტალიის სხვა ნაწილებშიაც ხუროთმოძღვრება, ქანდაკება და მხატვრობა ზედმიწევნით განვითარდა. საუკეთესო ხანა ხელოვნების განვითარებისა იყო დასაწყისი მეთექვსმეტე საუკუნისა, როდესაც მოქმედებდენ ხელოვნების ბუმბერაზები: **ლეონარდო და-ვინჩი, ბრამანტე, რაფაელი** და **მიქელ-ანჯელო.**

იტალიის სხვა მოზრდილ ქალაქებში იგივე იყო, რაც ფლორენციაში. ქალაქების ძალა-უფლება გადადის კერძო პირების ეგრეთ-წოდებული **სენიორების** ხელში, ძველი რესპუბლიკანური წესწყობილება კი თავის მნიშვნელობას თანდათან ჰკარგავს. ეს სენიორები უმეტეს შემთხვევაში იყვნენ დაქირავებული ჯარის ყოფილი მეთაურნი ეგრეთ-წოდებული **კონდოტიერები.**

სამხედრო სამსახური ხელს არ უშლიდა მათ, რომ იგინი ხელოვნების ნაწარმოებითა და მეცნიერებით გატაცებულიყვენ, პირიქით ბევრი მათგანი ნამდვილი მეცენატები იყვნენ (მფარველი მეცნიერებისა და ხელოვნებისა).

სენიორთა შორის თავისი ძლიერებით და გავლენით პირველი ადგილი ეჭირა **ვისკონტის** ოჯახს, რომელიც ფლობდა ქალაქ მილანს, შემდეგ კი მისი ადგილი **სფორცის** ოჯახმა დაიჭირა. სენიორები, რომელნიც ძალით ჩაიგდებდენ ხელში ძალა-უფლებას, მის შესარჩენათ ისევ ძალას ემყარებოდენ და მიზნის მისაღწევათ ყოველგვარ საშუალებას ხმარობდენ. ზოგიერთი მათგანი მეტისმეტი მკაცრი და ზნედაცემული იყო.

რესპუბლიკანური წესწყობილება მხოლოდ გენუასა და ვენეციაში იყო დარჩენილი. მაგრამ აქაც გავლენა და მთელი ძალა-უფლება რამდენიმე ოჯახის ხელში იყო, რომლებიც თავის უპირატესობას უკმაყოფილოთა და მეამბოხეთაგან თავგამოდებით იცავდენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვენეციას, რომელსაც ეკუთვნოდა მთელი რიგი კუნძულებისა (კიპროსი, კრიტოსი, ევბეა და სხვა) და გამაგრებული ადგილები ხმელთაშუა ზღვაზე. ვენეციას დიდი სახელმწიფონიც ანგარიშს უწევდენ, ვინაიდან მას კარგი ჯარი და მაშინდელი დროისთვის მოზრდილი სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედრო ფლოტი ჰყავდა. ამ სიმდიდრეს ვენეცია განსაკუთრებით ვაჭრობით იძენდა, რომელსაც ის აწარმოებდა საერთოთ მთელ აღმოსავლეთთან და კერძოთ ინდოეთთან. ინდოელებთან ვაჭრობას ვენეციელები არაბების საშვალებით აწარმოებდენ.

მიუხედავათ ამისა, მეთუთხმეტე საუკუნეში ვენეციის ასეთ მდგომარეობას საფრთხეს უმზადებდა თურქების გაძლიერება აღმოსავლეთ ქვეყნებში და აგრეთვე ინდოეთის საზღვაო გზის აღმოჩენა.

სათავეში ვენეციის რესპუბლიკას ამორჩეული მეფე ეგრედ წოდებული **დოჟი** უდგა. მისი უფლება, რაც შეიძლება, შეზღუდული იყო არისტოკრატიისაგან. უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მას, არამედ ათი კაცისაგან შემდგარს საბჭოს, რომელსაც წარჩინებული ოჯახები ირჩევდენ.

სამხრეთი იტალია და სიცილია ცალკე სახელმწიფოს შეადგენდა, სადაც მთავარ ქალაქათ ნეაპოლი ითვლებოდა. მეთუთხმეტე საუკუნეში აქ გამეფდა არაგონელთა გვარის მეფე ალფონსი.

ალფონსი იმ დროის მიხედვით დიდ მფარველობას უწევდა ხელოვნებასა და მეცნიერებას.

ამავე საუკუნის ბოლოს ნეაპოლისა და სიცილიის სახელმწიფოს ისპანელები დაეპატრონენ. ეს მოხდა მეფე ფერდინად კათოლიკეს მოხერხებული პოლიტიკის წყალობით.

აპენინის ნახევარკუნძულის შუა ნაწილი საეკლესიო ანუ პაპის ოლქს ეჭირა. თუმცა პაპის უფლებას ძლიერ ავიწროებდენ თავისნება ფეოდალები, რომლებიც ისხდენ გამაგრებულ კოშკებში და პაპებს ხშირათ აშკარათ წინააღმდეგობას უწევდენ. მეთუთხმეტე საუკუნეში პაპები ცდილობდენ საეკლესიო ოლქის ნაწილებისგან შეექმნათ თავისი ნათესავებისთვის სამემკვიდრო სამთავროები; ამ მიზნით პაპები ხშირათ საეკლესიო ინტერესებსაც კი ივიწყებდენ.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევდა პაპი **ალექსანდრე მეექვსე ბორჯია** (1500 წ.); ისიც და მისი შვილი ცეზარიც ცნობილი იყვენ უზნეობით, სიფლიდითა ლ სიმკაცრით.

ალექსანდრე მეექვსის მემკვიდრის იულიო მეორის დროს პაპების პოლიტიკა ცოტა შეიცვალა: უპირველეს სამზრუნველო საგნათ გადაიქცა საეკლესიო ოლქის გაფართოება და გაძლიერება. ნათესავებზე ზრუნვამ თანდათან იკლო.

იულო მეორის ქ განსაკუთრებით მისი მემკვიდრის ლეონ მეათის დროს რომი ჰუმანიზმის უმთავრეს ცენტრათ გადაიქცა. მიქელ — ანჯელო, რაფაელი და სხვა მხატვრები რომში მუშაობდენ და ხელოვნება უკვდავი ნიმუშებით გაამდიდრეს; იტალიელი სწავლულნიც ცნობილი იყვნენ და იზიდავდენ აუარებელ მოწაფეებს და მიმდევრებს. ასე რომ იტალიასა და რომს მთელი დასავლეთი ევროპის სულიერ ცხოვრებაში პირველი ადგილი ეჭირათ, თუმცა ამ საუცხოვო სურათს თავისი ცუდი მხარეც ჰქონდა; პაპები მეტათ გატაცებული იყვნენ პოლიტიკური, მეცნიერული და ლიტერატურულ-მხატვრული ინტერესებით და საეკლესიო საქმეებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ, ამიტომაც ეკლესიაში ბევრმა ბიწიერებამ თავი იჩინა.

გამოგონებანი და აღმოჩენანი. მეთოთხმეტე და მეთუთხმეტე საუკუნეში საერთოთ გონებრივი მდგომარეობა დასავლეთ ევროპისა ძლიერ ამაღლდა, რის შედეგიც იყო მთელი რიგი გამოგონებისა. მეთოთხმეტე საუკუნეში გამოიგონეს კომპასი და დაიწყეს თოფის წამლის ხმარება. კომპასის გამოგონებამ გაადვილა ზღვაზე შორს მოგზაურობა, თოფის წამალმა კი სამხედრო საქმეში შეიტანა ძირითადი ცვლილებანი. სასროლი იარაღების გაუმჯობესებამ დაუკარგა მნიშვნელობა რაინდთა ცხენოსან რაზმებს, რომლებიც იკრიბებოდენ მხოლოდ ომის დროს.

ამათი ადგილი დაიჭირა მუდმივმა დაქირავებულმა ჯარმა. დაქირავებული ჯარის შემოღების შემდეგ მეფეებსა და მთავრებს აღარ ესაჭიროებოდათ მათი ვასალების სამხედრო დახმარება, ამიტომაც მეფეების დამოუკიდებლობა თანდათან ძლიერდება.

დაახლოებით 1450 წ. **იოანე გუტენბერგმა** ქ. მაინცში წიგნის ბეჭდვა გამოიგონა.

გუტენბერგამდისაც ხმარობდენ ხის დაფებს, რომლებზედაც ამოწეული (ამობერილი) ასოებით აღნიშნავდენ ხოლმე ტექსტს. გუტენბერგის გამოგონება იმაში მდგომარეობს, რომ მან შემოიღო ხმარებაში ცალკე ასოები, პირველათ ხისაგან გამოჭრილი და შემდეგ კი ლითონისგან ჩამოსხმული, ასე რომ უწინ მთელი ტექსტი უნდა ამოეჭრათ დაფაზე, შემდეგ კი მთელი ანბანი ცალკე ასოებათ ამოსჭრეს და ამნაირათ მოძრავი ასოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით ყოველგვარი ტექსტი შედგებოდა. გუტენბერგის გამოგონებაც კიდევ უფრო გააუმჯობესეს **ფუსტმა** და **შეფერმა**; მათ ჩამოასხეს ასოები მაგარი ეგრეთ-წოდებული სასტამბო ლითონისაგან. წიგნის ბეჭდვა უფრო გაადვილდა მას შემდეგ, რაც ჩვრის ქაღალდის წარმოება გაუმჯობესდა, რადგან ჩვრებისგან გაკეთებული ქაღალდი უფრო კარგი თვისებისა და თანაც იაფი იყო, ვიდრე ტყავისაგან გაკეთებული ეტრატი (пергаментъ), რომელიც წინეთ იხმარებოდა. მეთუთხმეტე საუკ. განმავლობაში წიგნების ბეჭდვა მთელ დასავლეთ ევროპაში გავრცელდა. მისი მნიშვნელობა დიდი იყო. წიგნები წინეთ ძლიერ ძვირი და იშვიათად საშოვნელი იყო, ახლა კი ყველასთვის მისაწდომი შეიქნა, რამაც ყოველგვარი ცოდნა გავრცელა და განათლების ინტერესი გააძლიერა. გარდა წიგნებისა, იბეჭდებოდა მრავალი ცალკე ფურცელი, რომლის საშუალებითაც მდაბიო ხალხი ფრიად საჭირო კითხვებს ეცნობოდა; ასეთი ფურცლები ხშირად დასურათებულიც იყო. ამგვარად ხალხის უმეტესობას საშუალება ეძლეოდა გაეგო საყურადღებო საკითხები და მათ გადაწყვეტაში მონაწილეობა მიეღო. ასეთი იყო, მაგალითად, საეკლესიო რეფორმის საკითხი.

ერთსა და იმავე დროს ამ გამოგონებებთან ხდებოდა ახალი ქვეყნების აღმოჩენა. მეთუთხმეტე საუკუნის განმავლობაში პორტუგალიელებმა რამდენიმეჯერ იმოგზაურეს აფრიკის დასავლეთ ნაპირების მხრივ, რომ ინდოეთის საზღვაო გზა აღმოეჩინათ. ამ მოგზაურობის დროს აფრიკის ახლოს ატლანტის ოკეანეში აღმოაჩინეს კუნძულები: მადეირა, აზორისა და სხვა, მაგრამ ინდოეთს მაინც ვერ მიაღწიეს. მხოლოდ 1498 წ. **ვასკოდე-გამამ** აფრიკის შემოვლით მიაღწია ინდოსტანს. ამაზე ადრე 1492 წ. გენუელმა **ქრისტეფორე კოლუმბმა** განიზრახა ამ მიზნის განხორციელება მხოლოდ სხვა გზით. ვინაიდან ის დედამიწის სიმრგვალეში დარწმუნებული იყო, იგი ფიქრობდა, რომ ევროპიდან დასავლეთისკენ გამგზავრებული ადამიანი ინდოეთს უნდა მისულიყო. ბევრი გაჭირვების შემდეგ მან დაინტერესა ისპანიის დედოფალი იზაბელა, რომელმაც მისთვის 3 ხომალდი დაამზადებია. ინდოეთის მაგიერ კოლუმბი ამერიკას მიადგა. პირველათ მან აღმოაჩინა ბაგამის კუნძულები: ყუბა და გაიტი, შემდეგ კი იამაიკა, მცირე ანტილის კუნძულები და ხმელეთის ნაწილი.

კოლუმბმა არ იცოდა, რომ ახალი ქვეყანა აღმოაჩინა, ვინაიდგან ის უკავშირდება მათ აზიის ნაწილებს. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გამოაშკარავდა, რომ ის სცდებოდა, რადგან აღმოაჩინეს ამერიკის ახალი ნაწილები. ამ ახალ ქვეყანას დაერქვა ამერიკა კოლუმბის ერთ მიმდევარის **ამერიგო ვესპუჩის** სახელწოდებიდან, რომელმაც რამდენჯერმე სამხრეთ-ამერიკის ნაპირების გაყოლებით იმოგზაურა. ამ ნაპირების აღწერა მან დაგვიტოვა თავის ნაწერებში. ამერიკის აღმოჩენა დასრულდა მით, რომ ისპანელმა **ბალბოამ** 1513 წ. მიაღწია წყნარ ოკეანეზე პანამის ყელთან და პორტუგალელმა **მაგელანმა** 1520 წ. აღმოაჩინა სრუტე, რომელიც აერთებს წყნარ ოკეანეს ატლანტისთან.

ამერიკის აღმოჩენამ არსებითად შესცვალა მთელი ევროპის ეკონომიური ცხოვრება. კარჩაკეტილმა ზღვებმა, როგორიცაა ხმელთა შუა და ბალტიის, ვაჭრობაში დაკარგეს თავისი უპირველესობა; მათი ადგილი დაიჭირა ოკეანეს გვერდით მდებარე ქვეყნებმა, როგორიცაა: ისპანია, პორტუგალია, შემდეგ ინგლისი, გოლანდია და საფრანგეთი. ახალი ქვეყნიდან ევროპაში შემოიტანეს მრავალი უცხო საქონელი და აუარებელი ოქრო. ოქროს შეძენამ გამოიწვია ოქროს ფულის ნიშნების გამრავლება და ამით კი გაადვილდა ვაჭრობა-მრეწველობის წარმოება, თუმცა თვალსაჩინოთ ასეთი გავლენა ახალი აღმოჩენებისა ევროპის ცხოვრებას მეთექვსმეტე საუკუნეში უფრო დაეტყო. გარდა ნივთიერი ცხოვრების გარდაქმნისა, ახალმა აღმოჩენებმა გონებრივ ცხოვრებაზედაც დიდი გავლენა იქონია, რადგან ადამიანმა ბევრი ცოდნა შეიძინა. ახალი აღმოჩენებით წარმატების დროს ევროპა სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა; ამ ბრძოლის საგანი იყო იტალია.

ომები იტალიაში. იტალიის ომები გამოიწვია საფრანგეთის მეფის **კარლოს მერვის** იტალიაში გალაშქრებამ 1494 წელს.

კარლოს მერვე შვილი იყო ლიუდოვიკე მეთერთმეტისა და იჩემებდა ნეაპოლიტანურ სამეფოს, რადგან ის 1435 წლამდი ეკუთვნოდა ანჟუის დინასტიას, რომელიც საფრანგეთის სამეფო გვარის მონათესავე იყო. კარლოს მერვემ ნეაპოლი სულ ადვილად დაიპყრო. მისმა გამარჯვებამ გამოიწვია ის გარემოება, რომ საქმეში ჩაერიენ იმპერატორი **მაქსიმი-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანე, ისპანიის მეფე ფერდინანდ კათოლიკი, პაპი, ვენეცია და მილანიის ჰერცოგი **ლიუდოვიკე მავრი**, რომელიც სფორცის ოჯახის მეფილი იყო. ამათმა კავშირმა აიძულა საფრანგეთის მეფე, რომ იტალიას მოშორებოდა. კარლოს მერვის მემკვიდრე **ლიუდოვიკე მეთორმეტე** შეუკავშირდა ფერდინანდ კათოლიკს და მისი დახმარებით ნეაპოლი აიღო, მაგრამ ამას შემდეგ მოკავშირეები წაიჩხუბენ და ისპანელებმა ფრანგები სამხრეთ იტალიიდან გააძევეს. რამდენიმე წლის შემდეგ ლიუდოვიკე მეთორმეტემ განიზრახა დაკარგული ნეაპოლის მაგიერ მილანი შეეძინა, ამისათვის ის შეუკავშირდა ვენეციას, პაპს იულიოს მეორეს და ფერდინანდ კათოლიკს. რამდენიმე გამარჯვების შემდეგ საფრანგეთის ჯარი სასტიკათ დაამარცხა ნოვარესთან მილანის ჰერცოგმა დაქირავებული შვეიცარლებით. ამ სასირცხო დამარცხების სამაგიეროს გადახდა მოინდომა ლიუდოვიკე მეთორმეტის მემკვიდრემ **ფრანცისკ პირველმა** ⁄ მართლაც 1515 წ. მარინიანოსთან მან სრულიად გაანადგურა შვეიცარლები.

მილანი რამდენიმე წლით ფრანგების ხელში გადავიდა. ამ ხანებში მეფე ფერდინანდ კათოლიკე და იმპერატორი მაქსიმილიანე გარდიცვალენ და მათი კუთვნილი მიწები მათ შვილიშვილს **კარლოს პირველს** ისპანელს დარჩა. 1519 წ. კარლოსი აირჩიეს გერმანიის იმპერატორათ კარლოს მეხუთის სახელწოდებით. ამგვარად მემკვიდრეობის ძალით მის ხელში გადავიდა ისპანიის, ბურგუნდიისა და გერმანიის მიწები. ამას გარდა, ის ფლობდა კიდევ სამხრეთ იტალიას, სიცილიას და ამერიკის ახალშენებს. როგორც იმპერატორი კარლოსი იჩემებდა მილანს და ბურგუნდიის ნაწილს, რომელიც საფრანგეთის მეფის ლიუდოვიკე მეთერთმეტის მიერ იყო წართმეული.

ფრანცისკ პირველსა და მეხუთეს შორის შეტაკება აუცილებელი ხდებოდა, რადგან ომს უნდა გადაეწყვიტა — მათ შორის რომელს დარჩებოდა ევროპაში პირველობა. 1521 წლიდან 1544 წ — დე იგინი დროგამოშვებით ომობდენ, ხან ერთი სჯობნიდა, ხან მეორე, ბოლოს ომი კრეპის ზავით დასრულდა; კარლოს მეხუთეს დარჩა მილანი, ფრანცისკ პირველს ბურგუნდია. უპირატესობა მთელ ევროპაში კარლოს მეხუთეს ეკუთვნოდა.

იმ დროს, როცა ხანგრძლივი და თავგამოდებითი ბრძოლა სწარმოებდა იტალიისათვის, იმპერატორი უყურადღებოთ სტოვებდა გერმანიას, სადაც ამ დროს ძლიერი სარწმუნოებრივი მოძრაობა იწყებოდა, რომელმაც დასავლეთ ევროპის ეკლესია დაანაწილა. ამ მოძრაობას ისტორიაში რეფორმაცია ეწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე თავი.

გერმანია მეთუთხმეტე საუკ. ბოლოს და მეთექვსმეტე საუკ. დასაწყისში. ლიუტერანული რეფორმაცია.

გერმანიის მდგომარეობა რეფორმაციის წინ და რელიგიური უკმაყოფილების ზრდა.

მეთუთხმეტე საუკ. ბოლოს და მეთექვსმეტე საუკ. დასაწყისში გერმანიის შინაური ცხოვრება მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. მთელი სახელმწიფო ამ დროს რამდენიმე ერთმეორესაგან განცალკევებულ სამთავროთ და ქალაქის ოლქათ იყო დაყოფილი. იმპერატორის უფლება კი ძალიან სუსტი იყო. მთავრები და რაინდები შურის თვალით უცქერდენ ქალაქების გამდიდრებას. მთავრები ცდილობდენ თავისუფალი ქალაქების დამორჩილებას. რაინდები კი ხშირათ გზებში ცარცვავდენ ქალაქელი ვაჭრების საქონლით დატვირთულ ურმებს.

მიუხედავათ ამისა მთელი რიგი ქალაქებისა მაინც გაიზარდა და მეთექვსმეტე საუკუნეში გონებრივათაც და ნივთიერათაც აყვავდა.

მთავრებსა და რაინდებს შორისაც ცუდი დამოკიდებულობა სუფევდა. რაინდებს სურდათ, რომ მარტო იმპერატორის მორჩილნი ყოფილიყვენ, მთავრები პირიქით ცდილობდენ რაინდები ვასალებათ გადაექციათ და ვასალები ქვეშევრდომათ, ერთი სიტყვით, სურდათ მათი სრული დამორჩილება.

უკმაყოფილონი იყვნენ გლეხებიც. საერო და სასულიერო ქონებათა მეპატრონენი ცდილობდენ თავის ძალა-უფლება გლეხებზე, რაც შეიძლება, გაეფართოებიათ. ხშირათ თავისუფალ გლეხებს ყმებათ ხდიდენ, ყმებს კი მონებათ. აგრეთვე ართმევდენ საერთო მამულს ტყეს, საბალახოს, წყალს და ახდევინებდენ გადიდებულ გადასახადს. მიუხედავათ ამისა, გერმანიაში მეთუთხმეტე—მეთექვსმეტე საუკ. განმავლობაში გლეხები კარგათ ცხოვრობდენ. ზოგიერთ ადგილას გლეხები მდიდრათაც კი იყვნენ, თუმცა უფლებრივი დაჩაგვრა მდიდარ გლეხებშიც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. გლეხთა ამბოხებები, რასაც ადგილი ჰქონდა მეთუთხმეტე საუკუნეში, ცხადათ ამტკიცებდა, რამდენათ აუტანელი იყო მათი მდგომარეობა. ყველა წოდებები მტრულათ უცქერდენ სამღვდელოებას. მთავრებს ისა სწყინდათ, რომ ეკლესია საერო საქმეებში ერეოდა. რაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდებსა და ქალაქებს ის შურდათ, რომ ეკლესიას უპირატესობა ბევრი ნოდა და დიდ სიმდიდრესა ფლობდა.

გლეხებს ის აწუხებდათ, რომ საეკლესიო მემამულენი მათ ნაკლებ შეურაცხყოფას არ აყენებდენ, ვიდრე საერონი. გერმანელი სამღვდელოებაც უკმაყოფილო იყო თავისი მდგომარეობით, განსაკუთრებით პაპის სასახლის გამგეთა თვითნებობით და მაცთური მოქმედებით.

პაპები მძიმე გადასახადებს ადებდენ გერმანელების ეკლესიას, ითვისებდენ თავისუფალ სასულიერო თანამდებობაზე კანდიდატების განწესების უფლებას, სთხოვდენ სასულიერო პირებს თანამდებობაზე დამტკიცებისათვის დიდ სასყიდელს და სხვა. გერმანელმა სამღვდელოებამ არაერთხელ გამოსთქვა განსაკუთრებულ საჩივრებში თავისი უკმაყოფილება, რასაც სხვა წოდებაც მხარს უჭერდა, მაგრამ ამას სასარგებლო შედეგი არ მოჰყოლია. ბევრს იმედი ჰქონდა მსოფლიო საეკლესიო კრებისა, რომელსაც კონსტანცისა და ბაზელის საეკლესიო კრებათა მაგალითისამებრ ყოველი ბიწიერება საეკლესიო ცხოვრებისაგან ბოლოდ გაესწორებია, მაგრამ პაპებს კარგათ ახსოვდათ ამ საეკლესიო კრებების სურვილი პაპის უფლების შეზღუდვის შესახებ და ამიტომ ისინი კრების მოწვევას, რაც შეიძლება, აგვიანებდენ. პაპების ასეთ მოქმედებას ყველა კიცხავდა, მაგრამ ამ გარემოებამ გერმანიაში ხელი შეუწყო ეროვნული გრძნობის განვითარებას, რაც სავსებით მიმართული იყო რომის ბატონობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ. ყველა ამას მიემატა რელიგიური უკმაყოფილებაც, რაც გამოწვეული იყო სამღვდელოების ზნეობით დაცემით. ამას აშკარათ ამბობდენ არა მარტო ურწმუნონი და ეკლესიის მტრები, არამედ ღრმა მორწმუნე კათოლიკენიც. ეკლესიის ზნეობრივი დაცემა აშკარათ იხატებოდა შემდეგში: 1. პაპები, და საერთოდ მთელი სამღვდელოება საერო ცხოვრებით უფრო იყო გატაცებული, ვიდრე სარწმუნოებრივი ინტერესებით. 2. ბევრი სამღვდელო პირი პაპებიდან დაწყებული უბრალო სოფლის მღვდლამდი ზნედაცვმული იყო. 3. პაპების ნებართვით სამღვდელოება ჰყიდდა ინდულგენციას, ესე იგი ფურცლებს, რომლის მყიდველსაც ვითომ მიეტევებოდა ყოველგვარი ცოდვები და საიქიოს ტანჯვა აღარ შეხვდებოდა. 4. ძლიერ განვითარებული იყო ღვთისმსახურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გარეგნული მხარე, რითაც სარწმუნოების შინაარსი და ეროვნული მოქმედება სავსებით დაჩრდილული იყო. ბევრს ეგონა, რომ ამა თუ იმ ცერემონიის გარეგნულათ შესრულება, მარხვის შენახვა, წმინდა ადგილებში სალოცავათ მოგზაურობა და ეკლესიის სასარგებლოთ უხვი შეწირულების გაღება სულის საცხონებლათ საკმაო იყო; ასეთ ყალბ შეხედულებას სამღვდელოებაც ხელს უწყობდა, რადგან სარგებლობდა სხვადასხვა სახით აღებული შეწირულებით.

სამღვდელოება, მიუხედავათ თავისი ზნეობრივი სიმდაბლისა, ცდილობდა ხალხის სულიერ ცხოვრებაზე ძველებურათ ჰქონოდა ბატონობა, ამიტომაც არ უნდოდა, რომ ხალხში თავისუფალი აზროვნება და მეცნიერება გავრცელებულიყო. ამ მხრივ ძალიან ენერგიულათ მოქმედებდენ დომინიკანის ბერები. მათ წინააღმდეგ სამოქმედოთ გამოვიდენ გერმანელი ჰუმანისტები.

გერმანული ჰუმანიზმი. გერმანიის ჰუმანიზმის ისტორიაში პირველი ადგილი ეკუთვნის სამ მოღვაწეს — **იოანე რეიხლინს, ერაზმ როტერდამელს** და **ულრიხ ფონ-ჰუტენს**.

რეიხლინი (1455 — 1522) იმ დროის ერთი გამოჩენილი სწავლული და ენათა მეცნიერი იყო. მან სამი ძველი ენა იცოდა — ლათინური, ბერძნული და ებრაული, ამიტომაც მას „სამ-ენათა საოცრება“ უწოდეს. ებრაული ენა მან შეისწავლა იმ მიზნით, რომ ძველი აღთქმის დედანი გაეცნო, რადგან ის იზიარებდა იმ რწმენას, ვითომც უძველეს ებრაულ ანბანში ინახებოდა საიდუმლოება ღვთისა და ავრეთვე ქვეყნის შექმნისა.

ებრაული ანბანის საიდუმლო მნიშვნელობაზე არსებულ მოძღვრებას ეწოდებოდა „კაბალა“. რეიხლინს ფუჭათ არ ჩაუარა ებრაული ენის შესწავლამ. იმას მოუხდა შებრძოლება კიოლნელ დომინიკანებთან, რომლებსაც მეთაურობდა ერთი მონათლული ებრაელი **პფეფერკონი**, და თხოულობდენ ყველა ებრაული წიგნების მოგროვებასა და დაწვას. რეიხლინს, როგორც მოწინააღმდეგეს, ერეტიკობა დასწამეს და სასულიერო სამსჯავროში (ინკვიზიცია) გასამართლებით ემუქრებოდენ. რეიხლინის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცავათ გამოვიდენ თითქმის ყველა ჰუმანისტები, ვინაიდგან მათ ეროვნული
იცოდენ, რომ რეიხლინის დამარცხებით დომინიკანებს სურდათ თავისუ-
ფალი აზროვნების განვითარება შეეფერხებიათ. ახალგაზდა ჰუმანისტების
ბანაკში დაიწერა უკვდავი სატირა სახელდობ: „ბნელი პირების წერილე-
ბი“, რომელშიაც სასტიკათ იყო გაკიცხული ბერების გაუნათლებლობა
და ზნეობრივი დაქვეითება. ეს წერილები იყო მიმართული ერთი მწერ-
ლისადმი, რომელიც ბერებს იცავდა; წერილების ავტორები ვითომც მწერ-
ლის მიმდევრები და მეგობრები იყვნენ. სატირის მნიშვნელობა იმაში
მდგომარეობდა, რომ წერილის ავტორები ბერების ცხოვრებიდან ისეთ
მხარეებს აქვეყნებდენ, რომელნიც მკითხველებში დაცინვასა ბ ზიზღს იწვევ-
და. ამ წერილების გამოქვეყნებას დიდი შედეგი მოჰყვა; მთელი განათ-
ლებული გერმანია დასცინოდა ჰუმანისტების მტრებს და საზოგადოებრი-
ვი აზრიც ჰუმანისტების მხარეზე იყო.

ებრაული წიგნების შესახებ აღძრულმა დავამ დროებით რეიხლინი
დასახა გერმანული ჰუმანიზმის ცენტრალურ პიროვნებათ, მაგრამ ნამდვილ
მეთაურათ რეიხლინი კი არა—იმ დროის შესანიშნავი სწავლული ერაზმ
როტერდამელი უნდა ჩაითვალოს.

ერაზმ რიტერდამელი (1467—1536) იყო კლასიკური მეცნიერი და
მწერალი, რომელმაც თავის სიცოცხლეშივე დიდი ყურადღება მიიპყრო
თანამედროვე საზოგადოებისა. იმასაც ისეთი სახელი ჰქონდა, როგორიც
ერთ დროს პეტრარკას.

ერაზმმა ზედმიწევნით იცოდა ფილოლოგია. ეს ცოდნა მას უნდო-
და მაღალი მიზნისათვის გამოეყენებია; მას სურდა, გამოერკვია და აღედგი-
ნა ნამდვილი შინაარსი ქრისტიანული სარწმუნოებისა.

უმაღლეს მეცნიერებათ ერაზმი სთვლიდა „ქრისტეს მოძღვრებას“,
რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მრავალ მომაკვდავ პირთა ხელით
იყო ძლიერ შეცვლილი, ალაგ ჩამატებული, ალაგ შეშლილი და საერ-
თოთ ყალბათ წარმოდგენილი. ქრისტიანული სარწმუნოება რომ ყოველ-
გვარი შეცდომებისაგან გაწმენდილიყო, ამისათვის ერაზმმა განიზრახა ქრის-
ტიანობის პირველყოფილი წყაროების ნამდვილი ტექსტი აღედგინა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მიზნით მან გამოსცა შეუცვლელად დედანი ახალი აღთქმისა ლი კომენტარიებით (განმარტებით) ლათინურ ენაზე და წმინდა მამების უმთავრესი ნაშრომნი. თავისი შეხედულება ადამიანის სარწმუნოებრივ მოვალეობაზე ერაზმმა გამოსთქვა „მეგობრულ საუბრებში“, ცალკე კრებულში, რომელშიც მოყვანილია ძველ ბრძენთა და ქრისტიან მწერალთა აზრები, და სპეციალურათ შედგენილ ზნეობრივ კატეხიზმში, რომელსაც უწოდა: „მახვილი ქრისტიანი მხედრისა“. ერაზმი ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანე უმთავრეს ყურადღებას არ უნდა აქცევდეს სარწმუნოების გარეგნული მხარის შესრულებას ე. ი. საეკლესიო წესებს, არამედ ქრისტიანულ სიყვარულს მოყვასისადმი. გათახსირებული და უვიცი საზოგადოება, განსაკუთრებით სამღვდელოება, ერაზმმა გაჰკიცხა თავის შესანიშნავ სატირულ ნაწარმოებში, რომელსაც ეწოდება: „სისულელის ქება“. ერაზმს არ სწამდა, რომ ეკლესიას ზნეობრივათ აამაღლებდა რაიმე ძალით შემოღებული და ხალხის მონაწილეობით გატარებული რეფორმები. ერაზმს ეშინოდა და არც უყვარდა ბრბო. ეკლესიის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მას აუცილებლათ მიაჩნდა განათლებისა და კეთილზნეობის განვითარება. ამ მუხლში მის შეხედულებას არსებითად არ ეთანხმებოდა გერმანული ჰუმანიზმის მესამე წარმომადგენელი — ულრიხ-ფონ-ჰუტენი.

ულრიხ-ფონ-ჰუტენი (1488—1523) იყო ფრანკონელი რაინდის ოჯახის შვილი, ამიტომ მის მოღვაწეობას მუდამ რაინდული მამაცობისა და თვითნებობის ბეჭედი ესვა. ულრიხ-ფონ-ჰუტენმა, როგორც ჰუმანისტმა, მიიღო ენერგიული მონაწილეობა „ბნელ პირთა წერილები“-ს შედგენაში; ასე რომ მეორე ნაწილი ამ კრებულისა უმთავრესათ მისი დაწერილია. ჰუტენს არ აკმაყოფილებდა ჰუმანიურ ასპარეზზე მოღვაწეობა და თავისუფალი მეცნიერების დაცვა. ის გაიტაცა პოლიტიკურმა მიზანმა, განიზრახა გერმანიის განთავისუფლება. რომის ეკლესიის ბატონობისაგან. ასე რომ ის შეიქმნა მედგარი დამცველი და მადიდებელი გერმანიის ეროვნული ღირსებისა. კათოლიკური სამღვდელოების საწინააღმდეგოთ ჰუტენმა დასწერა მთელი რიგი სატირებისა, რომელთა შორისაც უფრო ცნობილი იყო ერთი — სახელდობ „რომის სამება“, სადაც ავტორი პაპის სასახლის გაუმაძღრობასა და გათახსირებას ახასიათებს. ვინაიდგან ჰუტენი სდევნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პაპის ეკლესიას, ის აღფრთოვანებით შეეგება რეფორმაციას ... ხალხში მისთვის ნიადაგი მოემზადებია, გერმანულ ენაზედ დაიწყო წერა. ამგვარათ მის პიროვნებაში გაერთიანდა პატრიოტი და ენერგიული მომხრე ეკლესიის რეფორმისა. თავის იმედებს ჰუტენი იმპერატორზე ამყარებდა. იმპერატორს უნდა დაეცვა გერმანიის ღირსება და მოესპო რომის ბატონობა. ამისათვის საჭირო ძალა და საშუალება უნდა მიეცა რაინდებსა და მათთან შეკავშირებულ ქალაქებს. ჰუტენმა დაივიწყა წოდებრივი უთანხმოება და აღტაცებული ლექსებით მოუწოდებდა რაინდებსა და მოქალაქეებს შეერთებულიყვენ და შეერთებული ძალით დაემარცხებიათ საერთო მტერი — რომი. ჰუტენის მოღვაწეობა შეხვდა რეფორმაციული მოძრაობის დასაწყისს, რომლის პროგრამაც მოითხოვდა ძირითად გარდაქმნას როგორც საეკლესიო წესწყობილებისას, ისე სარწმუნოების მოძღვრებისას. ამ მოძრაობის წინამძღოლი იყო მარტინ ლიუტერი.

მარტინ ლიუტერი (1483—1546) და რეფორმაციის დასაწყისი.

მარტინ ლიუტერი მაღაროს მუშის შვილი იყო. დაიბადა ის საქსონიის ქ. ეისლებენში. ბავშობისას ლიუტერი მოკლებული იყო მხიარულებას. სახლსა და სკოლაში მას მკაცრათ ეპყრობოდენ, პატარა დანაშაულობისთვის კიდევაც სცემდენ. ასეთმა მოქცევამ ბავშში მწუხარე სულიერი განწყობილება შექმნა და მას მოწყენილობა დაეტყო; ამას კიდევ დაერთო დედა მისის მიერ იესო ქრისტეზე ნაამბობი ამბების გავლენა. დედა უსურათებდა ქრისტეს, როგორც შეუწყნარებელ მოსამართლეს, რომელიც ყოველი შეცოდებისათვის, თუნდა უმნიშვნელოც იყოს, პასუხის გებას მოგვთხოვსო. ამგვარი საუბრები ბავშს ძლიერ აწუხებდა, და მუდამ იმას ფიქრობდა, როგორ შეებრალებია თავი ასეთი მრისხანე მოსამართლისთვის. ლიუტერის მამა, თუმცა უბრალო ადამიანი იყო, მაგრამ სურდა შვილისთვის კარგი განათლება მიეცა. მართლაც ლიუტერმა დიდის გაჭირვებით მიაღწია უნივერსიტეტამდი. ის ერფურტის უნივერსიტეტში შევიდა და გულდასმით შეუდგა მეცნიერების შესწავლას. სტუდენტების მხიარულმა და საინტერესო ცხოვრებამ დროებით გაანელა ლიუტერის შიში და მწუხარება იმის გამო, თუ როგორ დაემსახურებია მას ღვთის წყალობა და თავი უზრუნველეყო გასამართლებისაგან. ერთი მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობრის უეცარმა სიკვდილმა და სხვა მძიმე შთაბეჭდილებებმა აუძრა ლიუტერს მწარე ფიქრები, რამაც იგი ბოლოს ავგუსტინის მონასტრის კარებამდის მიიყვანა. მონასტერში ლიუტერი ასკეტურ ცხოვრებაში ეძებდა სულიერ სიმშვიდეს, რაც ლოცვასა და მარხულობაში გამოიხატებოდა. ასეთმა ცხოვრებამ ძლიერ შეაწუხა და კინადამ უდროოთ საფლავში ჩაიყვანა. ლიუტერმა თანდათან შეითვისა ის აზრი, რომ ცხოველი სარწმუნოება ქრისტესადმი უფრო იხსნის ადამიანს და აცხონებს, ვიდრე მონასტრის ასკეტური ცხოვრება, რაც მარხულობასა და სხვა შემაწუხებელ კრძალულებაში გამოიხატებოდ.

ლიუტერის ცხოვრებაში ერთს უმთავრეს მომენტს წარმოადგენს ახლად გახსნილ ვიტენბერგის უნივერსიტეტში მისი პროფესორად დანიშვნა. მისი ახალი თანამდებობა მოითხოვდა საღვთო წერილის ზედმიწევნით შესწავლას, რამაც ლიუტერი კიდევ უფრო დაარწმუნა ასკეტური ცხოვრების უსარგებლობაში. მასთან თავისი ორდენის დავალებით რომში გამგზავრებამ ლიუტერს გადაუშალა თვალწინ სურათი ეკლესიის ზნეობით ჩამოქვეითებისა. 1517 წელმა ლიუტერის ცხოვრება არსებითად შესცვალა. ამ წელში საქსონიაში მოვიდა დომინიკანელი ბერი **ტეცელი** და ინდულგენციით ვაჭრობა დაიწყო. ლიუტერი, რომელსაც სულის ცხონების საკითხი ზედმიწევნით გამოკვლეული ჰქონდა, რასაკვირველია, გულგრილათ ვერ შეხედავდა ასეთი საშუალებით ცოდვების გამოსყიდვას. ამგვარათ ცოდვების პატიება მას ღვთის გმობათ მიაჩნდა. როცა ტეცელი ვიტენბერგის ახლოს გაჩნდა, ლიუტერმა ვერ მოითმინა და თავისი პროტესტი ინდულგენციის შესახებ 95 დებულებაში (თეზისი) გამოსთქვა და ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე გააკრა. ამით ლიუტერი საჯაროთ იწვევდა ყოველ მსურველს ამ საკითხზე მასთან კამათი გაემართა. თეზისებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; ამ საკითხის გარშემო ასტყდა დიდი დავა. ლიუტერმა თანდათან გააღრმავა საკითხი და ბოლოს ისეთი აზრები წარმოსთქვა, რომელნიც არსებითად ეწინააღმდეგებოდენ კათოლიკეთა მოძღვრებას.

ამიტომაც თეზისების გამოქვეყნება რეფორმაციის დასაწყისათ ითვლება. ლიუტერის მოწინააღმდეგეთა შორის თავისი თავგამოდებით შესანიშნავი იყო ღვთისმეტყველების პროფესორი **ეკი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1519 წ. ქ ლეიპციგში ეკმა ლიუტერი საჯარო საკამათოდ. [illegible] წვია. აქ ლიუტერმა უარყო მსოფლიო საეკლესიო კრების შეუცდომლობა და განაცხადა, რომ კონსტანცის საეკლესიო კრებამ უკანონოთ გაასამართლა ჰუსი და პაპის უზენაესობა იესო ქრისტეს არ დაუწესებიაო. ამ ორი განცხადებით ლიუტერმა ყოველი კავშირი შესწყვიტა კათოლიკურ ეკლესიასთან. ეკი კი გაემგზავრა რომში, რომ ბულას გამოცემა დაეჩქარებია და ლიუტერი ერეტიკათ გამოეცხადებიათ. ამ დროს ლიუტერმა (1520) დასტამბა სამი უმთავრესი თხზულება. პირველში, რომელიც უძღვნა „გერმანულ ქრისტიან თავად-აზნაურობას", ამტკიცებდა, რომ სამღვდელოებასა და საერო პირთა შორის არ არის გარჩევა, ვინაიდან ყველა ქრისტიანი სულიერათ მოძღვარია. ამის მიხედვით ლიუტერი ამბობდა, რომ საერო მთავრობას შეუძლია ეკლესიის გარდაქმნა და კიდეც შეადგინა რეფორმის ვრცელი გეგმა. მეორე ნაწარმოებში, რომელსაც ეწოდება „ქრისტიანის თავისუფლება", ის ამტკიცებდა, რომ ადამიანის ცხონებისათვის საჭიროა ქრისტესადმი რწმენა და არა კეთილი საქმეები, ვინაიდან ცხოველი სარწმუნოება ყოველთვის გვაიძულებს კეთილმოქმედებასო. მესამე ნაწარმოებში, რომელსაც უწოდა „ეკლესია ბაბილონის ტყვეობაში", ლიუტერმა კათოლიკეთა ეკლესიაში არსებული 7 საიდუმლოსაგან უარყო 4 და მიიღო 3. ნათვლა, აღსარება და ზიარება, თუმცა შემდეგში აღსარებაც უარყო, როგორც საიდუმლოება; ზიარებაში ლიუტერი უარყოფდა პურისა და ღვინის სისხლად და ხორცად გარდაქმნას. სამივე ნაწარმოებში ლიუტერი ემყარებოდა საღვთო წერილს, როგორც ერთად ერთს ავტორიტეტს სარწმუნოების საკითხში.

ლიუტერის მიერ გამოთქმული აზრები, რომ ყოველი ქრისტიანი იმავე დროს მოძღვარია, სულის საცხონებლათ საჭიროა მარტო სარწმუნოება და საღვთო წერილი—ერთად ერთი წყარო სარწმუნოებრივი ჭეშმარიტებისა, გარდაიქცა რეფორმაციის მთავარ დებულებათ და მე-XVI საუკუნის რეფორმატორებმაც მიიღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეიმი ვორმსში (1521 წ.) და მისი შედეგები. არეულობა ვიტენბერგში.

1520 წლის ბოლოს პაპიმ გამოსცა ბულა, რომლითაც ლიუტერი, როგორც განდგომილი, ეკლესიიდან განდევნილი იქნებოდა, თუ არ უარყოფდა თავის ცრუ მოძღვრებას. გერმანიაში უმეტეს ნაწილათ პაპის ბულას თანაგრძნობით არ შეხვდენ. საქსონიის კურფიურსტმა ფრიდრიხ-ბრძენმა, ლიუტერის ბატონმა, არ აასრულა ბულა, რომელიც ავალებდა გაბედული რეფორმატორის დატყვევებას და დასჯას. ლეიპციგში სტუდენტებმა ბულა ტალახში ამოსვარეს და მერე თვით ლიუტერმა ვიტენბერგში საზოგადოების თვალწინ დასწვა. ლიუტერის მიერ დაწყებულ მოძრაობას ისეთი მძლავრი და ფართო ხასიათი ჰქონდა, რომ მისი დაწყნარება ჩვეულებრივი საშუალებით არ შეიძლებოდა. ახალგაზრდა იმპერატორმა კარლოს მე-V-მ, რომელიც არჩეულ იქნა 1519 წ. სამეფო ტახტზე, ლიუტერი საიმპერიო სეიმზე მოიწვია ქ. ვორმსში (1521 წ.). სეიმს, როგორც უმაღლეს საიმპერიო დაწესებულებას, სამუდამოთ უნდა გადაეწყვიტა საკითხი ლიუტერის შესახებ. ლიუტერი თვითონ გაემგზავრა ვორმსში მას მერე, როცა იმპერატორისგან პირადი თავისუფლების სიგელი მიიღო. აქ იმპერატორისა და მაღალი თანამდებობის პირთა წინაშე ლიუტერმა თამამად განაცხადა, რომ ის არ უარყოფს თავის მოძღვრებას, სანამ მას საღვთო წერილისა და სხვა საბუთების მიხედვით ნათლათ არ დაუმტკიცებენ მის შეცდომას. ზოგიერთი მთავრები, რომელნიც თანაუგრძნობდენ ლიუტერს, როგორც პაპისა და რომის ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლს, ურჩევდენ ლიუტერს, რომ ოღონდ მას უარეყო დოგმატიური მხარე თავისი მოძღვრებისა და დანარჩენში, როგორც მაგ. პაპის თვითნებობის შეზღუდვა და საეკლესიო დისციპლინის აღდგენა, ისინი ხელს შეუწყობდენ და ყველაფრით დაეხმარებოდენ. ლიუტერი შეურყევლათ იდგა თავის აზრზე. მაშინ იმპერატორმა ეგრედ წოდებულ **„ვორმსის ედიკტში“** ლიუტერი განრისხულათ გამოაცხადა. ამ ედიკტის ძალით ყოველ მოქალაქეს ევალებოდა, დაეჭირა ლიუტერი, სადაც ნახავდა, და კიდევაც მოეკლა. ასეთი უბედურობა რომ რეფორმატორისთვის აეცილებია, კურფიურსტ **ფრიდრიხ ბრძენმა** ის ჩუმად გააპარა ვატბურგის კოშკში, სადაც ის ცხოვრობდა რაინდ გიორგის სახელწოდებით. აქ ყოფნის დროს ლიუტერი სთარგმნიდა ახალ აღთქმას გერმანულ ენაზე. ამ თარგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიტერატურული ენის შექმნა-განვითარებაში.

ამ დროს ვიტენბერგში დაიწყო არეულობა. ლიუტერის ზოგიერთი მომხრენი **კარლშტადტის** მეთაურობით მოითხოვდენ ეკლესიისა და ღვთის მსახურების რეფორმას ახალი მოძღვრების მიხედვით. ისინი აპირებდენ მესსას მოსპობას, რომელიც აგებული იყო ღვინისა და პურის სისხლათ და ხორცათ გარდაქმნის იდეაზე, წესების შემოკლებას, ხატების გაუქმებას და ზიარების ორი სახით შემოღებას. ასეთმა აზრებმა სტუდენტები და ქალაქის მდაბიო ხალხი ისე ააღელვა, რომ ეკლესიები დაარბიეს, დაანგრიეს საკურთხევლები და ხატები დალეწეს—საერთოდ შეურაცყოფა მიაყენეს კათოლიკურ ეკლესიის მთელ გარეგნულ მხარეს. გარდა ამისა, ვიტენბერგში გაჩნდენ ისეთი მქადაგებელნი, რომელთაც მოციქულებათ მოჰქონდათ თავი და კიდევ მეტად აღელვებდენ ხალხს. საერთო მდგომარეობა საშიში შეიქნა.

ლიუტერმა ამ ამბების გაგებისთანავე დასტოვა კოშკი, მიუხედავათ იმისა, რომ მას საფრთხე მოელოდა, და გაეშურა ვიტენბერგში. აქ მისმა მჭერმეტყველურმა სიტყვებმა ერთი კვირის განმავლობაში დააწყნარა აბობოქრებული ხალხი და გადასწყვიტა ზომიერების დაცვა საეკლესიო რეფორმებში. ამით ბევრი მისი მომხრეთაგანი უკმაყოფილონი დარჩენ. სულ მალე მისმა მოძღვრებამ ისეთი შედეგები იქონია, რომ ლიუტერს მოუხდა მდაბიო ხალხის (გლეხების) წინააღმდეგ გამოსვლა, რომლებიც წინეთ შეყურებდენ მას, როგორც თავის გმირსა და მფარველს.

სოციალური ამბოხებანი

რაინდთა უკმაყოფილებამ თავი იჩინა 1523 წ. რეინის შუა წელზე მდებარე ოლქებში. ერთი წლის წინეთ, სანამ ამბოხებას დაიწყებდენ უძლიერესმა რაინდთაგანმა **ფრანც-ფონ-ზიკინგენმა** შეადგინა ქ. ლანდაუში რაინდთა კავშირი, რომელმაც საკუთარი ჯარი გაიჩინა; ჯარის წინამძღოლათ თვითონ ის აირჩიეს. ზიკინგენი უახლოესი მეგობარი იყო ურლიხ-ფონ-ჰუტენისა, რომლის ნაწერებსაც დიდი გავლენა ჰქონდა რაინდებზე. ამბოხებულმა რაინდებმა ზიკინგენის მეთაურობით გადასწყვიტეს თავს დასცემოდენ არქიეპისკოპოზს და ტრირის კურფიურსტს, რომელიც გერმანიის მთავრებს შორის შესანიშნავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. ამბოხებამ მიზანს ვერ მიაღწია. ტრირის მთავარეპისკოპოსმა თავადების დახმარებით დაამარცხა რაინდები და მეამბოხენი სასტიკათ დასაჯა. თვით ზაკინგენი ბრძოლაში დაიღუპა. ულრიხ-ფონ-ჰუტენი, რომელიც ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელათ ითვლებოდა, გაიქცა შვეიცარიაში, სადაც იმავე წელს გარდაიცვალა. რაინდთა ამბოხების დამარცხებამ სამუდამო გამარჯვება არგუნა მთავრებს.

რაინდების ამბოხება კიდევ არ იყო დაწყნარებული, რომ გლეხთა მღელვარება დაიწყო, რასაც ლიუტერისა და მისი მიმდევრების ქადაგებებმა ხელი შეუწყო. ლიუტერის აზრი ქრისტიანის თავისუფლებაზე გლეხებმა ისე გაიგეს, თითქოს ისინი თავისუფალი იყვნენ ყოველგვარი გადასახადისაგან და ბატონ-ყმური მოვალეობისაგან. ლიუტერის მიერ გადათარგმნილ ახალ აღთქმაში ისინი კითხულობდენ ყველა ადამიანების თანასწორობას და ღვთის სამართლიანობას, რომლის მიხედვითაც უნდა მოწყობილიყო ადამიანთა შორის დამოკიდებულება. პირველათ ამბოხება დაიწყო სამხრეთ გერმანიაში და თანდათანობით გავრცელდა გერმანიის შუა ნაწილებში. საერთოდ სამი უმთავრესი კერა იყო გლეხთა ამბოხებისა: შვაბია, ფრანკონია და ტიურინგია.

შვაბიასა და სამხრეთ გერმანიაში ამბოხებას უმთავრესათ ოჯახური ხასიათი ჰქონდა. აქ შეიმუშავეს ამბოხების უმთავრესი ეგრეთ წოდებული „12-მუხლიანი“ პროგრამა. ამ პროგრამის ძალით გლეხები მოითხოვდენ ბატონყმობის მოსპობას, მინდვრისა, ტყისა და წყლის უსასყიდლოთ სარგებლობის უფლების აღდგენას, ყოველი გადასახადის მარტივათ განსაზღვრას და შემცირებას, სასჯელის შემსუბუქებას, მოძღვრის ამორჩევის უფლებას და სხვა. გლეხები თავის მოთხოვნილებას ასაბუთებდენ საღვთო წერილით და ღვთაებრივი სამართლიანობით. ყველა ეს მუხლები მიიღო შვაბელ გლეხთა წარმომადგენლების კრებამ და მალე გავრცელდა იმ ოლქებშიც, სადაც მოძრაობის ალი გადავიდა.

ფრანკონიაში ამბოხებამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო. აქ „12-მუხლიან“ პროგრამასთან ერთად საერთოდ იმპერიის გარდაქმნის გეგმაც შეიმუშავეს. აპირობდენ მთელ იმპერიაში შემოეღოთ: ერთნაირი სასამართლო, ზომისა და წონის ნიშნები და საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადი ნაცვლათ არსებული სხვადასხვაგვარი გადასახადისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე უფრო მკაცრი ხასიათი გლეხთა აჯანყებას ტიროლში ჰქონდა. ამბოხებას აქ მეთაურობდა მღვდელი **თომა მიუნცერი**, რომელიც თავის თავს მოკიქულათ სთვლიდა და ამბობდა, რომ მას თვით ღმერთმა ამცნო ყველა ჭეშმარიტება და მოქმედების გეგმა. მიუნცერი ამაღელვებელი გრძელი სიტყვებით მოუწოდებდა თავის მიმდევრებს, რომ მათ მტრები გაეჟლიტათ და ღვთისაგან არჩეულთა სამეფო დაეარსებიათ.

გლეხებმა დასწვეს და დააქციეს მრავალი კოშკი და მონასტერი, თუმცა მკვლელობას მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ჩაიდენდენ ხოლმე.

ამბოხებით შეწუხებულმა ლიუტერმა პირველათ თხოვნით მიმართა თავადებსაც და გლეხებსაც. როდესაც გლეხებმა არ გაუგონეს მას, მაშინ ლიუტერმა დასწერა პატარა წიგნაკი, რომელშიც მოუწოდებდა თავადებსა და ბატონებს, რომ მეამბოხე გლეხები გაეწყვიტათ, როგორც ბრაზიანი ძაღლები. როცა პირველმა საფრთხემ განვლო და თავადები გონს მოვიდენ, ლიუტერის რჩევა სავსებით შეასრულეს. მათ დახოცეს 100000-დე გლეხი და ამბოხება სისხლის ღვრით ჩააქრეს. ამის შემდეგ გლეხთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, მხოლოდ ზოგიერთ ადგილას სამხრეთ გერმანიაში გლეხებმა შესძლეს თავის მოთხოვნილებათა ნაწილის დაკმაყოფილება.

საერთო ამბოხებით აღშფოთებული და შეწუხებული ლიუტერი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ხალხის საშუალებით რეფორმების ცხოვრებაში გატარების იმედი დაჰკარგა და ამიტომ თავისი განზრახვა მთავრების ინტერესს შეუფარდა. ახლად მოწყობილი ეკლესია დაუქვემდებარა მთავრებს, რომელნიც სიხარულით ემხრობოდენ რეფორმაციას, რადგან კათოლიკეთა ეკლესიის ჩამორთმეული მამულებით ძლიერ სარგებლობდენ.

რეფორმაცია და იმპერია.

ვორმსის სეიმის გათავებისთანავე კარლოს მე-V-ს მოუხდა წასვლა ომში ფრანცისკ I-ის წინააღმდეგ. პოლიტიკური ვითარების გართულებამ იმპერატორი აიძულა, რომ 10 წლის განმავლობაში სამშობლოს (გერმანიის) გარეთ ყოფილიყო, ამიტომაც მას საშუალება არ ჰქონდა რეფორმაციის წინააღმდეგ ზომები მიეღო. ამ ხნის განმავლობაში მოწვეულ სეიმებზე კათოლიკეთა

უმრავლესობა ვერ ბედავდა ლიუტერის მომხრეების წინააღმდეგ. [illegible] ეა, ვინაიდან ეშინოდათ ისეთაც აღელვებული ხალხისა და მოსალოდნელი ამბოხებისა, რაც კიდეც მოხდა 1525 წელს. მხოლოდ 1529 წ. შპეიერის სეიმზე კათოლიკე მთავრებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდა კარლოს მე-V-ის ძმა მეფე **ფერდინანდი**, დაადგინეს, რეფორმაციის გავრცელება შეჩერებულიყო და რეფორმის მომხრე მთავრებს თავის მამულში ძველი ღვთისმსახურება დაეცვათ, თანაც ეპისკოპოზის უფლებები აღედგინათ. ამ დადგენილებამ რამოდენიმეთ შეამსუბუქა ვორმსის ედიკტი, მაგრამ რეფორმაციის მომხრეთათვის ის მაინც მიუღებელი იყო; ამიტომაც 5-მა მთავარმა და 14-მა ქალაქმა პროტესტი განაცხადეს და უარყვეს მისი შესრულება. ამ დღიდგან რეფორმაციის მომხრეთ ეწოდათ პროტესტანტები და თვით რეფორმისათვის დაწყებულ მოძრაობას — პროტესტანტიზმი.

ერთი წლის შემდეგ (1503 წ.) აუგსბურგში სეიმი შეიკრიბა. ამ კრებას თვით იმპერატორიც დაესწრო. პროტესტანტებმა წარუდგინეს მას თავისი სარწმუნოების არსებითი აღწერა, რომელიც შეადგინა ლიუტერის მეგობარმა **მელანხტონმა**. აუგსბურგის აღსარებაში მელანხტონი შეეცადა პროტესტანტიზმის და კათოლიციზმის ძირითადი განსხვავებების შემსუბუქებას, მაგრამ ამაოდ: იმპერატორმა უარყო ის და მოსთხოვა პროტესტანტებს მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევამდი ყოველგვარი რეფორმისათვის თავი დაენებებიათ. პროტესტანტების მთავრებმა და მათთან ერთად ქალაქების ვეზირებმა უარი განაცხადეს ასეთ წინადადებაზე და სხდომის დასრულებაც არ აცალეს, ისე მიატოვეს სეიმი. შემდეგ, როცა გამოირკვა, იმპერატორი პროტესტანტების საწინააღმდეგოთ ძალას მიმართავსო, პროტესტანტებმა ურთიერთ დასაცავათ 1530 წ. ქალაქ შმალკალდენში კავშირი დააარსეს. ამ კავშირში უმთავრესი მომქმედი პირები იყვნენ საქსონიის კურფიურსტი **იოანე ფრიდრიხი** და ჰესენის ლანდგრაფი **ფილიპე**.

თურქების თავდაცემამ, რომლებმაც 1529 წ. უშედეგოთ ალყა შემოარტყეს ვენას და ახალმა უთანხმოებამ ფრანცისკ პირველთან, რამაც მესამეთ გამოიწვია ომი მათ შორის, აიძულა იმპერატორი, დროებით შეეჩერებია პროტესტანტების საწინააღმდეგო მოქმედება და, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოახერხებდა, მათ კიდეც დაახლოვებოდა; მართლაც 1532 წ. ნურნბერგ-
რგში შეურიგდა მათ და აღუთქვა სრული ხელშეუხლებლობა მსოფლიო
საეკლესიო კრების მოწვევამდი. შემდეგ, როცა ფრანცისკთან ომები გა-
ათავა (1544 წ.), კარლოსს საშუალება მიეცა მთელი თავისი ყურადღება
სარწმუნოებრივ მოძრაობისთვის მიექცია და საკმაოდ მომწიფებული სა-
რწმუნოებრივი საკითხი გერმანიაში საბოლოოთაც გადაეწყვიტა. 1546 წ.
კარლოსმა სამხედრო მოქმედებაც დაიწყო შმალკალდენის კავშირის
წინააღმდეგ. იმპერატორს დიდ დახმარებას უწევდა პროტესტანტების
მოღალატე საქსონიის ჰერცოგი **მორიცი**. ომი დასრულდა პროტესტან-
ტების დამარცხებით და ორი უმთავრესი წინამძღოლის — ჰესენ ლანდგ-
რაფის ფილიპესა და კურფიურსტ იოანე ფრიდრიხის დატყვევებით. სულ
მალე მორიცსა და იმპერატორს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა. მო-
რიცს და სხვა მთავრებს არ მოსწონდათ იმპერატორის მედიდური მოქ-
ცევა და ეშინოდათ, რომ ის მათ დამოუკიდებლობას ბოლოს მოუღებ-
და. მორიცმა შეთქმულობა მოაწყო, საფრანგეთის მეფეს საიდუმლოთ
შეუკავშირდა და კარლოსს მეხუთეს უეცრათ თავს დაეცა. იმპერატორი
იტალიაში გაიქცა, რომ მტერს ხელში ტყვეთ არ ჩავარდნოდა. ამის გამო
ატეხილი ომი დასრულდა 1555 წ. აუგსბურგის ზავით. ამ ზავის პირო-
ბები საერო მთავრებს სარწმუნოების საკითხში სრულ უფლებას ანიჭებ-
და (cujus regio, ejus religio). მათ შეეძლოთ თავის სამთავროდან გან-
დევნა ყველასი, ვინც მთავრის სარწმუნოებას არ მიიღებდა; გამონაკლისს
შეადგენდენ მხოლოდ სასულიერო მთავრები. ამათ შესახებ დადგენილი
იყო, თუ სასულიერო მთავარი პროტესტანტების სარწმუნოებას მიიღებ-
და, ის კარგავდა თავის ღირსებასაც და სამთავროსაც (Reservatum ec-
clesiasticum).

მართვა-გამგეობით მოქანცულმა და ომებში დამარცხებით გულგა-
ტეხილმა კარლოსს მეხუთემ უარი განაცხადა სამეფო ტახტზე, ავსტრიის
მიწები და სამეფო გვირგვინი თავის ძმას ფერდინანდს გადასცა, ხოლო
ისპანია მისი ახალშენებით, იტალიის მიწები და ნიდერლანდი თავის
შვილს ფილიპე მეორეს დაუტოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფორმაცია სკანდინავიაზე. ლიუტერანული რეფორმაცია ერთსადაიმავეს ვრცელდებოდა გერმანიაში და სკანდინავიის ქვეყნებში, როგორიც იყო შვეცია, დანია და მასთან შეერთებული ნორვეგია.

შვეციაში რეფორმაცია გაატარა მეფე **გუსტავ ვაზამ**. წინათ 1397 წლიდან შვეცია დანიასთან იყო შეერთებული კალმარის უნიით, მაგრამ გუსტავ ვაზამ რეფორმაციის გავრცელების დროს დანიის მეფეს ქრისტიანე მეორეს ბრძოლა აუტეხა, ჩამოაშორა შვეცია და ტახტი დაისაკუთრა.

ქრისტიანე მეორემ თავისი სიმკაცრით გამოიწვია შვედების ამბოხება, განსაკუთრებით ეგრეთ წოდებული „სტოკჰოლმის ჟლეტით", რომელიც მოხდა 1520 წელს, როცა მან ერთ დღეს აწამა ასი კაცი — თავადი, სასულიერო პირნი და გამოჩენილი მოქალაქენი.

უკიდურესმა ნივთიერმა გაჭირვებამ აიძულა გუსტავ ვაზა რეფორმაციას ძიმხრობოდა, რადგან მას იმედი ჰქონდა, რომ კათოლიკური ეკლესიის მამულებისა და ქონების ჩამორთმევით, რასაც სეკულიარიზაცია ეწოდება, ის დიდ ნივთიერ საშუალებას შეიძენდა. ეს განზრახვა მან ვესტარასის სეიმს მიაწოდა 1527 წელს და კიდეც მიიღებია იმ მუქარით, რომ, თუ სეიმი საეკლესიო მამულების სახელმწიფოთ გადარიცხვაზე უარს ეტყოდა, ის ტახტს მიატოვებდა.

შვეციიდგან გაქცეულმა ქრისტიანე მეII მ დანიაშიც ფეხი ვერ მოიკიდა. თავისი დესპოტობით აქაც აიმხედრა თავადები და სამღვდელოება, რომლებმაც ბოლოს ის ტახტიდან გადაყენებულათ გამოაცხადეს. რეფორმაცია დანიაში გატარდა მისი მემკვიდრეების **ფრიდრის** I-ის **და ქრისტიანე მე-III-ის** მეფობის დროს (1533 — 1559), როდესაც საეკლესიო მამულების სეკულიარიზაციაც სავსებით შესრულდა. ჩამორთმეული საეკლესიო მამულების ნაწილი სახელმწიფოს ხელში გადავიდა, ნაწილი კი თავადებს დაურიგდა.

შვეციასა და დანიაში რეფორმაცია მეფის უფლებით გატარდა, რასაც მხარს უჭერდა არისტოკრატია, რომელსაც ჩამორთმეული მამულების ნაწილი ეძლეოდა. აქაც, როგორც გერმანიაში, რეფორმაციას მონარქიული ხასიათი ჰქონდა და განახლებული ეკლესია სავსებით დაექვემდებარა საერო მთავრობას. სულ სხვა ხასიათი ჰქონდა რეფორმაციას შვეიცარიაში, სადაც რეფორმაციის ბელადად **ულრიხ ცვინგლი** გამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე თავი.

რეფორმაცია შვეიცარიაში. კალვინიზმი. რეფორმაცია ინგლისში.

ულრიხ ცვინგლი (1484—1531)

ულრიხ ცვინგლი შეძლებული გლეხის შვილი იყო. მამა მისს იმდენი ქონება და შეძლება ჰქონდა, რომ შვილს საუკეთესო განათლება მისცა. ახალგაზდა ცვინგლი პირველათ ბერნისა და ბაზელის სკოლებში სწავლობდა: შემდეგ მეცნიერების შესასწავლათ ვენისა და ბაზელის უნივერსიტეტებში. აქ მან ზედმიწევნით შეისწავლა ძველი ენები და კლასიკური ლიტერატურა. ცვინგლი ნამდვილი ჰუმანისტი იყო და თანაც გატაცებული თაყვანისმცემელი ერაზმ როტერდამელისა. ცვინგლი, როგორც ერაზმი, დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ მეცნიერული მუშაობით შეიძლებოდა სარწმუნოების უმთავრესი წყაროების — დაბადებისა და წმ. მამათა მოძღვრების შესწავლა, სისწორით გაგება და შეთვისება. ამ წყაროების შესწავლას მან დიდი შრომა შესწირა უნივერსიტეტშიაც და შემდეგ მღვდლის თანამდებობაში მოღვაწეობის დროსაც. ამ მუშაობამ ცვინგლი ღრმათ დაარწმუნა, რომ საღვთო წერილის შინაარსი და გამეფებული ეკლესიის მიმართულება ერთმანეთს არ ეთანხმებოდა. 1518 წ. ცვინგლმა მიიღო მღვდლის ადგილი ქ. ციურიხში. აქ მან გამოიჩინა მრავალმხრივი და ენერგიული მოღვაწეობა და 1523—25 წლებში კიდეც გაატარა ეკლესიის რეფორმა, რაშიაც მას ძლიერ ამხნევებდა გერმანიაში ლიუტერის გამარჯვება. ცვინგლის მოძღვრება ძლიერ უახლოვდებოდა ლიუტერისას. მისი უმთავრესი დებულებაც ასეთი იყო, რომ ადამიანის ცხონებისთვის საჭიროა მარტო სარწმუნოება, სასულიერო და საერო პირთა შორის სარწმუნოებრივი განსხვავება არ არსებობს და დაბადება (ბიბლია) არის ერთად ერთი წყარო სარწმუნოებრივი ჭეშმარიტებისა. მიუხედავად ამისა ამ ორ რეფორმატორს შორის დიდი განსხვავებაც იყო. ცვინგლი იქამდი მივიდა, რომ კათოლიკურ ეკლესიას სავსებით ჩამოშორდა არა მისთვის, რომ ლიუტერივით ადამიანის პირადი ცხონების საკითხი აინტერესებდა, არამედ მისთვის, რომ საღვთო წერილსა და არსებულ ეკლესიას შორის დიდი განსხვავება იყო. ლიუტერი ეკლესიას თანდათან ჩამოშორდა, ასე რომ ყოველი ნაბიჯი მისი ღრმა და მწვავე ბრძოლის შედეგი იყო. ცვინგლი კი ეკლესიას ჩამოშორდა უცებ და გაბედულათ. ამის გამო ლიუტერმა ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ კათოლიკური ეკლესიის წყობილებისა, რაც საღვთო წერილის ნაარსს არ ეწინააღმდეგებოდა, ძალაში დასტოვა. ცვინგლი კი მარტო იმ წესებს სცნობდა, რომელთა დამტკიცებაც პირდაპირ საღვთო წერილით შეიძლებოდა. ამის მიხედვით ცვინგლმა უარჰყო ეკლესიაში სურათები, ხატები, საკურთხეველი, ორღანო ⁄ მთელი წირვის წესი. საიდუმლოების საკითხშიაც ცვინგლი უფრო გაბედულათ მოიქცა, ვიდრე ლიუტერი, თუმცა ლიუტერიც უარჰყოფდა პურისა და ღვინის ქრისტეს სისხლათ და ხორცათ შეცვლას, მაგრამ მას სწამდა, რომ უხილავად ქრისტეს ხორცი და სისხლი პურსა და ღვინოში იყო. ევხარისტია, ცვინგლის აზრით, იყო მორწმუნეთაგან შემოღებული წესი საიდუმლო სერობის მოსაგონებლად. პური და ღვინო მას მიაჩნდა ქრისტეს სისხლისა და ხორცის სიმბოლოდ.

ცვინგლის უფრო მეტად, ვიდრე ლიუტერს, იზიდავდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკითხები. ჯერ კიდევ ციურიხში, სანამ სამსახურს დაიწყებდა, ცვინგლი შვეიცარიელ დაქირავებულ ჯართან ერთად მონაწილეობას იღებდა იტალიელების ომებში და იქ პირადად დარწმუნდა, რომ დაქირავებული ჯარი დიდად საზარალო იყო სამშობლოსთვის. ამ ჩვეულების წინააღმდეგ მან საშინელი ბრძოლა დაიწყო და კიდეც მოასპობია ციურიხში ეს ჩვეულება. ცვინგლის პოლიტიკური მიზანი და გეგმა შვეიცარიის საზღვრებს სცილდებოდა. ის ფიქრობდა, რომ კათოლიკებთან ბრძოლაში ყველანი, ვინც მომხრე იყო საეკლესიო რეფორმების გერმანიასა და შვეიცარიაში, უნდა გაერთიანებულიყვენ. ცვინგლის აზრი საერთო კავშირის შესახებ ძლიერ მოეწონა ლანდგრაფ ფილიპე ჰესენელს. ამ აზრის განსახორციელებლად მან 1529 წ. ქ. მარბურგში ერთად ინახულა ლიუტერი და ცვინგლი. მათი შეთანხმება არ მოხდა; ლიუტერმა უარჰყო ცვინგლის მიერ წამოყენებული დებულებანი კავშირის განხორციელების შესახებ იმიტომ, რომ მან არ მიიღო ლიუტერის მოძღვრება ზიარების შესახებ.

ციურიხიდან რეფორმაცია მალე სხვა ქალაქებშიაც გავრცელდა. უმთავრესად მას ემხრობოდა საშუალო და დაბალი წოდების ხალხი, მდიდრები და ხშირად მტრული თვალით უყურებდნენ. იქ, სადაც რეფორმაცია იმარჯვებდა, დაქირავებული ჯარის კაცად გასვლა აკრძალული იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სამონასტრო და საეკლესიო მამულების სეკულიარიზაციაც ხელი-ყო. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ 1528 წელს ქ. ბერნი მიემხრო რეფორმაციას. ყველგან ქალაქებში რეფორმაცია ქალაქის საბჭოების სახელით ვრცელდებოდა ციურიხის წესების მიხედვით.

ჯარისკაცად დაქირავების აკრძალვამ და ეკლესიაში მომხდარმა დიდმა ცვლილებებმა აამხედრა ეგრედწოდებული ტყის კანტონები. კანტონებში მცხოვრებნი ყოველთვის დიდ მონაწილეობას იღებდენ ომებში და იყენენ ხოლმე დაქირავებულ ჯარის კაცებად სხვადასხვა სახელმწიფოში. ეს მათ დიდ სარგებლობას აძლევდა და ამაზე უარის თქმა მათთვის ძლიერ საზარალო იყო. შეტაკება აუცილებელი შეიქნა. პირველი ომი ციურიხის გამარჯვებით გათავდა, მაგრამ მეორე კი — კაპელასთან მისი დამარცხებით. აქ ცვინგლიც დაიღუპა. 1531 წ. ზავის პირობების ძალით რეფორმაციის მომხრეებს ბევრი რამ უნდა დაეთმოთ და მრავალ ადგილას კათოლიკური წესების აღდგენის ნებაც უნდა დაერთოთ. ცვინგლის სიკვდილს შემდეგ მისი დაწყებული საქმე რამდენიმედ შეფერხდა, მაგრამ მას ღირსეული მემკვიდრე გამოუჩნდა. ეს იყო ფრანგი **კალვინი**.

იოანე კალვინი (1509—1564)

იოანე კალვინი პიკარდიის ქ. ნუაიონში დაიბადა. განათლება მიიღო პარიზში და ორლეანისა და ბურჟის უნივერსიტეტებში. კალვინი ცვინგლივით ჰუმანიური მოძრაობით იყო გატაცებული და ძალიან მაღლა აყენებდა ერაზმ როტერდამელს. ის ოცნებობდა კაბინეტურ ცხოვრებაზე, მაგრამ დაბადების კარგათ შესწავლამ და ლიუტერის ნაწერების დაახლოებით გაცნობამ, მას აღუძრა ახალი რელიგიური საკითხები, რამაც თანდათან ჩამოაშორა კათოლიკურ ეკლესიას. 1534 წ. ბოლოს ის იძულებული შეიქნა, რომ საფრანგეთი დაეტოვებია და ბაზელს გაქცეულიყო. აქ 1536 წ. მან გამოსცა თავისი საყურადღებო თხზულება სახელწოდებით: „დარიგება ქრისტიანულ სარწმუნოებაზე“, რომელშიაც პროტესტანტურ მოძღვრებას მთლიანი და ლოგიკური სახე მისცა, თანაც აშკარათ წამოაყენა ბედისწერის იდეა. მისი შეხედულობით, ღმერთს წინასწარ გადაწყვეტილი აქვს ზოგიერთი ადამიანის საუკუნო ცხონება და ზოგიერთის წაწყმედა. ადამიანი სუსტი არსებაა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეუძლია თავისი ძალლონით ცხონებაზე იზრუნოს, მხოლოდ ეს ცოდნა ვალდებულია იფიქროს, ვითომ მასაც შეუძლია ცხონდეს და ამიტომ ცხოვრებაში შეძლებისამებრ ღვთის კანონები უნდა აასრულოს. აქედან კალვინი იტალიას გაემგზავრა; იქ აპირებდა დარჩენას, მაგრამ მალე მოუხდა უკან დაბრუნება და გადასწყვიტა საბოლოოდ ბაზელში ან სტრასბურგში დასახლებულიყო. მგზავრობის დროს ჟენევაში შეჩერდა და მისი მეგობრის **ფარელის** რჩევით იქ დარჩა. ჟენევა თავისუფალი ქალაქი იყო, მაგრამ მისი თავისუფლების მოსპობას ცდილობდენ სავოიის ჰერცოგი და ადგილობრივი ეპისკოპოსი. ჟენევამ ბერნის დახმარებით აჯობა მტრებს და სრული დამოუკიდებლობა მიიღო. აი სწორეთ ამ დროს ქალაქში ოეფორმაციაც შეიჭრა და გაიმარჯვა ძველი ეკლესიის მომხრეებზე, თუმცა კალვინისა და ფორელის სიმკაცრემ და შეუწყნარებელმა მოქმედებამ მალალი და შეძლებული წრეები ძლიერ დააშინა. ჟენევა მდებარეობდა რონის დაბლობის დასაწყისში, სადაც ძლიერ მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები გადიოდა, რაც ქალაქს ძლიერ ამდიდრებდა და თანაც ცოცხალ სახეს აძლევდა. კალვინი და ფორელი კი სასტიკათ კიცხავდენ ყოველგვარ საერო გასართობს. შეტაკება აუცილებელი იყო და კიდეც მოხდა, რის შემდეგაც ორივე მოქადაგე ქალაქიდან განდევნეს, თუმცა, სამი წლის შემდეგ 1541 წ., კალვინი ისევ გაბრუნდა ჟენევაში, სადაც იცხოვრა სიკვდილამდი (1564 წ.). საფრანგეთიდან გამოდევნილმა დიდძალმა პროტესტანტებმა კალვინთან შეაფარეს თავი; მათი შემწეობით კალვინმა დააამარცხა თავისი მოწინააღმდეგენი. ბრძოლაში კალვინი ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა; ცილისწამებასა და ყალბ საბუთებსაც მიმართავდა ხოლმე, ოღონდ მოწინააღმდეგე დაემარცხებია. კალვინის მტრებმა ძლიერ შეირცხვინეს თავი, როცა მხარი დაუჭირეს ისპანელ სწავლულს **მიხეილ სერვეტს,** რომელიც უარყოფდა საეკლესიო სწავლას წმ. სამებაზე. სერვეტი გავლით ჟენევაში გაჩერდა. კალვინის დაჟინებით ის დაიჭირეს, მისცეს სამართალში და მიუსაჯეს დაწვა. სერვეტის წამებამ დაარწმუნა ყველა, რომ კალვინი განდგომილების მოსპობას ფიქრობდა. ორი წლის განმავლობაში ბევრი ამგვარათ დაიღუპა და ბევრიც იძულებული გახდა გაქცეულიყო. მოწინააღმდეგე პარტიის დამარცხების შემდეგ კალვინს თავისუფლათ შეეძლო თავისი გეგმისა ან აზრების სისრულეში მოყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალვინისტური ეკლესიის მოწყობა ჟენევაში და კალვინიზმის გავრცელება.

ის სიმკაცრე და შეუბრალებლობა, რომელიც კალვინმა გამოიჩინა ჟენეველ მტრებთან ბრძოლაში, სწორეთ დამახასიათებელია მის მიერ ჟენევაში მოწყობილ საეკლესიო წყობილებისა. ეს საეკლესიო ორგანიზაცია ემყარებოდა განსაკუთრებულ დაწესებულებას, რომლის დანიშნულებაც იყო ზედამხედველობა მოქალაქეთა ზნეობა-ყოფაქცევაზე და საერთოდ საეკლესიო დისციპლინაზე. ამ დაწესებულებას „კონსისტორია“ ეწოდებოდა. კონსისტორიას შეადგენდა 12 უხუცესი ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული და 6 პასტორი. კონსისტორია თვალყურს ადევნებდა მოქალაქეთა ცხოვრებას. რომელიმე უხუცესთაგანი განაგებდა ქალაქის ამა თუ იმ ნაწილს, აქ მცხოვრებთ ან პირადათ თვითონ უშვრებოდა კონტროლს ან დამქაშების შემწეობით. თუ ვინიცობაა იქნებოდა შემთხვევა ზნეობრივი, რელიგიური ან და საეკლესიო წესის დარღვევისა, მაშინ უხუცესი კონსისტორიას მოახსენებდა, რომელიც დამნაშავეს შესაფერ მსჯავრს დასდებდა. განსაკუთრებულ შემთხვევებში კონსისტორია დამნაშავეს გადასცემდა გასასამართლებლათ ქალაქის საბჭოს, რომელიც ან ციხეში ჩასვამდა, ან სამშობლოდან განდევნიდა, ან სიკვდილით დასჯიდა. ამგვარათ კონსისტორიის კონტროლით მოქალაქენი ხელ-ფეხშეკრული იყვნენ. უმნიშვნელო დანაშაულისთვის, როგორიც იყო, მაგალითად: დაუკვირვებელი უკმეხი სიტყვა, ლოცვაზე დაგვიანება და ოჯახში რაიმე უკმაყოფილება, — ადამიანი სასტიკათ ისჯებოდა. კონსისტორიის სიმკაცრეს მრავალი საჯაროთ მომხდარი მაგალითები ამტკიცებდა.

კალვინის მიერ შემუშავებულ სარწმუნოებას უნდა დამორჩილებოდა ყველა. ვინც ცოტათი გადაცდებოდა, მძიმეთ ისჯებოდა. არა თუ კათოლიციზმი იყო აკრძალული, არამედ სასტიკი სასჯელი მოელოდა მათ, ვინც კათოლიკებთან რაიმე დამოკიდებულებას იქონიებდა. კათოლიკური მესა (წირვა) ჲ კათოლიკური ცერემონიები კერპთაყვანისმცემლობათ და ღვთის გმობათ ითვლებოდა. კალვინის მიერ შემოღებული ღვთისმსახურება ძლიერ მარტივი იყო და შესდგებოდა სამი ნაწილისაგან: საერთო განდობისა, (ალსარება), ფსალმუნების გალობისა და ქადაგებებისაგან. საიდუმლო იყო მიღებული ორი: ზიარება ჲ ნათვლა. კათოლიკური კულტის სიმდიდრე და სიმშვენიერე შეუბრალებლათ იყო განდევნილი.

ეროვნული

კალვინის ეკლესიამ შემდეგში რეფორმატული ეკლესიის სახელწოდება მიიღო.

თუმცა კალვინს ჟენევაში ოფიციალურათ პასტორისა და ღვთისმეტყველების პროფესორის თანამდებობა ეჭირა, მაგრამ ფაკტიურად ის მთელი ქალაქის ბატონ-პატრონი იყო. დიდი საკითხების გასარჩევათ ქალაქის საბჭო ყოველთვის კალვინს მიმართავდა და მისი აზრით ხელმძღვანელობდა. კალვინი ფართო მიწერ-მოწერას აწარმოებდა ყველა ქვეყნებთან, ეწეოდა კათოლიკურ სახელმწიფოთაგან დევნულ პროტესტანტებს, უგზავნიდა მათ მქადაგებლებს, ლტოლვილებს მფარველობდა და ინახავდა. მისი ხელმძღვანელობით ჟენევა თითქმის პროტესტანტების როგორად გადაიქცა. მართლაც არაჩვეულებრივი სიმკაცრე ჟენევის ცხოვრებაში მოგვაგონებდა კათოლიკურ ასკეტიზმს და უსაზღვრო ბატონობა პასტორებისა და კონსისტორიის საშუალო საუკუნეთა თეოკრატიას. კალვინის მოძღვრება ჟენევაში ბედისწერაზე ზნეობას იცავდა. კალვინი ტ მისი მიმდევრები თავს ღვთის შვილებათ სთვლიდენ ტ დარწმუნებული იყვნენ, რომ ღვთისაგან იგინი წინასწარ არჩეულნი იყვნენ საცხონებლათ. ეს რწმენა მათში იწვევდა არაჩვეულებრივ ზნეობის სიმტკიცეს და აღფრთოვანებას, რომლის შემწეობითაც ისინი მზათ იყვნენ აეტანათ ყოველი სატანჯველი, თუნდა სიკვდილიც. მათმა გმირულმა თავგანწირულებამ დიდათ შეუწყო ხელი კალვინიზმის გავრცელებას.

კალვინიზმი ყველაზე უმალ საფრანგეთში გავრცელდა. აქ ახალ მოძღვრებას მიემხრენ მალალი წრის წარმომადგენლები, მათ შორის მეფის ოჯახის ახლო ნათესავები. კალვინის ეკლესია დამკვიდრდა საფრანგეთში ფრანცისკ I-ს მემკვიდრის ჰენრიხ მეორის დროს, მიუხედავათ საშინელი დევნისა.

დაახლოებით მე-XVI-ე საუკ. შუა ხანებში კალვინიზმი ნიდერლანდში გავრცელდა და სხვა რეფორმაციული მიმდინარეობანი დაჩრდილა.

ამავე დროს გავრცელდა კალვინიზმი პოლონეთსა და შოტლანდიაშიაც. მეთაური შოტლანდიელი კალვინისტებისა იყო **ჯონ ნოვსი.** შოტლანდიაში კალვინიზმმა განსაკუთრებით მკაცრი სახე მიიღო, ვინაიდგან უარყოფით უყურებდენ ყოველსავე ქვეყნიურ ბედნიერებასა ტ ნეტარებას. ამათ ეწოდებოდათ **პურიტანები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალვინის მოძღვრებამ ინგლისშიაც იქონია გავლენა. ინგლისში კალვინიზმი შეხვდა თავისებურ რეფორმაციულ მოძრაობას, რომელიც კალვინიზმთან და ლიუტერანულთან ერთად ჰქმნიდა რეფორმაციული მოძრაობის მესამე ფორმას.

რეფორმაცია ინგლისში. ანგლიკანური ეკლესია. ინგლისს საეკლესიო მოძრაობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა.

საშუალო საუკუნოებში ინგლისის მეფეებმა პარლამენტის დახმარებით ინგლისის ეკლესიაზე პაპის გავლენის შეზღუდვა შესძლეს. მიუხედავათ იმისა, რომ პაპი ითვლებოდა ბრიტანეთის ეკლესიის თავად, ეკლესიის ბედის გადამწყვეტი ინგლისში მეფე იყო. ეგრედწოდებული თეთრი და მოწითალო ვარდთა ომების დასრულების შემდეგ მეფის უფლება ისე გაძლიერდა, რომ ახალი დინასტიის ტიუდორების დროს, რომელი გვარიდანაც პირველად ჰენრიხ მე-VII-ე გამეფდა, მეფე თითქმის დიდ ანგარიშს პარლამენტს აღარც კი უწევდა.

თუმცა ინგლისის ეკლესია მეფისაგან უფრო დამოკიდებული იყო, ვიდრე პაპისაგან, მაგრამ ხალხში კიდევ დარჩენილი იყო ინგლისის დიდი რეფორმატორის ვიკლიფის იდეები. ეს იდეები არსებობდა ეგრედწოდებულ „ქრისტიანეთა საძმო“-ში და ერთი შთამომავლობიდან მეორეზე წერილობით თუ ზეპირათ გადადიოდა და ავრცელებდა რომის ეკლესიისადმი სიძულვილს.

ამგვარათ ინგლისსა და რომს შორის განხეთქილების ნიადაგი თითქმის მომზადებული იყო. ეს განხეთქილება კიდეც მოხდა ჰენრიხ მე-VIII-ს დროს, რომელიც ჰენრიხ მე-VII-ის შვილი იყო. ჰენრიხ მე-VIII-ე პირველათ ჭეშმარიტი კათოლიკე იყო. როცა ლიუტერის თხზულება „ეკლესია ბაბილონის ტყვეობაში“ დაბეჭდა, იმის საპასუხოთ ჰენრიხმა კათოლიკობა დაიცვა წერილობით, რისთვისაც პაპმა მას საპატიო სახელათ „სარწმუნოების დამცველი“ უწოდა. მეფესა და პაპს შორის განხეთქილების მიზეზი იყო ის, რომ ჰენრიხ მე-VIII-ეს სურდა თავისი პირველი ცოლის ეკატერინე არაგონელის განშორება და ერთი სეფექალის **ანა ბოლეინის** შერთვა. პაპმა განქორწინების ნება არ მისცა. მაშინ ჰენრიხ მე-VIII-ემ აიძულა ინგლისის სამღვდელოება, რომ მეფის

ცოლთან განშორებაც კანონიერ განქორწინებათ ეცნოთ და ეკლესიის თავად პაპის მაგიერ ინგლისის მეფე გამოეცხადებიათ. 1534 წ. პარლამენტმა სამღვდელოების დადგენილება დაადასტურა განსაკუთრებული კანონით, რომელსაც უწოდა „აკტი მეფის უმაღლესობაზე“.

ამის შემდეგ მეფემ დაუწყო დევნა და წამება როგორც პაპის მომხრეებს, ისე პროტესტანტებს. წამებულთა შორის იყო **ტომას მორი**, რომელსაც კანცლერის ადგილი ეჭირა და არ უნდოდა, რომ ეკლესია მეფის თვითნებობას დამორჩილებოდა. მორი ცნობილი იყო როგორც მწერალი და თანაც თავისი სპეტაკი ცხოვრებით და მაღალი ზნეობით ფართო საზოგადოებაში პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული. ტომას მორმა განსაკუთრებით სახელი მოიხვეჭა თავისი თხზულებით, რომელსაც „უტოპია“ ეწოდება. „უტოპიაში“ ავტორმა გაჰკიცხა ინგლისის სახელმწიფოებრივი წესწყობილება და უარყოფითი მხარეები თანამედროვე საზოგადო ცხოვრებისა, თანაც დახატა სურათი იდეალურათ მოწყობილი სახელმწიფოსი, სადაც არ არსებობდა არც წოდებრივი ბატონობა, არც მმართველთა თვითნებობა და არც კერძო საკუთრების ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება მდიდარსა და ღარიბს შორის. ამ იდეალურ სახელმწიფოში კერძო საკუთრება არ არსებობდა.

მორის შემდეგ კანცლერის თანამდებობა **ტომას კრომველმა** დაიკავა, რომელსაც „ბერების ურის“ უწოდებდენ. კრომველმა აიძულა მეფე, რომ ყველა მონასტრები და რელიგიური საძმოები გაეუქმებია. მათი დიდძალი მიწები და სიმდიდრე ხაზინაში გადავიდა. დიდი ნაწილი ჩამორთმეული მიწებისა მეფემ თავის მახლობლებს დაურიგა და ამგვარად გაჩნდა მემამულეთა ახალი არისტოკრატია ნაცვლად ძველისა, რომელიც ეგრედწოდებულ მოწითალო და თეთრ ვარდთა ომების დროს დაიღუპა.

საერთოდ ჰენრიხ მე-VIII-ს რეფორმაცია ინგლისში გამოიხატა პაპის უფლებისა და მონასტრების გაუქმებაში. სხვა მხრივ კათოლიკური სარწმუნოება ინგლისში არ შეცვლილა. შემდეგი ნაბიჯი გადაიდგა მისი შვილის **ედუარდ მე-VI-ს** მეფობაში კენტერბერიის მთავარ ეპისკოპოზის **კრანმერის** ხელმძღვანელობით, რომელიც დიდად დაახლოვებული იყო გერმანელ რეფორმატორებთან.

ედუარდის დროს ინგლისის ეკლესიამ მიიღო ის ფორმა, რომელიც საერთოდ მას დღესაც აქვს. ეს ფორმა საშუალოა ერთი მხრით კათოლიკურსა და მეორე მხრით ლიუტერანულსა ⁄ კალვინისტურ შორის. კათოლიკური ეკლესიიდან ინგლისურმა გადაიღო სწავლა, რომ მოციქულებიდან შეუწყვეტლად მომდინარეობს მადლი ღვთისა, ეპისკოპოზის ხარისხის აუცილებლობა, ზოგიერთი წესი და ცერემონიები. დანარჩენში როგორც მოძღვრებაში, ისე ღვთისმსახურებაში, ინგლისური ეკლესია, რომელსაც ეწოდება ანგლიკანური ანუ ეპისკოპალური, უახლოვდება პროტესტანტიზმს. წირვა ლოცვის წესი ნაჩვენები იყო ეგრედწოდებულ „საერთო ლოცვანში“, მოძღვრება კი გამოთქმული იყო 42 მუხლში.

ედუარდ მე-VI-ს მეფობის დროს ინგლისში ძლიერ გავრცელდა კალვინიზმი, რომლის გავლენასაც ვერ ასცდენ კრანმერი და მისი თანამშრომელნი. კალვინისტურ ეკლესიას ინგლისში და შოტლანდიაში **პრესვიტერიანული** ეწოდებოდა, რადგან ეკლესიას მეთაურობდა პრესვიტერი ანუ უხუცესი, რომელსაც შემოღებული წესით თემი ირჩევდა და ანდობდა საეკლესიო საქმეთა გამგებლობას. შემდეგში კალვინიზმს ბრძოლა მოუხდა ანგლიკანურ ეკლესიასთან. **კალვინიზმი ინგლისში, შესაძლოა ითქვას, ხალხური რეფორმაცია იყო, ანგლიკანური რეფორმა კი მთავრობის ანუ მეფის ძალა უფლებით მოხდა.**

კათოლიკური რეაქცია

პირველი თავი

რეაქციის ხასიათი და უმთავრესი იარაღი.

ტრიდენტის საეკლესიო კრება და მისი მნიშვნელობა. ინკვიზიცია და წიგნების ცენზურა.

Ეველა იმან, რაც კათოლიკურმა ეკლესიამ რეფორმაციის გაძლიერებით დაკარგა, ძლიერ ჩააფიქრა პაპები და მთელი სამღვდელოება და აიძულა, უფრო მომზადებული გეგმით გამოსულიყვენ ახალი რელიგიური მოძრაობის წინააღმდეგ. თუმცა აშკარა იყო, რომ სანამდი კათოლიკურ ეკლესიაში ადგილი ექნებოდა იმ ბოროტებას და უწესოებას, რომელზედაც რეფორმა-

ტორები უთითებდენ, რეფორმაციასთან ბრძოლა კათოლიკეებისათვის ფუჭი იქნებოდა. ამასთანავე აუცილებელი იყო, რომ კათოლიკური ეკლესიას ერთხელ და საბოლოოდ ნათლად გამოეთქვა თავისი მოძღვრება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ყველას ადვილად გაერჩია კათოლიკური და არაკათოლიკური მოძღვრება. ასე, ამგვარად რეფორმაციის დასამარცხებელი ბრძოლისათვის საჭირო იყო: I, საეკლესიო დისციპლინის აღდგენა და II, კათოლიკური მოძღვრების მკაფიოდ და ბეჯითად გამოთქმა. რეფორმაციის საწინააღმდეგოდ კათოლიკების ბრძოლას, რომელიც დამყარებული იყო **თვით კათოლიკური ეკლესიის შინაგან განასლებასა და განწმენდაზე,** ისტორიაში ეწოდება კათოლიკური რეაქცია. ორივე ზემოაღნიშნული აზრის განხორციელება მიზნათ დაისახა **ტრიდენტის საეკლესიო კრებამ** (1545 – 1563).

დიდი ხანი იყო, რაც მრავალი ჭეშმარიტი კათოლიკე და მათ შორის თვით იმპერატორი კარლოს მე-V-ე, მოითხოვდენ საეკლესიო კრების მოწვევას, რომ ეკლესია გაეწმინდათ სხვადასხვა დამამცირებელი მოვლენისა და ბოროტებისაგან. პაპები კი ამ სამართლიანი მოთხოვნის შესრულებას აგვიანებდენ, რადგან ეშინოდათ, რომ მოწვეული საეკლესიო კრება გაიხსენებდა კონსტანცისა ⸗ ბაზელის კრებების აღძრულ იდეებს და შეეცდებოდა პაპის უფლების შეღზუდვას. თვით იმპერატორი კარლოს მე-V-ე და იერარქიის ზოგიერთი წარმომადგენელი მზად იყვნენ პაპის უფლების შეზღუდვაში კრებისთვის მხარი დაეჭირათ, ვინაიდგან, მათი წარმოდგენით, მაშინ შესაძლო იქნებოდა რეფორმების გატარება და პროტესტანტების კათოლიკურ ეკლესიასთან შერიგება.

ბოლოს იმპერატორის დაჟინებით მოთხოვნისა და რეფორმაციული მოძრაობის გაძლიერების გამო, პაპა პავლე მე-III-მემ მოიწვია საეკლესიო კრება ტიროლის ქალაქ ტრიდენტში 1545 წ. ამ კრებაზე სჭარბობდენ იტალიელი ეპისკოპოზები პაპის ერთგულნი და მისი ინტერესების დამცველნი, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ ან პროტესტანტებისთვის რამე დაეთმოთ და ან მათთვის, ვინც ფიქრობდა, რომ საეკლესიო კრებას ეკუთვნოდა პაპზე უზენაესობა. კრებაზე პარტიათა შორის მწვავე ბრძოლა გაიმართა და ამის გამო ორჯერ შეწყვიტეს კრების მუშაობა. ბოლოს პაპის უზენაესობისა ⸗ ამბსოლიუტიზმის მომხრეებმა გაიმარჯვეს. საეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესიო კრებამ თავისი დადგენილებანი წარუდგინა პაპს და ამაოთ ყოფა-
არა მან, რომ უმაღლესი უფლება საეკლესიო საქმეებში პაპს ეკუთვნის.
ის მოძღვრება, რომელიც საეკლესიო კრებამ შეიმუშავა, სრულიად ეწი-
ნააღმდეგებოდა პროტესტანტების სარწმუნოებას. მიუხედავათ მეფე კარ-
ლოს მე-V-ის ძმის იმპერატორ ფერდინანდ პირველის წინადადებისა, რომ
ცელიბატი, წირვის დროს ლათინური ენის აუცილებლობა და ინდულ-
გენცია დაეთმოთ. პროტესტანტების მოთხოვნისამებრ, საეკლესიო კრე-
ბამ პირიქით ისინი აუცილებელ საჭიროთ სცნო და უცვლელად დასტოვა.

ამგვარათ საეკლესიო კრებამ უარყო ცვლილების შეტანა ეკლესიის
მოძღვრება-წყობილებაში, რის გამოც შეუძლებელი შეიქნა პროტესტან-
ტებთან დაახლოვება და არსებული საეკლესიო განხეთქილება პირიქით
უფრო გაღრმავდა. რადგან კრებამ პაპს მიაკუთვნა უზენაესობა, ამით სა-
უკუნოდ გაქარწყლდა იმედები იმ პირებისა, რომელთაც სურდათ,
საეკლესიო კრების ავტორიტეტი პაპის უფლებაზე მაღლა ყოფილიყო
და პაპი კრებას დამორჩილებოდა და არა კრება პაპს. მეორეს მხრივ
ტრიდენტის კრებამ მიიღო მთელი რიგი ენერგიული ზომებისა ეკლესიის
დისციპლინის აღსადგენათ. შემოღებულ იქმნა მკაცრი ზომები იმათ და-
სასჯელათ, ვინც მოძღვრის მოვალეობას დაარღვევდა და ზნეობის შემ-
ბღალავ მოქმედებას ჩაიდენდა. გადასწყვიტეს, რომ ყოველ ეპარქიაში
ღირსეული სამღვდელო კანდიდატების აღსაზრდელათ სემინარია გახსნი-
ლიყო. თვით პაპები მე-XVI-ე საუკ. შუა წლებიდან იყვნენ ღირსეული
თავისი შომზადებით და ზნეობრივი ცხოვრებით. **პავლე** მე-IV-ე, **პიუს**
მე-IV-ე და მე-V-ე სრულებით არ წაგავდენ უწინდელ პაპებს, რომლებიც
გატაცებული იყვნენ ან პოლიტიკით, ან ხელოვნებით, ან მეცნიერებით
—ესენი პირიქით მთელ თავის ყურადღებასა და ენერგიას ხმარობდენ,
რომ ეკლესიის შინაური ცხოვრება გაეუმჯობესებიათ და რეფორმაციის
საწინააღმდეგო ბრძოლა საიმედოთ ეწარმოებიათ. პაპი პავლე მე-IV-ე
ჯერ კიდევ კარდინალი იყო, რომ აღადგინა ინკვიზიცია, რომლის სა-
შუალებითაც მალე ჩააქრო მწვალებლობა მთელ იტალიაში. ამას გარდა,
შემოღებულ იქმნა მკაცრი ცენზურა წიგნებზე. პავლე მე-IV-ის ბძანებით,
ინკვიზიციამ შეადგინა სია იმ წიგნებისა, რომლის გადაბეჭდვა, ყიდვა-
გაყიდვა და წაკითხვა ყოველ კათოლიკეს აკრძალული ჰქონდა. ვინც

ამ განკარგულებას დაარღვევდა, ის სასტიკათ ისჯებოდა. ტრიდენტის კრებამ შეავსო კიდევ ეს სია, რომელიც შემდეგში რამდენჯერმე ახალი დამატებებით გამოიცა. ამ სიას ეწოდება „სია აკრძალული წიგნებისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეაქციის უმთავრესი იარაღი, რამაც მას დიდი გამარჯვება მისცა, არც ინკვიზიცია იყო და არც ცენზურა, ეს იყო იეზუიტების ორდენი.

ეგნატე ლოიოლა და იეზუიტთა ორდენის დაარსება.

ტრიდენტის საეკლესიო კრება ჯერ კიდევ მოწვეული არ იყო, რომ კათოლიკეთა შორის რამდენიმე ახალი ორდენი გაჩნდა იმ მიზნით, რომ რელიგიური ცხოვრება და საეკლესიო დისციპლინა აღედგინათ. ყველა ასეთი ორდენები იღწვოდენ ხალხის სულიერ განვითარებაზე, აწარმოებდენ ბრძოლას მწვალებლებთან და ეწეოდენ ქველმოქმედებას. მათ შორის უფრო შესანიშნავი კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში არის იეზუიტების ორდენი, რომლის დამაარსებელიც იყო ესპანელი აზნაური **ეგნატე ლიოლა** (1491—1556). ესპანელები რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ეომებოდენ მთავრებს, რასაც დიდი გავლენა ჰქონდა მათ ეროვნული ნებისყოფის განვითარებაზე. მებრძოლსა და მხედრულ სულისკვეთებას გარდა ესპანელებს შორის ძლიერ განვითარდა სარწმუნოებრივი გრძნობა და ეკლესიისადმი სრული მორჩილება. ეს თვისებები ცხადათ დაეტყო თვით ლოიოლასაც და მის მიერ შექმნილ ორდენსაც.

პირველათ ლოიოლა სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა, მაგრამ მძიმე ჭრილობამ, რომელიც მან ფრანგებთან ომის დროს მიიღო და რომელმაც ის საუკუნოთ დაამახინჯა, აიძულა ასეთ ოცნებაზე ხელი აეღო. ავათმყოფობის დროს პირველათ რაინდთა რომანების კითხვით იქცევდა თავს, შემდეგ კი რელიგიური შინაარსის წიგნების კითხვას მიჰყო ხელი და მათი გავლენით გადასწყვიტა ქრისტეს სამსახური: თავის თავი ქრისტეს ღვთისმშობლისა და პეტრე მოციქულის მხედრათ აღიარა. ჯანსაღობის აღდგენისათანავე მან კრძალულებისა და უბიწოების აღთქმა დასდვა; რამდენიმე თვის განმავლობაში ნამდვილ ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა, რასაც შედეგათ ის მოჰყვა, რომ მას ქრისტე და წმინდანები ეცხადებოდენ. ამ მოჩვენებებმა ეგნატე სავსებით დაარწმუნა, რომ მას ღმერთი ახალ გზაზე აყენებდა და სულ სხვაგვარი ცხოვრებისაკენ იწოდებდა. ეგნატეს ეგონა, რომ ის მოვალე იყო პალესტინაში მისიონერათ

წასულიყო და კიდეც განიზრახა ასე მოქცეულიყო. თავისი განზრახვა ლოიოლამ სისრულეში მოიყვანა 1523 წ, მაგრამ მოგზაურობამ ფუჭად ჩაიარა, რადგან ეგნატემ არც მეცნიერება იცოდა, არც საღვთო წერილი, რაც ძალიან საჭირო იყო მისიონერისათვის და თანაც მას არც ადგილობრივი ენები ესმოდა. სამშობლოში დაბრუნებისათანავე ლოიოლა დიდის ენერგიით შეუდგა მეცნიერების შესწავლას, რაც მან სულ თავიდან დაიწყო სკოლის პატარა ბავშვებთან ერთად. ლოიოლას საკვირველმა ყოფაქცევამ და არაჩვეულებრივმა სარწმუნოებრივმა აღფრთოვანებამ მიიქცია ინკვიზიციის ყურადღება და ორჯერ, ეჭვით, ვითომ მწვალებელი ყოფილიყო, კიდეც დაატყვევეს. მართალია, ის მალე განათავისუფლეს, რადგან მისი სიმართლე გამოირკვა, მაგრამ მას გადაუწყვიტეს, ოთხი წლის განმავლობაში სულ ღვთისმეტყველება ესწავლა. ამ მიზნით ლოიოლა პარიზის უნივერსიტეტში გაემგზავრა. პარიზში ის დაუმეგობრდა რამდენიმე პირს, რომლებიც მის ხელმძღვანელობას დაემორჩილენ. ამათთან ერთად იმან დაარსა ახალი ორდენი, რომელიც პაპა პავლე მე-III-მ დიდი გაჭირვებით 1540 წ. დაამტკიცა. ახალ ორდენს ლოიოლამ „ქრისტეს მხედრობა" უწოდა. ორდენის წევრებს იეზუიტები ერქვათ. ორდენის მიზანი იყო მწვალებლებთან ბრძოლა და კერპთაყვანისმცემლების მოქცევა. იეზუიტებმა სრული მორჩილება აღუთქვეს პაპს, როგორც ქრისტეს მოადგილეს ქვეყანაზე.

იეზუიტების ორდენის წყობილება და მათი მოქმედების ხასიათი.

Იეზუიტები, როგორც სხვა ბერები, მორჩილების, უბიწოებისა და სიღარიბის აღთქმას სდებდენ; მათში უმთავრესი მნიშვნელობა მორჩილებას ჰქონდა. ლოიოლას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ იეზუიტები თავისი უმანკოებით შეიძლება ბევრზე დაბლა იყვნენ, მაგრამ თავისი სრული მორჩილებით ისინი ყველაზე უფრო მაღლა უნდა იდგენო. იეზუიტი წინამძღოლის წინაშე უსულო არსებას ემსგავსებოდა, რომელსაც წართმეული ჰქონდა ნებისყოფა და თავისუფალი მოძრაობის უნარი. თავისი ნების უარისყოფას იეზუიტები უფრო ღირსებათ სთვლიდენ, ვიდრე სასწაულებრივ მოქმედებას, მაგ. მიცვალებულის გაცოცხლებას. ამგვარად სრული მორჩილების წესი იყო საფუძველი ამ ორდენისა. ცხადი იყო ამ მოთხოვნის

შესრულება და ისიც უცებ ყველას არ შეეძლო, ამიტომაც იეზუიტები თავის ორდენში წევრებს იღებდენ დიდი სიფრთხილით. შემსვლელებს ორი წლის განმავლობაში ცდიდენ, რომ ამ ხნის განმავლობაში სრულ მორჩილებას შეჩვეოდენ და საკუთარი ნებისყოფა უარეყოთ. მორჩილთა გასაწვრთნელათ შედგენილი იყო ეგრეთწოდებული „სულიერი ვარჯიშობის“ სრული კრებული, რომელშიაც დაწვრილებით აღნიშნული იყო, როდის უნდა ელოცა, როდის რაზედ ეფიქრა, ვისთან როგორ დაეჭირა თავი და როდის როგორ ეტირა.

გარდა მორჩილებისა, იეზუიტების ორდენი მოითხოვდა ერთმანეთის კონტროლს. ყოველი იეზუიტი ვალდებული იყო, მეორესთვის თვალყური ედევნებია და, თუ რასმე შეამჩნევდა, უფროსისთვის მოეხსენებია.

ესეთი ჯაშუშური სისტემა სრულიად ბორკავდა იეზუიტს ყოველი ნაბიჯის გადადგმის დროს. ორდენის მეთაური, რომელსაც გენერალი ეწოდებოდა, თუმცა განუსაზღვრელი უფლებით იყო აღჭურვილი, მაგრამ მაინც მუდმივ კონტროლს ქვეშ იმყოფებოდა. ორდენის სრულუფლებიანი წევრების საერთო კრება, ან ეგრეთწოდებული **გენერალური კონგრეგაცია**, ირჩევდა ოთხ მუდმივ **ასისტენტს**, რომლებსაც ევალებოდათ გენერლის მოღვაწეობისათვის თვალყური ედევნებიათ. ამათ ჰქონდათ უფლება, თუ დაინახავდენ გენერლის მიერ ორდენის წესდების დარღვევას, გენერალური კონგრეგაცია მოეწვიათ გენერლის გადასაყენებლათ.

თავისი მოღვაწეობით იეზუიტები ცდილობდენ ახალგაზრდა თაობაზე ვავლენა მოეხდინათ. ამ მიზნით მათ დაარსეს სკოლები, ეგრეთწოდებული კოლეგიები, სადაც ახალგაზრდები ნამდვილ კათოლიკურ ნიადაგზე იზრდებოდენ. იმ დროში კოლეგიები საუკეთესო სკოლებათ ითვლებოდა, ვინაიდგან იეზუიტებმა დაწვრილებით შეიმუშავეს გადაცემის მეთოდები, რომ მათი საშვალებით მოწაფეებისთვის გადაეცათ ცოდნა და კიდეც გაეადვილებიათ ყოველგვარი მეცნიერების შესწავლა. ამის გამო ბევრი პროტესტანტი და მართლმადიდებელიც კი დიდი სიამოვნებით აძლევდა თავის შვილებს იეზუიტების სკოლებში, საიდანაც ისინი გულმხურვალე კათოლიკები გამოდიოდენ. ეს ხდებოდა უმეტესად ლიტვასა და პოლონეთში.

სკოლების საშუალებით იეზუიტები ახდენდენ გავლენას ახალთაობაზე და მოძღვრების საშუალებით კი მთავრობის პირებს იმორჩილებდენ და

SANSEBAN

მათი ძალა-უფლებით პოლიტიკას თავის სასარგებლოთ ატრიალებდენ, მეფეებსა და მათთან დაახლოებულ მოხელეებს მუდამ კათოლიკურ რეაქციისაკენ უთითებდენ და მის სასარგებლო მოქმედებას ურჩევდენ.

ხშირათ ისინი ხელმძღვანელობდენ დებულებით, რომ **მიზანი ამართლებს საშვალებასო**. ასე მაგ., როდესაც მეფეები კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ მოქმედებდენ, იეზუიტები განზრახ ასე ქადაგებდენ, რომ სახელმწიფოში უზენაესი უფლება მეფეს კი არა, ხალხს ეკუთვნისო. ზოგიერთი მწერალი იეზუიტთაგანი ასეთ შემთხვევაში მეფის მკვლელობასაც ნებადართულათ სთვლიდა. ზოგიერთ შემთხვევაში იეზუიტები ნებას აძლევდენ ორდენის წევრებს თავისი ვინაობაც დაემალათ, თუ კი ეს საჭირო იქნებოდა საიდუმლო აგიტაციის საწარმოოთ.

მე-XVI-ე საუკუნეში ორდენს დიდი წარმატება ჰქონდა და კიდევაც შეიქნა საგულისხმო ძალათ, რომლის გავლენასაც დაემორჩილა თვით პაპიც და მთელი კათოლიკური ეკლესიაც; განსაკუთრებით ორდენმა ფეხი მოიდგა ისპანიასა, იტალიასა, ბავარიასა, გაბსბურგთა ავსტრიის მიწებზე და პოლონეთში. ეს ორდენი ყველგან, სადაც კი გაჩნდა, გაცხარებით ებრძოდა რეფორმაციას და კათოლიკურ რეაქციას აძლიერებდა.

მეოთხე თავი.

ისპანია და ნიდერლანდი კათოლიკური რეაქციის დროს.

ისპანია ფილიპე მე-II-ის მეფობის დროს (1556—1598).

კათოლიკური რეაქცია ისე არსად არ გაძლიერებულა, როგორც ისპანიაში ფილიპე მე-II-ის მეფობის დროს. როცა ფილიპე მე-II-ე ტახტზე ავიდა, ისპანიას პირველი ადგილი ეჭირა ევროპაში. მას ჰყავდა იმ დროში დიდი ფლოტი, საუკეთესოდ გაწვრთნილი და ომებში გამოცდილი ჯარი და დაულეველი წყარო შემოსავლისა ამერიკული ახალშენებისაგან. ფილიპე მე-II-მ მეფობის დაწყებისათანავე დაასრულა ომი ფრანგების მეფეს ჰენრიხ მე-II-თან და კატოკამბრეზში ხელსაყრელი ზავით შეეკრა (1559). საფრანგეთს უნდა დაეთმო ისპანიისათვის ასიოდე ქალაქი და სოფელი.

სულ მალე ამ ზავის შემდეგ საფრანგეთში დაიწყო საშინელი სამოქალაქო ომი პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის, რამაც რამდენიმე ხნის განმავლობაში ფილიპე მე-II-ს საშვალება მისცა საფრანგეთისთვის ანგარიში აღარ გაეწია.

ფილიპე მე-II-ს შინაურ მართვა-გამგეობაში ორი მიზანი ჰქონდა შეურყევლათ დასახული: I, მეფის აბსოლიუტიზმის განმტკიცება და II, ერეტიკების მოსპობა და მათზე კათოლიკური სარწმუნოების ბრწყინვალე გამარჯვება.

კასტილიაში მეფე უკვე სავსებით დამოუკიდებლათ განაგებდა სახელმწიფოს საქმეებს, რადგან არისტოკრატია ფერდინანდ კათოლიკის დროს დამარცხდა და ურჩი ქალაქების თავხედობა კი კარლოს მე-V-ის დროს მოისპო 1520 წელს, როცა მათ ამბოხება მოახდინეს. თუმცა უმთავრესმა ქალაქებმა შეირჩინეს უფლება ორ-ორი დეპუტატი გაეგზავნათ სეიმში, რომელსაც „კორტესი“ ეწოდებოდა და რომელიც ყოველგვარ საჩივარს მეფეს უდგენდა და გადასახადებს აწესებდა. მაგრამ ფილიპე მე-II-ე ხშირათ არღვევდა მათ უფლებებს და საერთოთ ცდილობდა ქალაქების თვითმართველობის შევიწროვებას მათ შინაურ საქმეებში მუდმივი ჩარევით.

არაგონიაში მეფის უფლება უფრო მეტად შეზღუდული იყო, ვიდრე კასტილიაში, მაგრამ აქაც ფილიპე მე-II-მ თავის მეფობის უკანასკნელ წლებში ისარგებლა შემთხვევით მომხდარი არეულობით და „თითქმის მთლად მოუსპო მათ უწინდელი თავისუფლება. იყო მთელი პარტია, რომელიც მეფის აბსოლიუტიზმს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ფილიპე მე-II-მ პარტიის ყველა მეთაურები სიკვდილით დასაჯა.

ფილიპე II ბაძავდა თავის პაპას ფერდინანდ კათოლიკს და ურჩი ქვეშევრდომების წინააღმდეგ სარგებლობდა ინკვიზიციით, რომლის დანიშნულებაც იყო კათოლიკური სარწმუნოების დაცვა და არა პოლიტიკური მიზნის სამსახური. თუმცა ფილიპემ ინკვიზიცია პოლიტიკურ იარაღად გაიხადა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ინკვიზიციამ ერეტიკობაც აღმოფხრა ისპანიაში. ინკვიზიციამ მრავალი ხალხი დასწვა კოცონზე. მწვალებლების დაწვა ანუ **აუტო-დაფე** (სარწმუნოების საქმე) დღესასწაულს ემსგავსებოდა: მას ესწრებოდა მეფე, მთელი სასახლე, სამღვდელოება და მრავალი ხალხი. მწვალებლების წამება თითქმის სახალხო დღესასწაულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო გადაქცეული. სახელმწიფოს ყოველ კუთხეში ჯაშუშები იყვნენ დაფენილი, ზავნილი, რომ თვალყური ედევნებიათ ყველასათვის და შეენიშნათ ყოველი წინააღმდეგი სიტყვა ვისზედაც ეჭვს მიიტანდენ, დაატყვევებდენ, ჩასვამდენ ბნელ ოთახში და დიდი წვალების შემდეგ იძულებულს გახდიდენ, რომ ყველაფერში გამოტეხილიყო. ინკვიზიციის სასამართლოსაგან დამნაშავეს ვერ იხსნიდა ვერც წარჩინებულობა, ვერც სიმდიდრე და ვერც მაღალი თანამდებობა. წამებულთა შორის იყვნენ ერთი ისპანელი მიტროპოლიტი, საზოგადოებაში ცნობილი მეცნიერები, კარისკაცები, მეფის ყოფილი მოძღვარი და სხვა. ინკვიზიციამ მიაღწია თავის მიზანს: **ისპანია მთლად გაიწმინდა მწვალებლებისაგან.** მეფისა და ეკლესიის ფანატიზმი ამით არ დაკმაყოფილდა. მწვალებლების შემდეგ მისდგენ მავრების შთამომავლობას, რომელთაც მორისკებს უწოდებდენ. ფილიპე მე-II-ემ განსაკუთრებული კანონით მოსთხოვა მათ სამი წლის განმავლობაში თავისი სამშობლო არაბული ენა უარეყოთ, ძველი ეროვნული ტანისამოსი აღარ ეხმარათ და თავისი ჩვეულებრივი გასართობები მოესპოთ. ვინც მეფის ბრძანებას არ დაემორჩილებოდა, სასტიკათ ისჯებოდა — ხშირად სიკვდილითაც. ასეთმა შეეიწროებამ გამოიწვია ამ საცოდავი ხალხის ამბოხება, რაც მეფემ სისხლის ღვრით ჩააქრო. ვინც ამბოხების დროს მომხდარ ჟლეტას გადარჩა, ის ინკვიზიციამ გაასამართლა და აწამა. მორისკების დევნამ ძალიან ცუდი გავლენა იქონია ისპანიის ქონებრივ მხარეზე და ძლიერ დასცა ისპანიის მეურნეობა, რადგან მორისკები მუყაითი მიწის მუშები და ნაყოფიერი მწარმოებლები იყვნენ. თუმცა ფილიპე გულმოდგინეთ იცავდა კათოლიკურ ეკლესიას და ენერგიულათ ამარცხებდა მის მოწინააღმდეგეებს, მაგრამ თავისი სახელმწიფოს ფარგლებში ეკლესიის ბატონ-პატრონობა მაინც თვითონ უნდოდა — და საქმეში პაპის ჩარევას არ ითმენდა. თუ, ვინიცობაა, მას რამეში პაპი წინააღმდეგობას გაუწევდა, ის მაშინვე ძალას მიმართავდა. პაპები, ფილიპეს აზრით, ყველაფერში ხელიხელჩაკიდებული უნდა მიჰყოლოდენ ისპანელ მეფეს, რომელიც კათოლიკური რეაქციის უმთავრესი წინამძღოლი იყო.

ფილიპეს აბსოლიუტიზმსა და კათოლიკურ ფანატიზმს ისპანელები შეჩვეული იყვნენ და ამიტომ მათ მეფისთვის სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, მაგრამ სამაგიეროთ ნიდერლანდში მეფის მოქმედებამ საშინელი ამბოხება გამოიწვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიდერლანდის ამბოხება.

ნიდერლანდს დაახლოებით დღევანდელ ბელგიასა და ჰოლანდიის სივრცე ეჭირა, რომელიც ბურგუნდიის სამემკვიდრო მამულის ერთ საუკეთესო ნაწილს შეადგენდა და წილათ ხვდა იმპერატორ კარლოს მე-V-ს. ეს ქვეყანა ძალიან მდიდარი იყო; მრეწველობამ განსაკუთრებით მაუდის ქსოვამ და ვაჭრობამ იქ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ანტვერპენი ევროპის ვაჭრობის ცენტრათ გადაიქცა, მისი ბირჟა ხელმძღვანელობდა ვაჭრობას მთელ ევროპასა და ახალშენებს შორის. კარლოს მე V-ს ნიდერლანდიდგან ხუთჯერ მეტი სიმდიდრე გამოჰქონდა, ვიდრე ამერიკიდან (დაახლოვებით 5 მილიონი ოქროს დუკატი). ნიდერლანდი 17 პროვინციისგან (ოლქისგან) შესდგებოდა და ყოველივე მათგანი შინაურ მართვა-გამგეობაში დამოუკიდებელი იყო. ყოველ ოლქს თავისი განსაკუთრებული პრივილეგიები (უპირატესობა) ჰქონდა, რაც ცალკე ხარტიებში (სიგელი) იყო აღნიშნული. უფრო შესანიშნავი იყო ბრაბანტის ოლქის ხარტია, რომლის ძალითაც მეფეს არ ჰქონდა უფლება შტატების (წოდებათა წარმომადგენლების) დაუკითხავათ თავის სახელმწიფოს ჯარი ჰყოლოდა, უცხოელები ამა თუ იმ თანამდებობაზე დაენიშნა, რაიმე გადასახადი დაეწესებია და სახელმწიფო წყობილებაში ცვლილება შეეტანა. სხვა ოლქების პრივილეგიები უმთავრესათ ისეთივე იყო, როგორც ბრაბანტის ხარტია. კარლოს მე-V-ე ცდილობდა ამ ოლქების უფრო მჭიდროთ შეკავშირებას. ხშირათ იწვევდა ყველა ოლქების წოდებათა წარმომადგენლებს ე. ი. გენერალურ შტატებს და კიდევაც დაწერა ყველასათვის საერთო მართველობა და უმაღლესი სასამართლო. 1548 წ. კარლოსის მოხერხებით ოფიციალურათ იცვნეს ამ ქვეყნის მთლიანობა და მისი იმპერიისაგან დამოუკიდებლობა.

ჩრდილოეთ ოლქებში უმთავრესათ გერმანელი შთამომავლობის ხალხი (ფლამანდიები) ესახლა, სამხრეთით კი რომანელთა შთამომავლობის (ვალონები), ჩრდილოეთ ნაწილში უმთავრეს როლს მდიდარი ბურჟუაზია ასრულებდა, სამხრეთ ნაწილში კი ბურჟუაზიასთან ერთად დიდი გავლენა ჰქონდა ფეოდალურ არისტოკრატიას. მიუხედავათ კარლოს მე V-ის მიერ მიღებულ ენერგიული ზომებისა, ჩრდილოეთ ნაწილებში მაინც გავრცელდა პროტესტანტიზმი კალვინიზმის ფორმით; სამხრეთ ნაწილში კი შედარებით არც ერთ ახალ სარწმუნოებრივ მიმდინარეობას გავლენა არა ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ ნიდერლანდელები კმაყოფილი იყვნენ კარლოს მე-V-ის მეფეობით; ის მათ უყვარდათ, როგორც მეფე, მათ შორის აღზრდილი, თანაც მცოდნე მათი ენისა და იქაური ზნე-ჩვეულებისა. ამიტომაც კარლოსი ყოველთვის ერიდებოდა მათთან შეტაკებას. სულ სხვა სურათი შეიქნა, როცა სამეფო ტახტი ფილიპე მე-II-ემ დაიჭირა. ფილიპე ხასიათითა და მიდრეკილებით ნამდვილი ისპანელი იყო. მას არ უყვარდა ნიდერლანდელები, რადგან დაახლოვებით არ იცნობდა და მათ ქვეყანასაც ისე უყურებდა, როგორც ისპანიის პროვინციას. ნიდერლანდის მართველათ მან თავისი და — **მარგარიტა პარმელი** დანიშნა, რომლის უმთავრესი მრჩეველიც იყო ისპანიის ინტერესების საუკეთესო დამცველი **გრანველა**. მიუხედავათ მცხოვრებთა დიდი სურვილისა, ფილიპემ იქიდან ისპანელი ჯარი არ გამოიყვანა, თანამდებობის პირებათ იქ უცხოელებს ნიშნავდა და მწვალებლებთან საბრძოლველად ინკვიზიცია გააჩალა ისე, როგორც ეს ისპანიაში იყო მოწყობილი. უკმაყოფილო არისტოკრატია შეჯგუფდა **პრინცვილჰელმ ორანელის, გრაფ ეგმონტის** და **ადმირალ გორნის** გარშემო. მათი შემწეობით მართლაც შესძლეს გრანველის გაძევება, მხოლოდ პროტესტანტების ულმობელი წამება ხალხში მაინც დიდ მღელვარებას იწვევდა. ახალ მოძრაობას მეთაურობდენ საშუალო და პატარა ქონების მქონე აზნაურები, რომლებმაც ინკვიზიციასთან საბრძოლველათ კავშირი შეადგინეს. ამ კავშირს მიემხრო დიდძალი ხალხი, მათ შორის აზნაურებიც, მოქალაქეებიც, კათოლიკებიც და პროტესტანტებიც. 1566 წლის აპრილში კავშირმა ბრიუსელში დეპუტაცია გაგზავნა და სთხოვა მარგარიტა პარმელს, რომ მწვალებელთა მდგომარეობა, რამდენათმე შეემსუბუქებია. მან აღუთქვა თხოვნის შესრულება, მაგრამ მალე პროტესტანტთა ბრბომ ეკლესიების დარბევა მოახდინა და ამან მარგარიტა აიძულა ისევ მკაცრი ზომები მიეღო, რასაც არეულობით შეშინებულმა აზნაურებმაც მხარი დაუჭირეს. წესიერება აღდგა, მაგრამ ფილიპე მე-II, რომელმაც იცოდა, რომ მარგარიტა, როგორც სუსტი ბუნების ადამიანი, ნიდერლანდელებს ვერ დაიმორჩილებდა, გადაადგილა და მის ადგილას მართველათ სიმკაცრით ცნობილი **ჰერცოგი ალბა** დანიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბა ისპანელი ჯარით მოვიდა ნიდერლანდში და მიზნად დაესახა სრულიად მოესპო ამ ქვეყნის თავისუფლება და შეუწყნარებლათ დაესაჯა ყველა ის, ვინც მარგარიტა პარმელის დროს ფილიპე მე-II-ს დესპოტიზმის წინააღმდეგ გაბედა ბრძოლა. წინანდელი ვილჰელმ-ორანელი ალბას მოსვლამდი წავიდა გერმანიაში. ალბამ მართველობის ჩაბარებისთანავე შემოიღო განსაკუთრებული სასამართლო, რომელსაც თვითონ „ამბოხების საბჭო“ უწოდა, ხალხმა კი „მოსისხლე საბჭო“ დაარქვა. გაჩაღდა საჯარო წამება. პირველ რიგში აწამეს ეგმონტი, გორნი და უმეტესი ნაწილი აზნაურთა კავშირის წევრებისა. აწამეს რამდენიმე ათასი პროტესტანტიც. ვილჰელმ-ორანელის და მისი ძმების მიერ ამ ნიადაგზე მოწყობილი ამბოხება დამარცხებით გათავდა. ბოლოს ალბამ მთელ ნიდერლანდს მძიმე გადასახადი დაადო უძრავი და მოძრავი ქონების გაყიდვაზე. ალბას ასეთმა მოქმედებამ ხალხი სასოწარკვეთილებამდი მიიყვანა და ბოლოს ამბოხება მოხდა. ამბოხება დაიწყეს გოლანდიელმა კორსარებმა, ანუ ეგრეთწოდებულმა **„ღარიბმა მეზღვაურებმა“**, რომლებმაც ზღვის ერთი განაპირა ციხე აიღეს.

აქედან ამბოხების ალი მთელ მხარეს მოედვა. ამბოხების მეთაური ვილჰელმ ორანელი იყო. ისპანელების გამხეცებული მოქმედება უნაყოფო იყო. ხალხი იქამდის მივიდა, რომ ის დამბები გაარღვია, რომელიც მთელ ნიდერლანდს ზღვისაგან იცავდა. დამბების აშლის მიზანი იყო ისპანელთა ჯარის განდევნა. ალბას მოქმედება პროტესტს იწვევდა მეფის ერთგულ თანამდებობის პირთა შორისაც. ფილიპემ, როგორც იქნა, ბოლოს დაუთმო ამხედრებულ ხალხს და ალბა გაიწვია (1573). მის მოადგილეთა შორის უფრო საყურადღებოა **ალექსანდრე პარმელი**, მარგარიტას შვილი. ბრძოლა მის დროსაც სწარმოებდა ისე, რომ ხან ერთი მხარე გაიმარჯვებდა და ხან მეორე. ბოლოს ალექსანდრემ შესძლო და სამხრეთი ოლქები, სადაც კათოლიკური მოსახლეობა სჭარბობდა, ისპანიას შეუერთა. ჩრდილოეთის ოლქები, სადაც პროტესტანტიზმს მეტი ძალა ჰქონდა, ბრძოლას განაგრძობდა. 1579 წ. 5 ოლქმა შეადგინა კავშირი ანუ უნია უტრეხტში და ისპანიისაგან თავისი სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მათ მალე კიდევ ორი ოლქი მიემატა. უმაღლესი უფლება უნიაში ყველა ოლქების საერთო წარმომადგენლობას ჰქონდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც გენერალური შტატები დაერქვა. ისინი არჩევდენ ომის და ეროვნულ საკითხებს, ახალი გადასახადების შემოღებას და სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლას. მართველობა და სამხედრო ძალების წინამძღოლობა გადასცეს ვილჰელმ ორანელს. ფილიპე მე-II სურდა მოწინააღმდეგე პრინცი თავიდან მოეშორებია, ამიტომ განსაკუთრებული მანიფესტით განაცხადა, რომ ვინც ვილჰელმს მოკლავდა, ის საჩუქრათ დიდ ფულსაც მიიღებდა და აზნაურობის ღირსებასაც. რამდენიმე უნაყოფო ცდის შემდეგ ერთმა ფანატიკოსმა მოჰკლა პრინცი 1584 წ.. უნიამ მალე იპოვა მისი ღირსეული მემკვიდრე, ეს იყო მისი შვილი **მორიცი**. ომებმა თითქმის 1648 წლამდი გასტანა, როცა ისპანიამ ჩრდილო ნიდერლანდის დამოუკიდებლობა იცნო. ამ ბრძოლის დროს ჩრდილო ნიდერლანდელებმა ინგლისთან ერთად პირველი ადგილი დაიკავეს ზღვაზე და ინგლისელებთან შეერთებული ძალით დაუწყეს ისპანიასა და პორტუგალიას ახალშენების წართმევა.

ფილიპე მე-II საგარეო პოლიტიკა და მისი მართველობის შედეგები.

ნიდერლანდთან ხანგრძლივმა და მძიმე ომებმა არ შეუშალეს ხელი ფილიპე მე-II-ს, რომ გაბედული საგარეო პოლიტიკა ეწარმოებია და სხვა ქვეყნების შინაურ ცხოვრებაში ჩარეულიყო. ფილიპე თავის მოვალეობათ სთვლიდა როგორც ისპანიაში, ისე მთელ ევროპაში კათოლიკური ეკლესია დაეცვა და მასთან თავისი დინასტიის გაბატონებაზე ეზრუნა. იმ დროს მთელი საქრისტიანო ქვეყნის უძლიერესი გარეგანი მტერი იყო ოსმალეთი, რომელიც უმაღლესათ აყვავდა და ძლიერ გაფართოვდა **სულეიმან II დიდებულის** მეფობაში (1520—66). მის დროს თურქებმა დაიპყრეს უნგრეთის უმთავრესი ნაწილი დალმაცია, განდევნეს იოანიტების ორდენი როდოსის კუნძულიდან, წაართვეს სპარსეთს მესოპოტამია და აფრიკის ჩრდილო ნაპირებზე გაბატონდენ. ოსმალეთის და ჩრდილო აფრიკის კორსარები (ზღვის ავაზაკები) ცარცვავდენ ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე მცხოვრებ ქრისტიანებსა, მეტადრე იტალიელებს. ფილიპე მე-II-მ გადაწყვიტა მიეღო ყოველგვარი ზომა, რომ ოსმალეთის ზრდა შეეჩერებია. 1565 წ. მან აიძულა თათრები მოეხსნათ ალყა კუნძულ მალტასთვის, სადაც როდოსიდგან გამოქცეული იოანიტები იყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავშეფარებული; 1571 წელს კი ოსმალეთის ფლოტი ლეპანტოსთან ისპანიის ფლოტმა სრულიად დაამარცხა. ამ ბრძოლაში თათრებმა ოცეტ-თესო ჯარი დაიღუპა და ამგვარად ქრისტიანებმა სძლიეს თათრებს და ხელახლა გაბატონდენ ზღვაზე.

ფილიპე მე-II-მ ოსმალეთთან ბრძოლით დიდი სამსახური გაუწია არა მარტო ისპანიას, არამედ მთელ საქრისტიანო ევროპას. გარდა ამისა, მისი საგარეო პოლიტიკის ნაყოფი იყო, რომ 1580 წელს პორტუგალია ისპანიას შემოუერთდა.

ვინაიდგან პორტუგალიელები მტრულათ უყურებდენ ისპანელების ბატონობას, ამიტომ ფილიპე იძულებული იყო აქ საკმაო ჯარი ჰყოლოდა, რაც დიდ ხარჯს მოითხოვდა. კიდევ უფრო ძვირათ დაუჯდა ისპანიას მეფის ჩარევა საფრანგეთის, ინგლისის და შოტლანდიის საქმეებში. სამრევლო სახელმწიფოში ფილიპე მხარს უჭერდა უკიდურეს კათოლიკეთა პარტიას, რომ ხელი შეეშალა პროტესტანტიზმის დარეფორმაციის გავრცელებისთვის. ამ ნაბიჯებმა ისპანიას დიდი ხარჯი მიაყენა და სარგებლობა კი არაფერი მისცა. საფრანგეთიდგან ისპანიის ჯარი იძულებით გამოვიდა; ინგლისის წინააღმდეგ გაგზავნილი ფლოტი, რომელსაც მან „დიდი ჯარი“ უწოდა, შეებრძოლა ინგლისის ფლოტს ოკეანეზე და ერთი მხრით ქარიშხლით დაზარალებული და მეორე მხრით მტრისაგან სასტიკათ დამარცხებული სამარცხვინოთ დაბრუნდა ისპანიაში 1588 წელს. შოტლანდიაში კი, მიუხედავათ ფილიპეს მიერ მიღებული ენერგიული ზომებისა, კალვინისტური ეკლესია დაფუძნდა.

კატოლიკიზმის დასაცავათ წარმოებულმა განუწყვეტელმა ომებმა ისპანია ნივთიერათ ძლიერ დაასუსტა, რაც ფილიპეს მეფობის დასასრულს სახელმწიფოს-აშკარათ დაეტყო. სახელმწიფოს ნივთიერ დაქვეითებას ხელი შეუწყო მორისკების დევნამ, რადგან ისინი შრომის მოყვარენი და ვაჭრობა-მრეწველობაში დახელოვნებულნი იყვნენ. ისპანიის მთავრობა, რომელსაც აუარებელი შემოსავალი ქონდა ამერიკელ ახალშენებისგან, თავის მოვალეობად არ სთვლიდა ეზრუნა თვით ისპანიის შემოქმედებითი ძალების განვითარებაზე, ხალხი კი ისპანიაში უმეტესად შეძლებული წრეებ, უგულოდ ეკიდებოდა ვაჭრობა-მრეწველობას. ერთი ხნის შემდეგ ამერიკიდან ოქროს და ვერცხლის შემოსვლამ თანდათან იკლო, რადგან მად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნები მაღაროებში შემცირდა და გზებში რაც იყო, ინგლისელებმა და ჰოლანდიელებმა გაიტაცეს.

ფილიპე მე-II-ს მემკვიდრეების (ფილიპე მე-III და მე-IV) მეფობაში სახელმწიფო ქონებრივათ კიდევ უფრო დაეცა, უმთავრესათ მის შემდეგ, როცა ფილიპე მე-III-მ 800000 მორისკი განდევნა. მე-XVII-ე საუკ. პირველ ნახევარში ისპანიამ თავისი წინანდელი მნიშვნელობა დაკარგა და დაიკავა მეორე ხარისხოვანი ადგილი, პირველობა დარჩა საფრანგეთს, ინგლისსა და ჰოლანდიას.

მესამე თავი.

ინგლისი და შოტლანდია კათოლიკური რეაქციის დროს.

კათოლიკურ რეაქციის ცდა ინგლისში დედოფალ მარიამ მონისხლეს დროს (1553—58).

ედუარდ მე-VI-ს სიკვდილის შემდეგ სასახლის პროსტანტების პარტია შეეცადა ტახტზე მეფის შორეული ნათესავი აეყვანა და გვერდი აეცლო ედუარდის უფროსი დის **მარიამისთვის**, რომელიც ჰენრის მე-VIII-ს ეკატერინე არაგონელისაგან შეეძინა. ხალხის უმეტესობა კი მარიამის მხარეზე იყო და მისი შემწეობით მან კიდეც დაიჭირა მამის ტახტი. მარიამი გულმოდგინე კათოლიკე იყო და გადასწყვიტა ინგლისში ისევ კათოლიკური ეკლესია აღედგინა. ამასვე ურჩევდა მას მისი ქმარი ფილიპე მე-II-ე. დადგა ხანა პროტესტანტების ულმობელი დევნისა. 300-მდე კაცი კოცონზე დასწვეს, მათ შორის იყო კენტერბერიის მთავარეპისკოპოზი კრანმერიც. ინგლისში აღადგინეს კათოლიკური ღვთის მსახურება და პაპის უზენაესობა ინგლისის ეკლესიაზე ხელახლა აღიარეს. დედოფალს უნდოდა ჰენრიხ მე-VIII-ს მიერ ჩამორთმეული სამონასტრო მიწებიც ისევ ეკლესიისთვის დაებრუნებია, მაგრამ მას წინააღუდგა თავადაზნაურობა, რადგან უმეტესი ნაწილი ჩამორთმეულ მიწებისა მის ხელში იყო. დედოფლის ასეთმა განზრახვამ თავად-აზნაურობა სამუდამოთ ჩამოაშორა კათოლიკურ რეაქციას და მიაკედლა რეფორმაციას. მასთან დიდძალი პროტესტანტების წამებამ ხალხზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ხალხი დევნულებს თანაუგრძნობდა, დედოფალს კი აუგებდა. პროტეს-

ტანტიზმი ხალხში თანდათან ნიადაგს პოულობდა; ხალხი იმედოვნებდა, რებდა მარიამის მემკვიდრეს — **ელისაბედს**, რომელიც ჰენრიხ მე-VIII-ს შეეძინა ანა ბოლეინისაგან. მარიამს არ უყვარდა თავისი და, რადგან ამჩნევდა, რომ მას სურდა მისი ტახტის დაკავება და ამიტომ ცდილობდა მის დაღუპვას. ელისაბედი დის მართველობის დროს მუდამ შიშში იყო და ფრთხილად ცხოვრობდა, რომ დისაგან მარცხი არ შეხვედროდა; ასეთმა ცხოვრებამ ის შეაჩვია თავის შეკავებას დ მძიმე მდგომარეობის ატანას. თავისუფალ დროს ელისაბედი სწავლობდა მეცნიერებას დ დიდი ცოდნაც შეიძინა. ელისაბედი ყოველგვარ ხიფათს გადარჩა თავისი წინდახედულობით დ ფილიპე მე-VI-ის მფარველობით, რადგან მას უნდოდა სნეული მარიამის სიკვდილის შემდეგ ის ცოლათ შეერთო. 1558 წ. მარიამი, რომელსაც სიმკაცრისათვის **„მოსისხლე“** უწოდეს, გარდაიცვალა და ელისაბედი, ყველა ინგლისელების სასიამოვნოთ, ტახტზე ავიდა.

ელისაბედის მართველობა. რელიგიური პოლიტიკა. ბრძოლა მარიამ სტიუარტთან ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება.

ელისაბედი გამეფებისთანავე რეფორმაციას მიემხრო, ვინაიდგან იცოდა, რომ მარიამის ცდამ კათოლიციზმის აღსადგენათ უნაყოფოთ ჩაიარა. კათოლიკენი ელისაბედს ჰენრიხ მე-VIII კანონიერ შვილათ არ ცნობდნენ, რადგან პაპმ მამა მისის განქორწინება არ იცნო და ანა ბოლეინთან ქორწინება არ დააკანონა.

ანგლიკანურმა ეკლესიამ ელისაბედის დროს დამთავრებული სახე მიიღო. რაც შეეხება რეფორმაციის უკიდურეს მიმდინარეობას, მაგ. კალვინისტებს, მათ დედოფალი არ აძლევდა ნებას ღვთისმსახურება აესრულებინათ, სისტემატიურად კი არ სდევნიდა, თუ აშკარა პროპაგანდაში არ შენიშნავდა. ელისაბედი პირველათ კათოლიკებსაც ლმობიერათ ეპყრობოდა, მხოლოდ მათთან დამოკიდებულობა ჩაიშალა მის შემდეგ, როცა იმას შეტაკება მოუხდა შოტლანდიის დედოფალ მარიამ სტიუარტთან.

მარიამ სტიუარტი გულმოდგინე კათოლიკე იყო და ამიტომ მას არ შეეძლო შოტლანდიელ კალვინისტებთან (ანუ პრესვიტერიანები) განწყობილებაში ყოფილიყო და მათთან თანხმობით ეცხოვრა. პარიქით მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ კალვინისტებმა ის შოტლანდიიდან გააძევეს. დევნილმა მარიამმა თავი ინგლისში შეაფარა (1568). ელისაბედის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის სასიამოვნო არ იყო მარიამის იქ ყოფნა, ვინაიდგან მარიამი, ისევ
ორც შორეული ნათესავი ჰენრიხ მე-VIII-ისა, კათოლიკეთა თვალში
ინგლისის სამეფო ტახტის ნამდვილ მემკვიდრეთ ითვლებოდა, ამიტომ
ელისაბედმა მარიამის დატყვევება გადასწყვიტა. ამ საქმეში ელისაბედს
ოჩევას აძლევდა გამოჩენილი მინისტრი ლორდი **ბერლეი**, რომელიც ელი-
საბედის ერთგულიც იყო და რეფორმაციის გულითადი დამცველიც. მა-
რიამის დატყვევებამ ინგლისის ჩრდილო ნაწილებში კათოლიკე არისტო-
კრატიის ამბოხება გამოიწვია, რაც მკაცრი ზომებით ჩააქრეს. მაშინ პაპი
პიუს მე-V-მ 1570 წ. განსაკუთრებული ბულა გამოსცა და გამოაცხადა,
რომ ელისაბედი ეკლესიიდან განშორებულია და ტახტიდან გადაყენებუ-
ლია, ხალხს კი ქვეშევრდომობის ფიცი ახსნილი აქვსო. ამ დროიდან
ელისაბედსა და კათოლიციზმის მომხრეთა შორის იწყება დაუცხრომელი
ბრძოლა. კათოლიკები სახელმწიფო სამსახურიდან დაითხოვეს, პაპისთან
საიდუმლო კავშირი სახელმწიფო ღალატად გამოაცხადეს და, ვინც ამაში
შეინიშნებოდა, სიკვდილით ისჯებოდა; კათოლიკე მღვდლების წინააღმ-
დეგ განსაკუთრებით იეზუიტებით, რომლებიც ფარულად ინგლისში მო-
დიოდნენ, მკაცრი ზომები იყო მიღებული.

კათოლიკები თავის მხრივ აწყობდენ შეთქმულობას ელისაბედის
წინააღმდეგ ფილიპე მე-II-ის შემწეობით, რომელმაც უკვე შესწყვიტა წი-
ნანდელი მეგობრული დამოკიდებულება ელისაბედთან. ამ შეთქმულებებ-
ში მონაწილეობას იღებდა დატყვევებული მარიამიც. ყოველი შეთქმუ-
ლობა დაუღალავი ბერლეის მიერ გამოაშკარავებული დიდს უკმაყოფი-
ლებას იწვევდა კათოლიკების და მარიამის წინააღმდეგ. ხალხი მოითხოვ-
და შოტლანდიის დედოფლის წამებას. ცოტა რყევის შემდეგ ელისაბედ-
მა მარიამი სამართალში მისცა; სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწ-
ყვიტა; მცირე რყევის შემდეგ ელისაბედმა დაამტკიცა სასამართლოს განა-
ჩენი, და ბერლეიმ კი დააჩქარა მისი სისრულეში მოყვანა 1587 წ. მა-
რიამი მამაცურად შეხვდა სიკვდილს, უკანასკნელ წუთამდე თავის რწმენა-
ზე დარჩა. კათოლიკებთან ბრძოლამ ელისაბედი პროტესტანტურ ევრო-
პის მეთაურად გახადა. მან კარგად იცოდა, რომ კათოლიციზმის გამარჯ-
ვება ნიდერლანდსა და საფრანგეთში მას საფრთხეში ჩააგდებდა და ამი-
ტომ ენერგიულად დაუწყო დახმარება საფრანგეთის პროტესტანტებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიდერლანდის ოლქებს. საქმის მიმდინარეობა პირისპირ მოწინააღმდეგენ აყენებდა ელისაბედს და კათოლიკურ რეაქციის სულის ჩამდგმელ ფილიპე მე-II-ს. ფილიპემ გადასწყვიტა დაეპყრო ინგლისი და ამით უკანასკნელი ლახვარი ჩაეცა პროტესტანტიზმისათვის, მაგრამ მის მიერ ინგლისის წინააღმდეგ 1588 წ. „დიდი ჯარი", დამარცხებული უკან დაბრუნდა, რასაც ისპანიის სამხედრო ძლიერების დაცემაც მოჰყვა.

ელისაბედის მოქმედება მარიამ სტიუარტის და კათოლიკეთა საწინააღმდეგოთ ხალხს ძლიერ მოსწონდა. განსაკუთრებით ის მოსწონდათ ვაჭარ-მრეწველებს, რომლებმაც მის მეფობაში დიდი გავლენა და მნიშვნელობა მოიპოვეს. ინგლისში უფრო შალეულობის კეთება გავრცელდა, რამაც მატყლის მოთხოვნილება საკმაოთ გაზარდა. ამიტომ ბევრი მიწის მფლობელი მიწის იჯარით გაცემის მაგიერ შეუდგა ცხვრის ფარის მოშენებას, ამის გამო მიწის მოიჯარადრები ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ, დაღარიბდენ და მიემატენ ღარიბთა ანუ **პაუპერების** კლასს, რომელიც მუდამ მზათ იყო ამბოხება მოეხდინა და ბოროტმოქმედება ჩაედინა. ამ ბოროტებას დედოფალი ებრძოდა, მან აიძულა სოფლის და ქალაქის თემები, რომ ღარიბებისთვის თავშესაფარი სახლები აეგოთ და ღარიბები იქ შეენახათ.

როგორც ვაჭრობა-მრეწველობის მხრივ, ისე გონებრივადაც ინგლისი ძლიერ დაწინაურდა. ელისაბედის დროს მოღვაწეობდა ინგლისის უდიდესი პოეტი და ევროპის დრამატიული მწერალი **შექსპირი** და ფილოსოფოსი **ფრენსის ბეკონი.** დედოფალი არა მარტო მფარველობდა მეცნიერებს და ლიტერატორებს, არამედ თვითონ იყო იმ დროის განათლებულ ქალთაგანი. ინგლისის ცხოვრების ყოველმხრივმა განვითარებამ ელისაბედის მეფობას მშვენიერი სახე მისცა. შთამომავლობის ხსოვნაში ელისაბედის მეფობა საუკეთესო ხანათ არის აღბეჭდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე თავი.

საფრანგეთი კათოლიკური რეაქციის დროს

სარწმუნოებრივ—პოლიტიკური ომები საფრანგეთში „ბართლომეს ღამემდი“.

ჰენრიხ მე-II-ის მიერ მიღებულმა მკაცრმა ზომებმა რეფორმაციის წინააღმდეგ საფრანგეთში ვერ შესძლო პროტესტანტების ძალების შესუსტება: კალვინიზმი თანდათან ძლიერდებოდა მსხვილ ბურჟუაზიისა დ არისტოკრატიის შორის. იტალიური ომების გათავების შემდეგ არისტოკრატიამ მთელი თავისი სამხედრო ძალა სარწმუნოებრივ ბრძოლას მოახმარა. რეფორმაციაში ფეოდალური სენიორები ხედავდენ საუკეთესო საშუალებას, რომ მეფის განუსაზღვრელი უფლება შეეზღუდათ. **რელიგიური ომების დროს სურვილი მეფის აბსოლუტიზმის განსაზღვრის შესახებ კათოლიკებმაც გაიზიარეს, ასე რომ ამ ომებს რელიგიური ხასიათის გარდა პოლიტიკურიც მიეცა.** ამკარა მტრობა პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის დაიწყო ჰენრიხ მე-II-ის შვილების მეფობაში.

პროტესტანტებს მეთაურობდენ **ბურბონები**, უმცროსი შტო სამეფო სახლობისა, კათოლიკეთა პარტიას კი ხელმძღვანელობდენ ჰერცოგი გიზები, ნათესავები მარიამ სტიუარტისა, რომელიც ცოლათ გაჰყვა ჰენრიხ მე-II-ს შვილს ფრანცისკ მე II-ს. ფრანცისკის დროს გიზებს დიდი გავლენა ჰქონდათ და ნიადაგს ამზადებდენ პროტესტანტების გასაჟლეტათ. ფრანცისკ მე-II-ე მალე გარდაიცვალა, სულ ერთი წელიწადი იმეფა. მის შემდეგ გამეფდა მისი ძმა **კარლოს მე-IX**. ახალ მეფეზე დიდი გავლენა ჰქონდა მის დედას **ეკატერინე მედიჩის** ასულს. მას ძლიერ ეშინოდა გიზების გაძლიერების და ამიტომ პროტესტანტების წრეში ეძებდა დახმარებას. ეკატერინე მედიჩი უფრო მეტათ მეფის უფლების უზენაესობაზე და სახელმწიფოში მშვიდობიანობის დამყარებაზე ზრუნავდა და ამიტომ ის პირველ ხანებში ყველა სარწმუნოებრივ მიმდინარეობას შეწყნარების თვალით უქცერდა. 1562 წელს ეკატერინემ თავისი თანაშემწის კანცლერ **ლოპიტალის** რჩევით გამოსცა ედიკტი, რომლითაც გაანთავისუფლა ყველა, ვინც სარწმუნოებრივი დამნაშაობისათვის დატყვევებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და თანაც ნება მისცა პროტესტანტებს თავისუფლათ აღესრულებინათ ღვთისმსახურება ქალაქს გარეთ მინდორში. კათოლიკეებსაც პროტესტანტების შესათანხმებლათ ეკატერინემ მოაწყო მათ წარმომადგენელ ღვთისმეტყველთა შორის მოლაპარაკება და სარწმუნოებრივი საუბარი, მაგრამ ედიკტმაც და ამ მოლაპარაკებამაც უნაყოფოთ ჩაიარა. გიზების მეთაურმა ფრანცისკმა შეაკავშირა კათოლიკები და სოფელ ვასაში — შამპანიაში 1562 წელს პროტესტანტების ელეტა მოახდინა, რაც ნამდვილ ომათ გადაიქცა. სამჯერ გამეორდა ეს ომი და კიდევ არ გამოირკვა ვინ გაიმარჯვა. ერთი შეტაკების დროს თვით ფრანცისკი დაიღუპა და მისი ადგილი მისმა შვილმა ჰენრიხმა დაიჭირა. პროტესტანტებს შორის პირველი ადგილი ეჭირათ ახალგაზრდა **ჰენრიხ ბურბონს**, რომელმაც დედისაგან მემკვიდრეობით ნავარიის სამეფო მიიღო და ადმირალ კოლინიის. ამ ორ პარტიათა ბრძოლის დროს ეკატერინე კათოლიკური პარტიის მხარეზე გადავიდა. ენერგიულმა პროტესტანტების წინააღმდეგობამ, ქალაქების უკმაყოფილებამ და მასთან ხაზინის შესუსტებამ ეკატერინე აიძულა, რომ პროტესტანტებს* ზავით შეკვროდა ს. — ჟერმენში 1570 წ. ამ ზავით პროტესტანტებს ნება მიეცათ მთელ სამეფოში თავისუფლათ გავრცელებიათ თავისი სარწმუნოება, დაუფარავათ აესრულებიათ ღვთისმსახურება არისტოკრატიის კოშკებში და ყოველი ოლქის (საფრანგეთი ოლქებათ იყო დაყოფილი) 2 ქალაქში. ზავი რომ არ დარღვეულიყო და კიდევ ომი არ ატეხილიყო, პროტესტანტებს მისცეს 4 ციხე სიმაგრე 2 წლით და ნათესავური კავშირის გასამტკიცებლათ — გადასწყვიტეს მეფის და — **მარგარიტა** ჰენრიხ ბურბონისთვის ცოლათ შეერთოთ.

ბართლომეს ღამე. გაგრძელება და დაბოლოვება რელიგიურ-პოლიტიკური ომებისა.

ჰენრიხ ნავარელის და მარგარიტას ქორწილზე 1572 წ. პარიზში თავი მოიყარეს გუგენოტების გავლენიანმა წინამძღოლებმა, მათ შორის ადმირალი კოლინიიც იყო. ეკატერინე მედიჩი ძალიან შეწუხდა და თანაც შეშინდა, როცა გაიგო, ადმირალ კოლინიიმ მეფეზე დიდი გავლენა მოიპოვაო. განიზრახა ადმირალის მოსპობა და კიდეც მიაგზავნა საიდუმლოთ მკვლელი, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია; შემდეგ

* პროტესტანტებს საფრანგეთში ჰუგენოტებს უწოდებდენ (დამახინჯებული სიტყვა „eidgenosse“ ე. ი. შვეიცარიის კავშირის წევრები).

ეკატერინემ გადასწყვიტა შეთანხმებულიყო ჰენრიხ გიზთან, რომელსაც გუგენოტების თავმოყრით უნდოდა ესარგებლა და ერთიანად ამოეჟლიტა ისინი. პარიზელების სულის კვეთება, როგორც კათოლიკური ეკლესიის ფანატიკოსების და ჰენრიხის მიერ დასახული გეგმის შესრულებას ხელს უწყობდა. მეფეს არ უნდოდა გაეცა კოლინი და მისი ამხანაგები, მაგრამ, როცა მეფეს უთხრეს, რომ გუგენოტები მის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენო, ის დათანხმდა, რომ გუგენოტები გაეჟლიტათ. წმ. ბართლომეს ღამეს 24 აგვისტოს ბრბო შედგენილი გიზის მიერ პარიზის ხელოსნების და ვაჭრებისგან, აზნაური კათოლიკენი თავისი ხლებულებით და მეფის გვარდია დანიშნულ დროს წინასწარ საიდუმლოთ შეთანხმებულნი თავს დაესხენ გუგენოტებს, რომლებიც საფრთხეს არსაიდან არ მოელოდენ. ჟლეტა—ხოცვის დროს დაიღუპა კოლინი, მასთან ერთად ყველა გამოჩენილი ბელადები და რამდენიმე ათასი რეფორმაციის მომხრე პირი. ხოცდენ განურჩევლათ სქესისა და ხნოვანობისა. სამეფო სასახლეში, ეგრედ წოდებულ ლუვრში, ყველა კიბეები და დერეფნები სისხლით იყო დასვრილი. ჰენრიხ ნავარელმა კათოლიკობა მიიღო და ამით თავი გადაირჩინა. გუგენოტების ხოცვა შემდეგ დღეებშიც განახლდა და პარიზიდან გადავიდა პროვინციაში, სადაც რამდენიმე ათასი ადამიანი იმსხვერპლა. ამ საშინელმა სურათმა განცვიფრებაში მოიყვანა მთელი ევროპის პროტესტანტობა. პაპიმ ბრძანება გასცა, რომ კათოლიკების ასეთი გამარჯვების გამო სამადლობელი პარაკლისი გადაეხადათ. კათოლიკების გამარჯვება ხანგრძლივი არ ყოფილა. თავზარდაცემული გუგენოტები გონს მოვიდენ და ხელახლა იარაღს მოჰკიდეს ხელი. ძალე სამხრეთ საფრანგეთში იფეთქა ამბოხებამ. ამბოხების ცენტრათ გახდა გამაგრებული ქალაქი ლიაროშელი. კარლოს მე-IX სინიდისის ქეჯნით ძალიან შეწუხებული ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა. მის შემდეგ ტახტი დაიკავა მისმა ძმამ **ჰენრიხ მე-III-მ,** რომელიც მეტათ ფუქსავატი და გარყვნილი ადამიანი იყო. მისი მეფობის პირველ წლებში პროტესტანტებმა რამდენჯერმე გაიმარჯვეს და მეფე აიძულეს მათთვის ბევრი რამ დაეთმო. ეს არ მოეწონათ უკიდურეს კათოლიკეთ, რომლებიც ჰენრიხ გიზის მეთაურობით შეუდგენ განსაკუთრებული კავშირის შედგენას მწვალებლებთან საბრძოლველათ. ამ კავშირს ეწოდებოდა **„კათოლიკური ლიგა“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1585 წ. მან მიიღო სრული სახე. ლიგამ დაიკავა კავშირი მე-II-თან, რომელიც ფულით და ჯარით დახმარებას უწევდა მას. მალე ლიგა ისე გაძლიერდა, რომ მისმა მეთაურმა ჰენრიხ გიზმა მეფის სახელი სრულიად დაჩრდილა, მით უმეტეს, რომ ხალხს ის მაინც არ უყვარდა სამარცხვინო ყოფაქცევისა და ცუდი მართველობისათვის. 1588 წ. გიზის შემწეობით მეფეს აუმხედრდა ქალ. პარიზი. უცებ მეფემ ველარ მოახერხა თავის დაცვა და ამიტომ ყველაფერი დაუთმო ლიგას, მაგრამ გიზისადმი შურისძიებით კი აიტაცა. იმავე წელს ბლუაში შეიკრიბა გენერალური შტატები, სადაც დიდი უმეტესობა ლიგისტები იყვენ. აქ მეფის ბრძანებით ჰენრიხ გიზი მოკლეს მეფის საძილო ოთახის წინ. ამის შემდეგ ლიგა აშკარათ გამოვიდა ჰენრიხ მე-III წინააღმდეგ და გამოაცხადა, რომ მეფე ტახტიდან გადაყენებულიაო. მეფემ დაიხმარა გუგენოტები და მათი ბელადი ჰენრიხ ნავარელი, რომელიც ხელმეორეთ პროტესტანტების მხარეზე გადავიდა. მას მიემხრენ ზომიერი კათოლიკენი, რომლებმაც ცალკე შეადგინეს ეგრეთ წოდებული **პოლიტიკების** პარტია. ამათი სურვილი იყო სახელმწიფოში წესიერება აღედგინათ და სარწმუნოებრივი ბრძოლა მოესპოთ. ლიგისტების ამბოხებას ისინი კიცხავდენ. ამ დროს მეფემ და ჰენრიხ ნავარელმა პარიზს ალყა შემოარტყეს.

ალყის შემორტყმის დროს ერთმა ფანატიკოსმა ბერმა ჟაკ. კლემანმა მოჰკლა ჰენრიხ მე-III-ე. მისი სიკვდილით დასრულდა ვალუას სახლის გვარეულობა და ტახტზე კანონიერათ ავიდა ბურბონის სახლის წარმომადგენელი ჰენრიხ ნავარელი — ჰენრიხ მე-IV-ის სახელწოდებით. ახალმა მეფემ მხოლოდ მაშინ შესძლო პარიზის დაბრუნება, როცა ისევ კათოლიკობა მიიღო. ამის შემდეგ ომი მალე გათავდა. გუგენოტები ჰენრიხ მე-IV-მ დაამშვიდა ნანსის ედიკტით, რომელიც 1598 წელს გამოსცა. ამ ედიკტით გუგენოტებმა მიიღეს: I. სარწმუნოების სრული თავისუფლება, II. ღვთისმსახურების აღსრულების უფლება არისტოკრატების კოშკებში, სასამართლო ოლქის ყოველ ქალაქში და იქაც, სადაც უწინ სარგებლობდენ ამ უფლებით. III. სრული გათანასწორება კათოლიკებთან; IV უფლება სინოდის მოწვევისა სარწმუნოებრივი საკითხების გასარჩევათ, და ცალკე ყრილობების პოლიტიკური საკითხებისთვის გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწყვეტათ; V. ასამდე ციხე რვა წლის ვადით, რომ მოპოვებულ ვისუფლება უზრუნველყოფილიყო.

ნანსის ედიკტი გუგენოტებს ისეთ უპირატესობას ანიჭებდა, პოლიტიკური ყრილობების მოწვევით და ციხე-კოშკების გადაცემით, რომ იმათ შეადგინეს ცალკე სახელმწიფო სახელმწიფოში. ადრე თუ გვიან ფრანგების მეფეებს ეს უფლებები უნდა წაერთმიათ მათთვის, ვინაიდან ეს მოვლენა სრულიად არ ეთანხმებოდა მეფის სრულუფლებიანობას..

მეხუთე თავი.

უკანასკნელი ბრძოლა კათოლიკებსა და პროტესტებს შორის გერმანიაში. შვეციის ამაღლება.

გერმანია მე-XVI საუკ. ბოლოს და მე-XVII-ე საუკ. დასაწყისში. ოცდაათწლიანი ომი.

აუსბურგის ზავმა (1555 წ.) სამუდამოთ ვერ გადაწყვიტა სარწმუნოებრივი საკითხი პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის. ამ ხელშეკრულებაში კალვინისტებზე არაფერი იყო ნათქვამი მაშინ, როდესაც კალვინიზმი სამხრეთსა დ შუა გერმანიაში ძლიერ გავრცელებული იყო. გარდა ამისა, აუსბურგის დადგენილება (cujus regio, ejus religio), რომელიც ყოველ მთავარს უფლებას აძლევდა ყოველი ქვეშევრდომისთვის თავისი სარწმუნოება ძალით თავზე მოეხვია, ამწვავებდა მოპირდაპირე პარტიათა დამოკიდებულებას, ვინაიდგან პროტესტანტი მთავრები ავიწროვებდენ დ სდევნიდენ ქვეშევრდომ კათოლიკებს და კათოლიკე მთავრები კი პროტესტანტ ქვეშევრდომებს. ამიტომ ახალი ბრძოლა მოსალოდნელი იყო და კიდეც უნდა დაწყებულიყო, მაგრამ კარლოს მე-V მემკვიდრეების ფერდინანდ I და მაქსიმილიანე მე-II-ს შემარიგებელმა მართველობამ ეს ბრძოლა შეანელა და რამდენიმე ხნით ვადასდო. საქმის გარემოება შეიცვალა, როდესაც გამეფდა მაქსიმილიანე მე-II შვილი რუდოლფ მე-II, რომელიც გულმხურვალე კათოლიკე იყო და ოცნებობდა პროტესტანტები მოესპო იმპერიაშიც და თავის სამემკვიდრო მამულებშიაც. ამ დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათოლიკურ რეაქციას სათავეში ჩაუდგა ორი გამოჩენილი პირი, ერ-
ელი ერცჰერცოგი **ფერდინანდი** და ბავარიის ჰერცოგი **მაქსიმილიანე**.
ორივე თავიანთ მამულებში პროტესტანტიზმს საშინელი დევნა დაუწყეს.
მათ საპასუხოთ პროტესტანტების მთავრებმა ურთიერთ დასაცავად 1608
წელს შეადგინეს ცალკე კავშირი ანუ უნია, რომელსაც მეთაურობდა
პფალცელი კურფიურსტი **ფრიდრიხი**. მაშინ მაქსიმილიანე ბავარელმა შე-
მდეგ (1609 წ.) ზოგიერთ კათოლიკ მთავრებისაგან შეადგინა კავშირი
ანუ ლიგა, რომელიც კათოლიციზმს უნდა დახმარებოდა. ამ დროს რუ-
დოლფ მე-II-მ, რომელმაც სრული უნიჭობა გამოიჩინა სახელმწიფო მა-
რთვა-გამგეობაში, თავისი სამემკვიდრო მიწები, გარდა ჩეხიისა, თავის ძმას
მათეს გადასცა. ჩეხია შეირჩინა იმ გარემოებით, რომ გამოსცა ცალკე
კანონი ეგრეთ წოდებული „სიგელი მისი უდიდესობისა", რომელიც ჩე-
ხელებს სარწმუნოების და ღვთისმსახურების სრულ თავისუფლებას ანი-
ჭებდა. მიუხედავათ ამისა, რუდოლფი მალე წაეკიდა ჩეხელებს, რომლე-
ბმაც უარჰყვეს მისი მეფობა და მეფეთ მათე გამოაცხადეს. რუდოლფი
შემდეგ წელში გარდაიცვალა და მათემ კანონიერათ ტახტი დაიკავა.
კათოლიკობაში მათე სჭარბობდა რუდოლფს, ამიტომაც მან მალე და-
არღვია „სიგელი მისი უდიდესობისა" და ამით ხალხში დიდი ამბოხება
გამოიწვია, რაც დასაწყისი იყო ოცდაათ წლიანი ომისა.

ოცდაათწლიანი ომი (1618—1648) ვალენ-შტეინის სიკვდილამდი (1634)

იმპერატორი მათე ჩეხების ამბოხების დაწყებისას გარდაიცვალა. მის მოადგილეთ კურფიურსტებმა აირჩიეს გულმხურვალე კათოლიკობით ცნობილი შტირელი ერცჰერცოგი ფერდინანდი. ჩეხებმა ფერდინანდი თავის მეფეთ არ იცვნეს და თავის მხრივ აირჩიეს პროტესტანტების უნიის მეთაური პფალცელი ფრიდრიხი. ამ შემთხვევამ აიძულა კათოლიკეთა ლიგა მაქსიმილიანე ბავარელის მეთაურობით, რომ დახმარებოდა იმპერატორ ფერდინანდს. ამგვარად კერძო ხასიათის უთანხმოება ჩეხებსა და ფერდინანდს შორის მთელ გერმანიის საერთო უთანხმოებათ გადაიქცა. ლიგის შემწეობით, რომლის ლაშქარსაც წინამძღოლობდა უნიჭიერესი ბავარელი გენერალი **ტილლი**. იმპერატორმა ჩეხთა ამბოხებაც ჩააქრო და ჩეხიაშიაც კათოლიკური რეაქცია გაატარა, რამაც

ეროვნული

ჩეხების ეროვნული თავმოყვარეობა დაამცირა. ჩეხიის დაწყნარების შემდეგ ტილლი გაგზავნეს ფრიდრიხ პფალცელის სამემკვიდრო მამულებში საპყრობათ, რაც მან კიდეც შეასრულა, ფრიდრიხი თავის სამფლობელოდან განდევნეს, კურფიურსტის ღირსება წაართვეს და მაქსიმილიანე ბავარელს გადასცეს. პფალციდან ტილლი ჩრდილო გერმანიისკენ წავიდა, რამაც გამოიწვია დანიის მეფის ქრისტიანე მე-IV-ის ომში ჩარევა პროტესტანტების დასახმარებლათ. ამის გამო იმპერატორმა ერთ თავის საერდალს **ალბრეხტ ვალენშტეინს** ახალი ჯარის შეკრება მიანდო. ვალენშტეინმა სწრაფად შეასრულა იმპერატორის დავალება და დიდძალ ჯარს მოუყარა თავი. ქრისტიანე მე-VI-ე ძალიან სუსტი გამოდგა, რომ კათოლიკების ორივე სარდლებს შებრძოლებოდა. რამდენჯერმე დამარცხებულმა ქრისტიანემ ითხოვა ზავი, ამასობაში ვილენშტეინმა დაიპყრო მეკლენბურგი, რომელიც იმპერატორმა მასვე უთავაზა, როგორც საიმპერიოლენი და კიდეც დანიშნა „ოკეანსა და ბალტიის ზღვის გენერალათ“. ტილლის და ვალენშტეინის გამარჯვების გამო იმპერატორმა 1629 წ. გამოსცა ეგრეთ წოდებული **“რესტიტუციონური ედიკტი“** (ბრძანება აღდგენაზე), რომლის ძალით პროტესტანტებს კათოლიკებისთვის უნდა დაებრუნებიათ ის მიწები, რომელნიც 1552 წლიდან ჰქონდათ ჩამორთმეული. ეს ედიკტი პირდაპირ ანადგურებდა პროტესტანტებს, თვით ვალენშტეინი წინააღმდეგი იყო ასეთი მკაცრი ზომისა, ვინაიდგან მას უფრო აინტერესებდა მთავრების დამოუკიდებლობის მოსპობა და არა კათოლიკობის გამარჯვება და პროტესტანტობის დამარცხება. რესტიტუციონური ედიკტი მეფის დიდი გამარჯვების ნიშანი იყო. მალე სამხედრო ბედიც შეიცვალა და სულ სხვა გარემოება შეიქნა. ამის მიზეზი იყო ორი: ერთი — რომ ვალენშტეინის გაძლიერებამ მთავრები მეტათ შეაშინა და მათ მეფე აიძულეს ვალენშტეინი სამსახურიდან დაეთხოვა და ჯარიც გაეშვა; მეორე — ისა, რომ ომში ჩაერია შვეციის მეფე გუსტავ ადოლფი.

გუსტავ ადოლფმა პროტესტანტების დახმარება გადასწყვიტა, რელიგიური და პოლიტიკური მოტივებით. ერთი მხრით ის პროტესტანტიზმის მიმდევარი იყო და მის შეურაცხყოფას ვერ მოითმენდა; მეორე მხრივ იმპერატორის გამარჯვება, განსაკუთრებით მეკლენბურგის დაპყრობა, საფრთხეს უმზადებდა ბალტიის ზღვაზე შვედების ბატონობას, მით უმეტეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იმპერატორი დაუახლოვდა პოლონეთს, რომელსაც შვედეთი მეზობ-
ლათ ეპყრობოდა. გუსტავ ადოლფის ომში ჩარევამ სამხედრო ოპერაციების
მსვლელობა სრულიად შესცვალა. ტილლი, რომელმაც წინათ მაგდებურ-
გი აიღო და დააქცია, გუსტავ ადოლფმა ლეიპციგთან სასტიკათ დაამარ-
ცხა, და გერმანიის მთელი შუა ნაწილი თავისუფლათ დაიკავა. შემდეგ გუს-
ტავი ბავარიაში შევიდა და ქ. მიუნხენი აიღო. იმპერატორის მდგომარე-
ობა ძალიან ცუდი შეიქმნა, ჯარი მას არ გააჩნდა, ვენას კი შვედების შე-
მოსვლა მოელოდა. ასეთმა მდგომარეობამ აიძულა იმპერატორი ხელახ-
ლა ვალენშტეინისთვის მიემართა. ვალენშტეინმა კი ძალიან მძიმე პი-
რობები წამოაყენა. ის მოითხოვდა: სიკვდილამდი მთავარსარდლათ და-
ნიშვნას, ყველა სამხედრო პირების, გარდა გენერლებისა, განწესების
უფლებას და გერმანელ მთავრებთან საზავო მოლაპარაკების ნებას. იმპე-
რატორი იძულებული იყო, რომ ეს პირობები მიეღო, ვალენშტეინმა კი
რამდენიმე კვირის განმავლობაში ყოველი ეროვნებისაგან შემდგარი დიდ-
ძალი ჯარი შეაგროვა. გუსტავ-ადოლფს ვალენშტეინი ლუცენთან (საქ-
სონიაში) შეხვდა. ბრძოლა შვედების გამარჯვებით გათავდა, მაგრამ თვით
გუსტავ-ადოლფი ბრძოლის ველზე დაეცა (1632 წ.)

გუსტავის სიკვდილის შემდეგ ვალენშტეინს შეეძლო მტრების სრუ-
ლი დამარცხება, მაგრამ მან შეჩერება არჩია და პროტესტანტების მთავ-
რებთან სამშვიდობო მოლაპარაკება გამართა და შვედებს თითქმის კიდეც
შეუკავშირდა. ამან დიდი შიში გამოიწვია ვენაში და ამიტომ იმპერატორ-
მა ვალენშტეინი სამსახურიდან დაითხოვა. მაშინ ვალენშტეინი აშკარათ
შვედების მხარეზე გადავიდა, მაგრამ 1634 წ. ეგერის კოშკში ვიდაც მო-
ღალატე ჯარის კაცმა მოჰკლა.

ოცდაათწლიანი ომის გათავება ვესტფალიის ზავი (1648 წ.).

ვალენშტეინის მოკვლის შემდეგ იმპერატორის
გენერლებმა საშინლათ დამარცხეს შვედები ნერდ-
ლინგენთან. ამ შემთხვევამ აიძულა საფრანგეთი,
რომ ომში ჩარეულიყო, ვინაიდგან მას არ სურდა გაბსბურგების გაძლიე-
რება. მასთან ამ დროს ომმა სრულიად დაჰკარგა სარწმუნოებრივი ხასი-
ათი და პირველი ადგილი პოლიტიკურმა ინტერესებმა დაიჭირა. საფრან-
გეთი, შვეცია და გერმანელი მთავრები იბრძოდენ თავისი ძალა-უფლების
გასაძლიერებლათ და ახალი მამულების შესაძენათ. მხოლოდ ერთად-ერთს
იმპერატორ ფერდინანდ მე-III-ს, ფერდინანდ მე-II-ის შვილს სახეში ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, გარდა პოლიტიკური ინტერესებისა, კათოლიციზმის გამარჯვებაც ნშირი იყო ისეთი შემთხვევაც, რომ პროტესტანტების ოფიცრები და სამ-დათები იბრძოდენ მეფისა და კათოლიკე მთავრების რაზმებში, კათოლიკები კი პროტესტანტების მხარეზე. სარწმუნოებრივი ფანატიზმის შესუსტებამ სრულიად არ შეანელა ომის სისასტიკე. პირიქით თავაშვებული ჯარის კაცები მარტო გამდიდრებაზე ფიქრობდენ, არბევდენ და ცარცვავდენ ყველას, ვინც კი შეხვდებოდათ. ბოლოს გერმანია ისე განადგურდა და გაიცარცვა, რომ ბევრი მჭიდროთ დასახლებული ადგილი უდაბნოთ იქცა და საერთო რიცხვი ხალხისა მთელ სახელმწიფოში განახევრდა. საერთოდ ორივე მხარე საკმაოთ მოიქანცა და ზავის პირობებზე დაიწყეს ფიქრი; დიდი მოლაპარაკების შემდეგ ვესტფალიის ქ. მიუნსტერში ფრანგებს შეეკვრენ ზავით და ქ. ოსნაბრიუკში შვედებს. ხელშეკრულობის პირობები ასეთი იყო:

ა) **ტერიტორიის დათმობანი და შეძენა:** საფრანგეთს დაუდასტურეს მისი უფლება 1552 წ. დათმობილ ქალაქებზე მეტცზე, ტულზე, ვერდენზე და ელზასის უმეტეს ნაწილზე სტრასბურგის გამოკლებით.

შვეციამ მიიღო დასავლეთ პომერანია მდინარე ოდერის დასაწყისით, ქ. შტეტინი და ზოგიერთი მიწები გერმანელების ზღვაზე, უმთავრესათ ბრემენის საეპისკოპოსოს მიწები.

ბრანდენბურგმა მიიღო აღმოსავლეთ პომერანია, მაგდებურგის, გალბერშტატის და მინდენის საეპისკოპოსო.

ბავარიამ შეინარჩუნა ნაწილი ტიროლის მიერ დაპყრობილი პფალცისა და კურფიურსტის უფლება; პფალცის მეორე ნაწილი მიაკუთნეს ფრიდრიხის შვილს, რომელიც კურფიურსტის უფლებით დასტოვეს.

ბ) **იმპერიის საერო საქმეები:** მთავრები და საიმპერიო ქალაქები იცვნეს იმპერატორისაგან დამოუკიდებლათ, მათ მიეცათ უფლება ერთმანეთ შორისაც და უცხო სახელმწიფოებთანაც კავშირები შეეკრათ, მხოლოდ ეს კავშირები იმპერატორის და იმპერიის საწინააღმდეგო არ უნდა ყოფილიყო.

გ) **იმპერიის სასულიერო საქმენი:** ხელმეორეთ დაადასტურეს აუსბურგის რელიგიური ზავი იმ დამატებით, რომ ის კალვინისტურ ეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესიაზედაც გავრცელდებოდა. კათოლიკების და პროტესტანტების ზავერები და ქალაქები გათანასწორდენ უფლების მხრივ. თუ ქვეშევრდომი სარწმუნოებისთვის იქნებოდა განდევნილი, მას შეეძლო წინასწარ მთელი თავისი მამული გაეყიდნა. სასულიერო მიწები, რომლებიც 1624 წ. პირველ იანვარს პროტესტანტების ხელში იყო, მათზე მტკიცდებოდა.

ვესტფალიის ზავი ერთი დიდმნიშვნელოვანი მომენტია გერმანიის და ევროპის ისტორიაში. დიდი ხნის უთანხმოება მთავრებსა და იმპერატორს შორის სამუდამოთ გადაწყდა მთავრების სასარგებლოდ. გერმანია დანაწილდა 300 პატარა სახელმწიფოთ, რომელთაც თითქმის არაფერი არ აერთებდათ და სიტყვა გერმანია გეოგრაფიულ ცნებათ გადაიქცა. ხანგრძლივი ბრძოლა საფრანგეთსა და გაბსბურგების სახელმწიფოებთან საფრანგეთის სასარგებლოდ დასრულდა და, რადგან გერმანია და ესპანია განადგურდა, მთელ ევროპაში პირველობაც საფრანგეთს დარჩა. რადგან შვეცია ბალტიის ზღვის სამხრეთ ნაწილზე გამაგრდა, მთელ ზღვაზედაც გაბატონდა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში პირველ ხარისხოვან სახელმწიფოთ გადაიქცა.

აბსოლიუტიზმის განვითარების ეპოქა და საფრანგეთის პირველობა ევროპაში.

თავი პირველი.

აბსოლიუტიზმის განვითარება საფრანგეთში.

ჰენრიხ მე-IV-ის მართველობა. წესრიგის აღდგენა და მეფის უფლების გაძლიერება.

სარწმუნოებრივი ომების გათავების შემდეგ ჰენრიხ მე-IV-მ ძალიან ცუდ პირობებში დაიჭირა ტახტი. სახელმწიფო სრულიად განადგურებული იყო, ყოველგან თვითნებობა და უსამართლობა მეფობდა, კარისკაცები და აზნაურები მეფეს უწინდულათ აღარ ემორჩილებოდენ, ხაზინა ცარიელი იყო.

ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ ახალი მეფე იძულებული გახდა პროტესტანტებისთვის ფართო უფლებები მიეცა, ასე რომ ისინი სახელმწიფოში წარმოადგენდენ განსაკუთრებულ, თითქმის დამოუკიდებელ ძალას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად ჰენრიხ მე-IV-ს წინაშე ორი საკითხი იდგა: I, მეფის უფლების გაძლიერება და მე-II-ე სახელმწიფოში კეთილდღეობისა და წესიერების აღდგენა. ჰენრიხ მე-IV-მ მართლაც შესძლო მეფის უფლების კვლავ აღდგენა და გაძლიერება. ამ მიზნის განსახორციელებლათ ის ხმარობდა მკაცრ ზომებს: მაგ. მან სიკვდილით დასაჯა თავისი ყოფილი მეგობარი ჰერცოგი **ბირონი,** რომელიც მოღალატე აღმოჩნდა; ზოგიერთი გამოჩენილი არისტოკრატები სამშობლოდან გააძევა, ზოგს თანამდებობა ჩამოართვა.

მეფის უფლების გაძლიერებასთან ერთად ხდებოდა ქვეყნის დამშვიდება და გამანადგურებელი სარწმუნოებრივი ომის ნაშთების მოსპობა. დიდი ხნის შემდეგ საფრანგეთს ეღირსა შინაური მშვიდობიანი ცხოვრება, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფოს ქონებრივ აღორძინებას. ჰენრიხ მე-IV-მ განსაკუთრებითი ყურადღება გლეხების მდგომარეობას მიაქცია, მიიღო მთელი რიგი ზომებისა, რომ გლეხი დაეფარა სენიორის თვითნებობისაგან; ვალად დარჩენილი გადასახადი აპატივა და ახალი გადასახადი შეამცირა. ამ საქმეში მას ეხმარებოდა ენერგიული და პატიოსანი თანაშემწე მთავარი მინისტრი **სიული.** სიულმა თავისი მომჭირნეობით და პატიოსნებით მეფის ხაზინა მოაწესა, გამოიყიდა ნაწილი დაგირავებული სახელმწიფო მამულებისა, შეამოკლა გასავალი და მისცა მეფეს საშვალება, რომ სამხედრო საქმეებში საჭირო რეფორმები მოეხდინა. სიული სახელმწიფოს კეთილდღეობის უმთავრეს წყაროთ სთვლიდა მიწის მუშაობას და ვაჭრობა-მრეწველობას თანაგრძნობით არ ეპყრობოდა. ჰენრიხ მე-IV-ე ამ საკითხს უფრო ფართოდ უყურებდა. თუმცა მიწის მუშაობას ისიც დიდ ყურადღებას აქცევდა, მაგრამ მას თანაც ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაც აუცილებლათ მიაჩდა, რომ ქარხანაში დამზადებული საქონლის ბაზარზედ გატანით სახელმწიფოში ფული შემოსულიყო. ამ მიზნით მან განიზრახა რამდენიმე ფაბრიკის გახსნა, უმთავრესად ფუფუნების საგნების დასამზადებლათ, როგორიც იყო მაგ. აბრეშუმეულობა, ოქრომკედი, გათლილი შუშები და სხვა... თუმცა ასეთ განზრახვას დიდი ნაყოფი არ მოუტანია.

სახელმწიფოში რომ მშვიდობიანობა დაცულიყო, ჰენრიხ მე-IV-ე ცდილობდა კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის კარგი განწყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილება დაემყარებია და სარწმუნოებრივ ნიადაგზე ბრძოლა არ მომხდარიყო. თუმცა თვითონ კათოლიკობა მიიღო, მაგრამ გუგენოტებისადმი მოიმადლიერა, რომ ნანსის ედიკტს ასრულებდა, რაც მათთვის დიდათ სასარგებლო იყო. საერთოდ მეფის ცდამ ნაყოფიერათ ჩაიარა, მაგრამ უკიდურესი კათოლიკები ვერ ურიგდებოდენ ვუგენოტებისადმი ლმობიერებას. და აშკარათ გამოდიოდენ მის წინააღმდეგ. ბოლოს ერთმა ფანატიკოსმა **რავალიაკმა** გადასწყვიტა მეფის მოკვლა, რაც სისრულეში მოიყვანა 1610 წ. ჰენრიხ მე-IV-ე დაიღუპა სწორეთ იმ დროს, როცა ის აპირებდა გამსბურგებთან ბრძოლა განეახლებია და კიდეც მოემზადა გერმანიასთან საბრძოლველათ. მეფის სიკვდილმა ძლიერ გააოცა ფრანგები, ცოტა ხნის შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ მეფის ნაყოფიერმა მუშაობამ სახელმწიფოში მშვიდობა და წესიერება დაამყარა. ხალხი კიდევ დიდხანს იხსენიებდა მას, როგორც საუკეთესო მეფეს და მმართველს.

ლიუდოვიკ მე-XIII-ს მართველობა (1610—1643). კარდინალი რიშელიე.

ჰენრიხ მე-IV-ეს დარჩა მცირეწლოვანი ვაჟიშვილი **ლიუდოვიკ** მე-XIII-ე, რომლის მაგიერ პირველად სახელმწიფოს განაგებდა მისი დედა **მარიამ მედიჩი.** დედოფალი სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში სუსტი გამოდგა. სასახლეში კვლავ ასტყდა პარტიათა ბრძოლა; მსხვილმა კარისკაცებმა, რომლებსაც დედოფალი პენსიებითა და საჩუქრებით იმხრობდა, ერთმანეთს დევნა დაუწყეს. ამის შედეგი იყო ხაზინის გაკოტრება და ფინანსების არევ-დარევა, მით უმეტეს, რომ სიულიც სამსახურიდან გავიდა. 1614 წ. სახელმწიფოს მდგომარეობა ისეთი იყო, რომ დედოფალი იძულებული შეიქნა გენერალური შტატები მოეწვია, თუმცა ვერც შტატების მოწვევამ გამოაკეთა საქმე. წოდებათა წარმომადგენლები ერთხმად აღიარებდენ სახელმწიფოს ფინანსების მოწესებას და სასახლის კარისკაცების საზიზღარი მტაცებლობის სამუდამოდ მოსპობას, მტკიცე კანტროლის დაწესებას და სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, მაგრამ დანარჩენ საკითხებში მათში არ არსებობდა თანხმობა, პირიქით ხშირად ერთმანეთს უნდობლად ეპყრობოდნენ და ერთი მეორისაგან ითიშებოდნენ. შტატები მალე დაითხოვეს და სახელმწიფოს საქმეები კი ძველებურად მიდიოდა, სანამ მას სათავეში არ ჩაუდგა ენერგიული და გონიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარდინალი **რიშელიე** (1624 წ.). რიშელიე განაგებდა საფრანგეთს დილამდე, მან სავსებით დაიმორჩილა სუსტი ნებისყოფის მეფე. რიშელიეს ხალხის კეთილდღეობა იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც სახელმწიფოს შინაგანი და გარეგანი გაძლიერება. რიშელიემ სრულიად მოსპო ის ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მეფის განუსაზღვრელ უფლებას და ამიტომ მას სამართლიანად ეწოდება საფრანგეთის აბსოლიუტიზმის შემქმნელი. მის დროს უმთავრესად მაღალი არისტოკრატია დაზარალდა. რიშელიეს სრულიად არ უნდოდა მისთვის პირველობა წაერთმია სახელმწიფოში; პირიქით, თვითონ ის, როგორც აზნაური, მომხრე იყო წოდებრივი უპირატესობისა, მაგრამ მოითხოვდა, რომ არისტოკრატია სრულიად დამორჩილებოდა მეფესა და მის მინისტრს. ვინც მას არ დაემორჩილა, სასტიკად დასაჯა. თვით მეფის დედა და ძმაც არ დაზოგა, ორივე სახელმწიფოდან გააძევა. ცნობილი კარის კაცები აწამა, ხშირად ეჭვიც საკმარისი იყო, რომ ვინმე დაესაჯა. მასთან დაახლოვებული პირებისაგან მოაწყო არაჩვეულებრივი სასამართლოები, რომ მათ სასწრაფოდ გამოეტანათ ხოლმე მკაცრი განჩინება ყოველი ბრალდებულისათვის, თვით სიკვდილის წინ აწამა მეფის საყვარელი გრაფი **სენ-მარსი**, რომელმაც განიძრახა თურმე მას წინ დადგომოდა, ურჩი პირების მკაცრად დასჯამ და მორჩილი პირების უხვად დაჯილდოვებამ დაქსაქსა არისტოკრატია და იძულებული შეიქნა სავსებით დამორჩილებოდა მეფის განუსაზღვრელ უფლებას.

გუგენოტებსაც იგივე ბედი ეწია, როგორიც არისტოკრატიას; ისინი იძულებულნი გახდნენ, რომ უარი ეთქვათ თავის პოლიტიკურ უპირატესობაზე და უნდა გამოსალმებოდნენ თავიანთ ციხე-სიმაგრეებს, რადგან ულმობელ მინისტრთან ომი წააგეს. 1628 წ. დაეცა მათი ციხე ლა-როშელი, შემდეგ წელს რიშელიემ საზავო ხელშეკრულების ძალით გააბათილა მათი უპირატესობანი, მხოლოდ დაუტოვა მათ სარწმუნოების და ღვთისმსახურების თავისუფლება იმ ადგილებში, სადაც ასეთი უფლებით წინათაც სარგებლობდენ.

როცა რიშელიე სპობდა აბსოლიუტიზმის ხელშემშლელ ძალებს, იმავე დროს ჰქმნიდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ახალ სისტემას ცენტრალიზაციის სახით (ე. ი. სახელმწიფოს მართვა ცენტრიდან, ანუ ცენტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური მთავრობის მიერ დანიშნული მოხელეებისაგან). ცენტრალურ ადმინისტრაციის უმთავრეს ორგანოებათ ითვლებოდენ ის მოხელენი, რომელთაც განსაკუთრებული უფლებები ჰქონდათ მინიჭებული; რიშელიე მათ აგზავნიდა პროვინციაში, რომ კანტროლი გაეწიათ იქ არსებულ დაწესებულებათა და გუბერნატორთა მოქმედებისთვის. ამ მოხელეებს ეწოდებოდა **სახამართლოს, პოლიციის** და **ფინანსების ინტენდანტები.** რიშელიეს დროს მათ მოვალეობას მუდმივი ხასიათი არ ჰქონდა, ინტენდანტებმა ჯერ კიდეც ვერ მოასწრეს ადგილობრივ მართველათ გამხდარიყვენ, მაგრამ მათი შემწეობით რიშელიემ გუბერნატორებს მაინც დაუკარგა მნიშვნელობა და ეს მისთვის საჭირო იყო, რადგან გუბერნატორები არისტოკრატიის წრიდან ინიშნებოდენ და მთელი გამგეობა მათ ხელში იყო.

საგარეო პოლიტიკა რიშელიესი გამოიხატებოდა გაბსბურგებთან ბრძოლაში, რაც მას ნაანდერძევი ჰქონდა ჰენრიხ მე-IV-სგან. ის ჩაერია ოცდაათწლიან ომში შვედების და პროტესტანტების მთავრების სასარგებლოთ, რითაც მან ძალზე დაასუსტა იმპერატორი და გაბსბურგები. ომი ძალიან ძვირათ დაუჯდა საფრანგეთს, რიშელიე, მიუხედავათ თავისი დიდი ნიჭისა და სხვა ღირსებებისა, არ იყო გამოჩენილი ფინანსისტი, ამიტომაც მისი სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო მეურნეობა სრულიად აშლილი იყო და ხალხი მძიმე გადასახადებით შეწუხებული. რიშელიემ კარგათ იცოდა ეს, მაგრამ არ შეეძლო თუ არ სურდა, ხალხის მდგომარეობა მან ვერ გააუმჯობესა და თავს მითი იმართლებდა, რომ ის უფრო საჭირო საგნებზე ზრუნავდა. თანაც რიშელიე ფიქრობდა, რომ ხალხი ძაან განებივრებულათ არ უნდა ცხოვრობდეს, თორემ მსჯელობას დაიწყებს და მუდამ მთავრობის კრიტიკაში იქნებაო.

რიშელიე გარდაიცვალა 1624 წ. რამდენიმე თვის შემდეგ მას მიჰყვა მეფე, რომელმაც მცირეწლოვანი ვაჟიშვილი ლიუდოვიკ მე-XIV-ე დასტოვა. მემკვიდრის მცირეწლოვანობამ ხელი შეუწყო სახელმწიფოში ამბოხებისა და არეულობის დაწყებას.

ფრონდა (1648) და მაზარინი. ახალგაზრდა მეფის მაგიერ სახელმწიფოს განაგებდა მისი დედა **ანა ავსტრიელი**, პირველათ მინისტრათ იყო კარდინალი მაზარინი, რომელიც რიშელიემ დააწინაურა და შემდეგ დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოფლის საყვარელი ადამიანი შეიქნა. მაზარინი, როგორც უცხოელი, არ უყვარდათ და მის მდგომარეობას შურის თვალით უყურებდენ. „ფილოთა სათავეში იდგა პარლამენტათ წოდებული უმაღლესი სასამართლოს პალატა, რომელშიაც მოსამართლეების თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა.

პარლამენტს დიდი ხნიდგან მითვისებული ჰქონდა უფლება, მეფისთვის მოხსენება წარედგინა ხოლმე მის მიერ გამოცემული ბრძანებების და განკარგულებების შესახებ. ახლა ის უცდიდა შესაფერ შემთხვევას, რომ არა სასურველი მინისტრი თავიდან მოეშორებია და სახელმწიფოში თავისი პირვანდელი გავლენა აღედგინა. ასეთი შემთხვევაც დადგა, როცა ოცდაათწლიან ომებმა მთავრობა საკმაოთ დაავალიანა და პარიზში დიდი უკმაყოფილება შეიქნა. პარლამენტიც ძლიერ უკმაყოფილო იყო მთავრობის და ამიტომაც უარი მოახსენა მთავრობახ ახალი საფინანსო განკარგულების თავის სიაში შეტანაზე. მთავრობა სასტიკათ დაემუქრა პარლამენტს. მაშინ პარლამენტი შეუერთდა სხვა ფინანსიურ და სასამართლო პალატებს, სადაც ადგილები, როგორც თვით პარლამენტში მემკვიდრეობით გადადიოდა, და დააპირა მთავრობისთვის წინააღმდეგობა გაეწია. შეერთებულმა პალატებმა მოითხოვეს, რომ არც ერთი გადასახადი არ შემოეღოთ მათ ნებადაურთველად და არავინ არ დაეტუსაღებიათ, სანამ სასამართლოს კანონიერი განაჩენი არ იქნებოდა გამოტანილი. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, იმ პირებმა, რომელთაც თანამდებობა მემკვიდრეობით ჰქონდათ მიღებული, მოისურვეს სახალხო წარმომადგენლების როლი ეთამაშათ, მაგრამ ეს მათთვის ძალიან სამძიმო იყო. პარლამენტსა და მაზარინ შორის ატეხილ ბრძოლაში ჩაერია სასახლის არისტოკრატია, რომელსაც არავითარი პროგრამა არ ჰქონდა. ზოგიერთი მათგანი ხელმძღვანელობდა მხოლოდ პირადი ინტერესებით და გამდიდრების სურვილით, ასე რომ ვინც მათ მეტს შეპირდებოდა ან მისცემდა, ისინი მას მიემხრობოდენ. ამბოხება ისე დაწვრიმალდა, რომ ბრძოლას პირადობისა და ხრიკების ხასიათი დაეტყო. იყვნენ ისეთი კარისკაცები, მაგ. **პრინცი კონდე**, რომლებიც დახმარებას თხოვდენ გარეშე მტერს—ისპანიას. რასაკვირველია, ხალხი თანაგრძნობით ვერ შეხვდებოდა ასეთს შფოთს, რადგან მისთვის ეს დიდათ საზიანო და ხელის შემშლელი იყო. თანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედროვე ხალხმა ამ ამბოხებას ბურთის თამაში ანუ „ფრონდა“ [illegible] და ამ სახელწოდებაში გამოხატა მისი ქარაფშუტობა. **ფრონდის აყოფობამ ფრანგებს მეფის უფლების შეზღუდვის იმედი სრულიად დაუკარგა, პირიქით ფრონდამ ფრანგებში ისეთი რწმენა შექმნა, რომ ყოველგვარი არეულობისაგან თავის დამხსნელათ ერთად ერთი საშუალება მეფის ძლიერი და განუსაზღვრელი უფლება ყოფილაო.** ამგვარად ფრონდამ ხელი შეუწყო მეფის აბსოლიუტიზმის გამარჯვებას. ასეთი პირობების გამო ფრონდას არ შეეძლო კარგი შედეგები ჰქონებოდა. მართალია კარდინალი მაზარინი დროებით იძულებული გახდა მართვა გამგეობას ჩამოშორებოდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კიდევ მეტი უფლებით აღჭურვილი დაუბრუნდა თავის თანამდებობას. ფრონდას დამარცხების შემდეგ მაზარინი თავისუფლათ განაგებდა საფრანგეთს სიკვდილის წუთამდი (1661 წ.). 1659 წ. მან დაასრულა ხანგრძლივი ომი ისპანიასთან ეგრედ წოდებული პირინეის ზავით. ისპანიამ დაუთმო საფრანგეთს სამხრეთ საზღვარზე მდებარე ადგილები და ისპანიის მეფის ფილიპე მე-IV-ის ასული **მარიამ-ტერეზია**, მითხოვდა ახალგაზრდა ლიუდოვიკ მე-XIV-ს.

ლიუდოვიკ მე-XIV. შინაური მართველობა. წოდებები. სასახლე.

ლიუდოვიკ მე-XIV-ს ბავშობა და ახალგაზრდობა იმ დროს იყო, როცა მთელ საფრანგეთში ფრონდას შთაბეჭდილების გამო მეფის უფლების წინაშე ყველა ქედს იხრიდა. ჭაბუკი მეფე აღიზარდა ისეთ წრეში, რომელიც მას ემონებოდა, მუდამ ელაქუცებოდა და აღმერთებდა. ამიტომაც მან მეფის უფლებაზე რაღაც არაჩვეულებრივი, უმაღლესი წარმოდგენა შეადგინა. მას ეგონა, რომ ყველა ის, რაც მეფეს დიდებასა და ძალას უმატებდა, იმავე დროს ერისა და ქვეყნის სასარგებლოც იყო. ლიუდოვიკ მე-XIV-ე ვერ არჩევდა თავის პირად ინტერესებსა და სარგებლობას ერისა და ქვეყნის ინტერესებისაგან.

ლიუდოვიკ მე-XIV-ის დროს აბსოლიუტიზმი უაღრესათ განვითარდა. ჰენრიხ მე-IV-ის დროს, რომელმაც ერის საკეთილდღეოთ ბევრი რამ გააკეთა და რიშელიეს დროს, რომლისთვისაც სახელმწიფოს სახელი და ძლიერება მეფის პირად ინტერესებზე განშორებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლა იდგა, აბსოლიუტიზმი პატრიარქალური, სახელმწიფოებრივი იყო, ლიუდოვიკის აბსოლიუტიზმი კი პირადული იყო, რაც[illegible] **სახელმწიფოებრივი ინტერესები პირადულს ემორჩილებოდა.**

ასეთი მისი შეხედულება მეფის ძალა-უფლებაზე გატარებული იყო ყოველგან მართველობასა, საოჯახო ნაწილსა, სარწმუნოებასა, წოდებათა ურთიერთობასა, სამხედრო მოქმედებასა და იმ მფარველობაშიც, რომელსაც ის უწევდა ხელოვნებასა და მეცნიერებას.

მართვაგამგეობაში ლიუდოვიკ მე-XIV-ე კარდინალ რიშელიეს ნაკარნახევი გზით მიდიოდა და თანდათან ცენტრალიზაციისკენ მიიწევდა. ინტენდანტები, რომლებიც მის დროს დაბალი წოდებიდან ინიშნებოდენ გარდიქცენ სამეფოს ცალკე ნაწილების (ოლქების) მუდმივ მართველად; უმთავრეს შემთხვევაში ეს (ოლქები) ნაწილები უდრიდენ ძველ ოლქებს (გენერალიტეტს — რიცხვით 23 იყო). მთელ სამეურნეო, საზოგადო, სასამართლო და ფინანსიურ მხარეს ასეთი ოლქისას განაგებდა და ყველაფერს კანტროლს უწევდა ინტენდანტი. ინტენდანტები კრებდენ გადასახადებს, აწარმოებდენ სამართალს, ზრუნავდენ სოფლის მეურნეობაზე, ვაჭრობა მრეწველობაზე, გზებზე, თვალყურს ადევნებდენ ქალაქის და სოფლის თვითმართველობებს, იცავდენ წესიერებას და მშვიდობიანობას. მათი გავლენა და უფლება დიდი იყო. იმათ სრულიად დაუკარგეს მნიშვნელობა გუბერნატორებს, რომლის თანამდებობას მხოლოდ საპატიო ხასიათი შერჩა. ინტენდანტები ემორჩილებოდენ მეფის საბჭოს და მინისტრებს, რომლებიც სტატ-სეკრეტარების სახელწოდებას ატარებდენ (სამხედრო საქმის, ფლოტის, საგარეო საქმეების, მეფის სასახლის და სარწმუნოების). განსაკუთრებით უფრო მჭიდრო კავშირი იყო ინტენდანტებსა და ფინანსების მინისტრის შორის, რომელიც ფინანსების **გენერალური მეთვალყურის** სახელწოდებას ატარებდა.

მეფის საბჭოს, მინისტრებს და მეფის მოხელეებს უნდა დამორჩილებოდენ ყველანი. ისეთი დაწესებულებაც კი, როგორიც იყო პარლამენტი, ძალიან მიჩვეული თავისუფლებას, მეფის ბრძანების წინააღმდეგ ხმას ვერ იმაღლებდა. გენერალური შტატები არ იკრიბებოდენ, ცალკე პროვინციის შტატები ინარჩუნებდენ თავის უფლებას მეფის მოთხოვნების დაუყონებლივ შესრულებით; მათ შორის უფრო მოზრდილი და ძლიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანგოდეკის შტატიც იძულებული შეიქნა, რომ თავის ბედს შერიგებოდა და მორჩილება აღეარებია. ქალაქის და სოფლის თვითმართველობები ინტენდანტების ფხიზელ მეთვალყურეობის ხელქვეით მოექცა, უწინდელი ნამდვილი თავისუფლება წაართვეს, დაუტოვეს მხოლოდ გარეგნული ძველი ფორმები, ტანისამოსი, ადათები და სხვა. საერთო მდგომარეობას დაემორჩილა ერთ დროს ამაყი ფეოდალური არისტოკრატიაც. სუყველა ვისაც კი შეეძლო მათი წრიდგან, ცდილობდენ მიახლოვებოდენ სასახლეს, რომელიც მეფის წყალობებისა და საჩუქრების წყარო იყო. ძველათ უმეტესი ამაყი და ურჩი კარისკაცების შთამამავლობაც ბედნიერებათ სთვლიდა, რომ სასახლეში მეფის ამალაში ყოფილიყო და სხვადასხვა მონდობილობა აესრულებია, ისეთიც კი როგორიცაა: ტანისამოსის ჩაცმა, გახდა, სადილის მირთმევა და სხვა. სასახლეში მყოფ აზნაურს მეფე კმაყოფილების თვალით უყურებდა, როგორც ერთგულ ადამიანს, მხოლოდ ეჭვი ჰქონდა იმ ცოტაოდენ არისტოკრატიაზე, რომელიც თავის მამულში ცხოვრებას არჩევდა მეფის სასახლეს და კარიერას. **ერთი სიტყვით, თავადაზნაურობა უწინდელი ფეოდალური დამოუკიდებელი წოდება მეფის გამგონე და მორჩილ არისტოკრატიათ გადაიქცა.** სამაგიეროთ მეფე აძლევდა მათ საუკეთესო შემოსავლიან (ადგილებს) თანამდებობებს, პენსიებს, საჩუქრებს და სხვა, იცავდა მათ სოციალურ უპირატესობას, მაგ. ისინი თავისუფალი იყვნენ ზოგიერთ გადასახადებისაგან; თვით მეფე თავის თავს პირველ აზნაურათ სთვლიდა სახელმწიფოში.

ამგვარათ ლუდოვიკ მე-XIV-მ მოსპო სახელმწიფოში დამოუკიდებელი ძალები, როგორიც იყო თავადაზნაურობა, პარლამენტები, პროვინციალური შტატები და ქალაქის თვითმართველობა. ამის შემდეგ საფრანგეთის ბედი პარიზში უნდა გადაწყვეტილიყო, მეფის საბჭოში და სამინისტროებში; საბჭო და მინისტრები იკრიბებოდენ და ყველა საქმეებს სასახლეში სწყვეტდენ. აქ თავს იყრიდა ყველა სამოძრავო ძალები, ასე რომ სასახლე იყო რაღაც დიდი ჩარჩო, სადაც მოთავსებული იყო მეფის პიროვნება. შემდეგში ერთმა გამოჩენილმა ფრანგების მწერალმა **მონტესკიემ** ლიუდოვიკ მე-XIV-ს შესახებ სთქვა, რომ პარიზმა საფრანგეთი ჩაყლაპა, სასახლემ პარიზი და მეფემ სასახლეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის სასახლეები ბრწყინვალეთ იყო მორთული. უფრო შესამჩნევი იყო ვერსალის სასახლე.

საუკეთესო მხატვრების და პოეტების ნაწარმოებები ბრწყინვალე ელფერს აძლევდა ყოველ დღესასწაულს, რომელიც სასახლეში გაიმართებოდა.

ლიუდოვიკ მე-XIV-ე მფარველობას უწევდა ხელოვნებასა და მეცნიერებას, მათზე დიდს ფულს ხარჯავდა; სამაგიეროთ მოითხოვდა, რომ მეცნიერებას და ხელოვნებას სახელი გაეთქვა მისი პიროვნებისა და მეფობისათვის. ამიტომ თავისუფალი შემოქმედება შეუძლებელი შეიქმნა. სწავლულები და მხატვრები უნდა დამორჩილებოდენ იმ წესებს, რომელსაც შეიმუშავებდა უმაღლესი დაწესებულებები ეგრეთ წოდებული აკადემიები. უმთავრესი როლი ეკუთვნოდა საფრანგეთის აკადემიას, რომელსაც ჰქონდა დავალებული ფრანგული ენის შესწავლა და განვითარება.

ამგვარათ ლიუდოვიკ მე-XIV-ს პიროვნება ყველაფრის ცენტრი იყო. მის გარშემო ტრიალებდა სასახლის ცხოვრება, მეცნიერებისა და მხატვრობის მიმდინარეობა და სხვა; ის იყო მაცოცხლებელი ნაკადი, რომელიც ყველას ანიჭებდა სიცოცხლეს და აძლევდა შნოს. სასახლეში არსებული განსხვავებული წესები, რომელიც ცხადათ უმტკიცებდა ყველას, თუ რა დიდი განსხვავება იყო მეფესა და დანარჩენ ხალხს შორის და აგრეთვე თავისი ღირსებების გამოჩენის უნარი და მედიდური გამომეტყველება ხელს უწყობდა ლიუდოვიკს, რომ ხალხის თვალში ამაღლებულიყო. ის ეჩვენებოდათ მათ რაღაც კერპათ, თითქმის ღმერთად და მზეთ, რომელიც იძლევა სინათლესა და ცხოვრებას და ამიტომაც მზე მეფის სახელწოდება დარჩა მისი ისტორიაში. დიდება და სახელი ლიუდოვიკისა და მის სასახლისა ძვირათ დაუჯდა საფრანგეთს. ამან დაშალა სახელმწიფოს მეურნეობა და შთანთქა ნივთიერი ძალა ერისა, მიუხედავათ იმისა, რომ მას გენიოსი მეურნე მინისტრი გვერდით ჰყავდა. ეს იყო კოლბერი.

ეკონომიური საშუალებანი. კოლბერი და მერკანტილიზმი.

კოლბერი საშუალო ვაჭრის ოჯახის შვილი იყო (დაიბადა 1614 წ.) და საშუალო განათლება ჰქონდა მიღებული. კარიერა მან დაიწყო მაზარინის პირადი მდივნის თანამდებობიდგან, რომელსაც ფულების საქმე ძლიერ არეული ჰქონდა. კოლბერმა მალე მოაგვარა ეს ანგარიშები და ამიტომ მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარინმა მეფეს წარუდგინა ის, როგორც სასარგებლო და დაუღალავი-
შაკი. კარდინალის სიკვდილის შემდეგ კოლბერი საფინანსო საქმეებში
მეფის მარჯვენა ხელი შეიქნა და 1665 წ. კიდეც მიიღო პასუხსაგები
თანამდებობა ფინანსების მინისტრისა, რომელსაც მაშინ გენერალუ-
რი მეთვალყურე ეწოდებოდა. სიკვდილამდი ე. ი. 1683 წ. კოლბერი
დაუღალავად მოღვაწეობდა, მისი მოღვაწეობა თავისი სიდიადით და სხვა-
დასხვაობით საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა. დღეში თუთხმეტი
საათის მუშაობით მან შესძლო რამდენიმე სხვადასხვა უწყების რთული
საქმეების გაძღოლა; გარდა ფინანსებისა ის განაგებდა საზღვაო სამინის-
ტროს, ხელმძღვანელობდა გზათა ყველა საქმეებს, ერეოდა შინაურ მართ-
ველობაში, ზრუნავდა მეცნიერების და ხელოვნების აყვავებაზე და
მოუსვენრად განაგრძნობდა მუშაობას საფრანგეთის ვაჭრობა-მრეწველო-
ბის განვითარებაზე.

კოლბერს მეტად ეჯავრებოდა ყველა ის ძველი ჩვეულებანი, რო-
მელნიც ძლიერ უშლიდა ხელს საფრანგეთის განვითარებას, მაგალითად:
ადგილობრივი და წოდებათა უპირატესობა, სახელმწიფო თანამდებობის
ანგარიშებით გაცემა, რაც უმეტესად გავრცელებული იყო სასამართლო-
ებში, გაუგებრობა კანონებში, უსწორ-მასწორობა გადასახადების განა-
წილებაში, ბოროტება მათი მოკრების დროს და სხ. მას კი წარმოდგე-
ნილი ჰქონდა საფრანგეთი, როგორც საუკეთესო წესწყობილების სახელ-
მწიფო, რომელსაც ექნებოდა საერთო სისხლის და სამოქალაქო კანონმდე-
ბლობა; ერთგვარი წესი გადასახადების მოკრებისა, რაც ხალხისთვის სა-
მძიმო არ იქნებოდა, მხოლოდ სახელმწიფოს საჭირო ხარჯებს კი დაფა-
რავდა; ფართოდ დაყენებული ვაჭრობა-მრეწველობა; ნამდვილი ცენტრა-
ლისტური მართველობა, რომელსაც აწარმოებენ მოხელეები განსაზღვრუ-
ლი ჯამაგირით და არა უწესოთ აღებული ჯილდოთი.

ყველა ამ საკითხებზე კოლბერმა ფართო რეფორმის პროეკტები შე-
ადგინა, მაგრამ მეფის სასახლის ფუფუნებაზე გაწეულმა ზედმეტმა ხარჯებ-
მა და ხანგრძლივმა ომებმა მას არ მისცა საშუალება, რომ ნახევარი მაინც
განეხორციელებია. მეფის მიერ მუდმივ ფულის მოთხოვნამ კოლბერის
უმთავრესი ყურადღება ხაზინის შემოსავლის გადიდებას მიაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლბერმა მოახერხა სახელმწიფოს შემოსავალის საკმაოდ გაძლიერებამ უმთავრესად, გაადიდა არაპირდაპირი გადასახადები, რომ ამით შეემსუბუქებია მდაბიო ხალხის ტვირთი, რომელიც უმთავრესად პირდაპირ გადასახადებს იხდიდა. ამას გარდა, მან შესძლო სახელმწიფო მიწების უმეტესი ნაწილის გამოყიდვა, რაც წინანდელი მინისტრების დროს დაგირავებული იყო და სახელმწიფო ვალების ნაწილის გასტუმრება. ამასთანავე კოლბერი სასტიკად ებრძოდა ბოროტმოქმედებას სამეურნეო ნაწილში.

მთავრობის ხარჯები თანდათან იზრდებოდა, რაც სახელმწიფოს ანადგურებდა და სრულ გაკოტრებასაც უქადდა. კოლბერის წინაშე ცხადად იდგა საკითხი საფრანგეთის სიმდიდრის და კეთილდღეობის საშუალებების გამონახვაზე, რომ შესძლებოდათ მთავრობის მოთხოვნილება ისე დაეკმაყოფილებიათ, რომ სახელმწიფო არ გაკოტრებულიყო.

კოლბერის სამეურნეო პოლიტიკის უმთავრესი აზრი იყო, რომ სახელმწიფოს სიმდიდრის მაჩვენებელია ლითონის ფულის (ოქრო-ვერცხლის) რაოდენობა. ამიტომ ის ზრუნავდა ოქროს ფულის თანხის გადიდებაზე. ასეთ პოლიტიკას **მერკანტილიზმი** ეწოდება. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო იყო, რომ სახელმწიფოდგან მეტი საქონელი გაეტანათ, ვიდრე შემოეტანათ; ამისათვის კი აუცილებელი იყო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება. ფულები რომ საზღვარ გარეთ არ გასულიყო, სახელმწიფოს უნდა დაეკმაყოფილებია ყველა მოთხოვნილებები ადგილობრივი ნაწარმოების საშუალებით; ამისთვის კოლბერი შეეცადა, რომ საფრანგეთში ყოველი დარგის მრეწველობა გაევრცელებია და საზღვარგარეთელი შემოზიდული საქონლიდან ერთი ნაწილი სულ აეკრძალა და ნაწილი გადიდებული გადასახადის საშუალებით შეეზღუდა. პირიქით ნედლი მასალის გარედან შემოტანას კი ხელს უწყობდა, რომ ამით წარმოება უფრო იაფად დამჯდარიყო და ნაწარმოებს უცხო ბაზარზედაც მყიდველი ჰყოლოდა. აი ამ მიზნით ნედლი დასამუშავებელი მასალის გატანა სასტიკად აკრძალული იყო. ამგვარად შეეიწროებული იყო დამზადებული ნივთების შემოზიდვა და ნედლი მასალის გატანა; ნება დართული იყო ნედლი მასალის შემოტანა და დამზადებული ნივთების გატანა. მექარხნეებსა და მწარმოებლებს კოლბერი ფულითაც ეხმარებოდა (სუბსიდია), უპირატესო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასაც (პრივილეგია) აძლევდა, და საჩუქარსაც (პრემია) ურიგებდა. საგარეო ვაჭრობის გასაძლიერებლად მან დააარსა სავაჭრო ამხანაგობები, რომელთა შორის უმთავრესი ადგილი ეკავა აღმოსავლეთ ინდოეთის ამხანაგობას. ეს ამხანაგობებიც იღებდა მთავრობისაგან ნივთიერ დახმარებას. ასეთ წესს, რომელიც ხელოვნურად ცდილობდა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას, ეწოდებოდა **პროტექციონიზმი**. პროტექციონიზმი არის მერკანტილიზმის ერთი თვისება და მეორე თვისებას კი **რეგლამენტაცია** ეწოდება, რომ საფრანგეთის მრეწველობას თვით ფრანგების გულიც მოეგო და უცხოელების ბაზარიც დაეპყრო, მთავრობას უნდოდა, რომ საფრანგეთის საქონელი საუკეთესო ღირსების გამომდგარიყო. ამიტომ მთელი ვაჭრობა-მრეწველობა ექვემდებარებოდა განსაკუთრებულ მეთვალყურეს და მტკიცე წესებს ანუ რეგლამენტებს (ამიტომაც დაერქვა რეგლამენტაცია), რომელიც მთავრობისაგან იყო გამოცემული. ასე მაგ., სისწორით იყო აღნიშნული სიგანე, სიგძე და სისქე სხვადასხვა შალეულობისა და ნაქსოვებისა. ამისთვის კოლბერმა 200-დე სხვადასხვა წესი და ბრძანება გამოსცა. ლიუდოვიკ მე-XiV-ის მთავრობას სურდა ქვეშევრდომთა სამეურნეო ცხოვრებაზედაც განუსაზღვრელი ბატონობა ჰქონოდა.

მერკანტილური სისტემა ძალიან გამოსადეგი შეიქნა. სახელმწიფო ხაზინისთვის, ვინაიდგან ფულის გამრავლებამ გააძლიერა ვაჭარ-მრეწველთა კლასები და ამან კი საშუალება მისცა მათ, რომ თავის დროზე გადასახადები შეეტანად. ამას გარდა, თვით მთავრობა აარსებდა ფაბრიკებს, რომელთა შემოსავალი ხაზინაში შედიოდა. ხაზინა ფულით ივსებოდა და იქიდან მეფეს გაჰქონდა სამხედრო და სასახლის საჭიროებისათვის. მერკანტილიზმის უმთავრესი დანიშნულება ხაზინის გავსება იყო და ვინაიდგან საფრანგეთის ხაზინა სავსებით მეფის განკარგულებაში იყო, ამიტომ მერკანტელიზმა სამეურნეო ნაწილი ლიუდოვიკ მე-XIV პირად აბსოლიუტიზმს დაუქვემდებარა.

ცალკე დარგები, რომლებიც ამ დროს განვითარდა საყურადღებო იყო მაუდისა და აბრეშუმის ქსოვა, მინის კეთება და ფუფუნების საგნების მზადება. იმ დროის შესანიშნავი გობელენის ნოხ-ფარდაგის ფაბრიკა დღესაც მთელ ქვეყანაზე სახელგანთქმულია თავისი საუკეთესო ნაქარგი და ნაქსოვი ნივთებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა-მრეწველობაზე ზრუნვას თან მოჰყვა ახალი გზების გაყვანა და მათი გაუმჯობესება. კოლბერის დროს რამდენიმე დიდი გზატკეცილი იყო გაყვანილი, უმთავრესად მოაწყეს მდინარეებზე გემებით მიმოსვლა, მის დროს გაიყვანეს შესანიშნავი ლანგედოკის არხი, რომელმაც შეაერთა ბისკაიის და ლიონის უბეები.

საფრანგეთს რომ ზღვაზე ვაჭრობა კარგათ დაეცვა, ამისათვის კოლბერმა გააწყო ფლოტი, რიცხვით სამას ხომალდამდი, ფლოტის თავშესაფარათ გააშენა მთელი რიგი გამაგრებული ნავთსადგურებისა ტულონში, ბრესტში, გავრში, დუნკირხენში, კალეში და სხვა.

თუმცა კოლბერის სისტემას ვაჭრობა-მრეწველობაში ნაყოფიერი შედეგი ჰქონდა, მაგრამ მიწათმოქმედებაზე და სოფლის მცხოვრებლებზე საზარალო გავლენა იქონია მასალის საზღვარგარეთ გატანის აკრძალვამ, კერძოთ პურისამ, რომელიც საფრანგეთში ზედმეტი მოდიოდა, ძალიან დასცა პურის ფასები, მასთან ერთად სამუშაო ქირაც დაეცა, რაც საზიანო იყო მიწის მუშისთვის და დიდათ სასარგებლო ფაბრიკანტისთვის. კიდევ უფრო ცუდი გავლენა ჰქონდა პურით ვაჭრობის შეზღუდვას სახელმწიფოს შიგნი, აუარებელი ხორბალი ხელოვნურათ თავს იყრიდა სამრეწველო ცენტრებში, სადაც მისი ღირებულება საკმაოთ ეცემოდა. ხშირათ კოლბერი ცდილობდა პურის ფასების განსაზღვრას მრეწველთა სასარგებლოთ.

ყველა ცუდი მხარეები მერკანტილიზმისა უმნიშვნელოთ ჩაივლიდა, რომ კოლბერს მოეხერხებია და მის მიერ განზრახული მიწის მომუშავეზე მიწის გადასახადები შეემცირებია, მაგრამ ომებმა და საჯახლის ხარჯებმა შეუშალეს ხელი და შემცირების მაგიერ იძულებული გახადეს, რომ გადასახადები გაედიდებია. ასეთი მოქმედების შედეგი იყო მდაბიო ხალხის სიღარიბე და განადგურება, განსაკუთრებით გლეხებისა.

გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა საფრანგეთის მეურნეობას მეფის რელიგიურმა პოლიტიკამაც.

ლიუდოვიკ მე-XIV-ის რელიგიური და საეკლესიო პოლიტიკა.

ბუნებით ლიუდოვიკ მე-XIV-ე არც ფანატიკოსი იყო და არც მდევნელი. მხოლოდ გადამეტებულ წარმოდგენას ღვთისგან მინიჭებულ მეფის ძალა-უფლებაზე იქამდის მიჰყავდა ის, რომ თუ მისი ქვეშევრდომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარწმუნოებრივ. სხვანაირათ აზროვნებდა, ეს მეფის ღირსების დამცირებელი იქნებოდა. ის ღრმათ დარწმუნებული იყო, რომ ქვეშევრდომნი, როგორც სხვა მხრივ, ისე სარწმუნოების მხრივ სრულიად უნდა დამორჩილებოდენ მეფის ნებას, ყველას მეფესავით უნდა სწამებოდა და მასავით ელოცა. აქედგან ნათლად ჩანს, რომ იმას, როგორც კათოლიკეს, არ შეეძლო მეგობრულათ მოპყრობოდა ფრანგ პროტესტანტებს. მართალია, პირველათ მას ფიქრადაც არ ჰქონდა მათი შევიწროება, მაგრამ სურდა, რომ მეფის წყალობას იგინი მოკლებული ყოფილიყვნენ. შემდეგ ფრანგების კათოლიკური სამღვდელოების ზეგავლენით მან შესცვალა თავისი პირვანდელი პოლიტიკა და დაუწყო გუგენოტებს სხვა სახით შევიწროება და დევნა. ამგვარი შევიწროება ყოველწლივ თანდათან მატულობდა: პროტესტანტებს სახელმწიფო სამსახურიდგან ითხოვდენ, უკრძალავდენ მათ თავისუფალი პროფესიით მეცადინობას, როგორიცაა: ადვოკატობა, ექიმობა, ბეჭდითი საქმე და სხვა, ამა თუ იმ მიზეზით ხან დროებით კეტავდენ, ხან სულ ანგრევდენ მათ ეკლესიებს, უკრძალავდენ მათ სინოდის მოწვევას და სხვა. 1680 წლიდან შევიწროებამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. გუგენოტების გასაკათოლიკებლათ საფრანგეთის მთავრობა საუკეთესო საშვალებათ სთვლიდა ეგრეთ წოდებულ სამხედრო ბინადრობას ე. ი. **„დრაგონადას“**. ეს იმაში მდგომარეობდა, რომ გუგენოტების ოჯახში თვითოეულათ ჩააყენებდენ ჯარისკაცებს, რომლებსაც არამც თუ ნება ჰქონდათ, კიდეც ევალებოდათ, რომ ოჯახის წევრები შეევიწროებიათ, ელანძღათ, ეწვალებიათ, რომ ამის გამო მათ მწვალებლობაზე უარი ეთქვათ. მართლაც „ბოტფორტებში გამოწყობილმა მისიონერებმა“ ისე დააშინეს საბრალო გუგენოტები, რომ რამოდენიმე ათასმა უარყო თავისი სარწმუნოება და ბევრმაც სარწმუნოების გამოცვლას არჩია სამშობლო ქვეყნის დატოვება და გაქცევა. პროტესტანტების გადასახლება სახელმწიფოსთვის სასარგებლო არ იყო, ვინაიდგან პროტესტანტების უმეტესობა კარგი მექარხნეები და მოხელეები იყვნენ და თავისი წასვლით დიდი ზიანი მიაყენეს საფრანგეთის მრეწველობას; იქ კი, სადაც სახლდებოდენ, ავრცელებდენ თაეის ცოდნას, მრეწველობას და ამით იმ ქვეყნისთვის დიდი სარგებლობა მოჰქონდათ. განსაკუთრებით ბევრი პროტესტანტი გადასახლდა ინგლისსა, გოლანდიასა და გერმანიაში, უფრო კი ბრანდენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურგის ოლქში. როცა მთავრობა ჩახვდა ამ გარემოებას, სასწრაფოდ მოსცა განკარგულება და სასტიკი სასჯელით აკრძალა გადასახლება, მაგრამ გვიანლა იყო, რამდენიმე ათასი ოჯახი უკვე გადასახლებული იყო.

პროტესტანტების გადასახლებამ მეფე საკმაოდ ვერ ჩააფიქრა. პირიქით მას ეგონა, რომ „დრაგონადების“ მუშაობამ ნიადაგი მოამზადაო და ნანტის ედიკტის (1685) გასაუქმებლათ ბრძანება გამოსცა. ამ ბრძანებით პროტესტანტების ეკლესიები უნდა დაენგრიათ, დაეხურათ მათი სკოლები, აეკრძალათ მათთვის ღვთისმსახურება, კათოლიკურ მღვდლებს უნდა მოენათლათ მათი ბავშვები, პასტორები უნდა გაეძევებიათ და ვინც საზღვარ გარეთ დააპირებდა გაქცევას, კატორღაში გაეგზავნათ.

ამ ბრძანებას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა კათოლიკეთა უმეტესობა. საუკეთესო ორატორები და მწერლები მიესალმებოდენ მეფის ასეთ ნაბიჯს და სთვლიდენ მას უდიდეს ბრძნულ და კეთილსათნო აქტათ.

მეფემ ამით მაინც ვერ მიაღწია თავის მიზანს. საფრანგეთში პროტესტანტები, მიუხედავათ ყოველმხრივი შევიწროებისა, მაინც ბლომათ დარჩენ, ასე რომ მათი წინააღმდეგობის ჩაკვლა შეუძლებელი გახდა. იმათ ლიუდოვიკ მე-XIV-ს მეფობის ბოლანასკნელ წლებში საიდუმლოთ მოაწყვეს თავისი საეკლესიო ცხოვრება ენენვიდან მოსული მქადაგებლების შემწეობით. ეს მქადაგებლები თავგანწირულად მოდიოდენ საფრანგეთში და მუდამ სიკვდილის წინ იდგნენ, რადგან თუ მათ მთავრობა დაიჭერდა, შეუწყნარებლათ სიკვდილით დასჯიდა.

კათოლიციზმის ბრწყინვალე გამარჯვებით და გუგენოტების დამარცხებით ლიუდოვიკ მე-XIV-ს უნდოდა საფრანგეთის კათოლიკური ეკლესიის სრულუფლებიანი ბატონი გამხდარიყო.. ამ ნიადაგზე მას პაპებთანაც მოუხდა შეტაკება. ხაბაბი ამისა იყო საკითხი **რეგალიების** შესახებ, ე. ი. მეფეს უფლება ჰქონდა ესარგებლნა შემოსავლით იმ ეპარქიებში, სადაც შემთხვევით ეპისკოპოსები არ იყვნენ. სანამ საეპისკოპოსო კათედრა თავისუფალი იყო. პაპები უარყოფდენ მეფის ამგვარ უფლებას, თუმცა საფრანგეთის ეპისკოპოსების დიდი უმეტესობა მეფის მხარეზე იყო, ვინაიდგან ისინი მომხრენი იყვნენ პაპის უფლებების შეზღუდვისა საფრანგეთის ეკლესიაზე. ამ მიმართულებას, რომელიც ცდილობდა პაპის უფ-

ლება საფრანგეთის ეკლესიაზე შეესუსტებია, ისტორიაში ეწოდება „**ლიკანიზმი**“. ეს გალიკანიზმი განსაკუთრებით აშკარა შეიქნა საფრანგეთის ეკლესიის საეკლესიო კრებაზე 1682 წ. მთავარმოქმედ პირათ ამ კრებაზე გამოვიდა იმ ეპოქის საუკეთესო მქადაგებელი — ეპისკოპოსი ბოსიუეტი, რომლის საკათედრო ქალაქი **მო** იყო.

კრებამ შემდეგი ოთხი დადგენილება გამოიტანა: 1. მეფეები საერო საკითხებში არ ექვემდებარებიან სასულიერო მთავრობას, და მას არ შეუძლიან არავითარ შემთხვევაში მათი ტახტიდგან გადაყენება; 2. აღიარა საეკლესიო კრების უმაღლესობა პაპზე (რაც კონსტანციას საეკლესიო კრებაზე აღიარებულ იქმნა), 3. საეკლესიო კანონები, წესები და ჩვეულებანი მიღებული საფრანგეთში უცვლელად უნდა დარჩენილიყო; 4. პაპის მიერ გადაწყვეტილი ესა თუ ის სარწმუნოებრივი საკითხი, თუ ის ეკლესიისგან არ იქნებოდა მოწონებული, უნდა შეცვლილიყო; ამ „დეკლარაციის“ სასტიკ მოწინააღმდეგეთ გამოვიდენ პაპები, რომლებმაც კრების მონაწილენი მწვალებლებათ გამოაცხადეს. ბრძოლა ათ წელს გაგრძელდა და პაპების სრული გამარჯვებით დასრულდა. ლიუდოვიკ მე-XIV-ე იძულებული შეიქნა, რომ ოთხივე მუხლი უარეყო. ამგვარათ მზე-მეფისთვისაც უძლეველი შეიქმნა რომის ეკლესიის ძლიერება.

ლიუდოვიკ მე-XIV-ს საგარეო პოლიტიკა და მისი სამხედრო რეფორმები.

ლიუდოვიკ მე-XIV-ე თავის საგარეო პოლიტიკაში ცდილობდა ორი მიზნის განხორციელებას. პირველი ნაკარნახევი ჰქონდა წინამოადგილეებისგან და შესდგებოდა საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრების გაფართოვება-შემორგვალებაში ისპანიის (ბელგია და ფრანშკონტე) და საიმპერიო მამულების (გერმანიის სამთავრო ბი რეინის მარცხენა ნაპირზე) შემოერთებით. მეორე მიზანი იყო მეფის პირადი თავმოყვარეობის დაკმაყოფილება, რაც ვნებათ ჰქონდა გადაქცეული. გაფართოვება და შემოზღუდვა გაშლილ ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარისა, განსაკუთრებით ბელგიის და ფრანშკონტეს მხრივ, სადაც მოსახლეობდენ ფრანგების მონათესავე რომაელები, საფრანგეთისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა. ამ მიზნის განხორციელების დროს მისთვის წინააღმდეგობა უნდა გაეწია ერთის მხრივ ისპანიას და იმპერიას*),

*) იმპერია ეწოდებოდა რეინის მარცხენა ნაპირზე მდებარე გერმანიის სამთავროებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეს მხრივ ჰოლანდიას, რომლისთვის ძლიერ ხელსაყრელი ფეოდალური ზობლათ ჰყოლოდა სუსტი ისპანია, რომელიც ვერც თავს დაესხმოდა სახელმწიფო ძალების სისუსტის გამო და ვერც ვაჭრობა მრეწველობაში გაუწევდა მეტოქეობას, და ყოველ მხრივ ძლიერი საფრანგეთის მეზობლათ ყოლა კი სახიფათო იყო. ამგვარათ ბრძოლა ზემო აღნიშნულ სამ სახელმწიფოთა შორის აუცილებელი იყო. საფრანგეთის საუბედუროთ, ლიუდოვიკ მე-XIV-ს მედიდურობა და თავმოყვარეობა არ დააკმაყოფილა სახელმწიფოს ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრების გაფართოვებამ. გამსბურგთა დინასტიის შეწყვეტის შემდეგ ისპანიაში, ლიუდოვიკემ გადასწყვიტა მთელი ისპანიის მიწა-წყლის შემოერთება. ამ განზრახვამ და მასთან არაჩვეულებრივმა ამაყობამ და სხვა მეფეების ღირსებისა და უფლების ათვალისწუნებამ, ლიუდოვიკე ყველას შეაძულა და ბოლოს საფრანგეთის წინააღმდეგ დაირაზმენ ყველა ევროპის სახელმწიფონი, რამაც საფრანგეთი კინაღამ სრულიად არ დაღუპა. დაპყრობითი პოლიტიკის საწარმოებლათ ლიუდოვიკს საუკეთესო და მრავალრიცხოვანი ლაშქარი სჭირდებოდა. სამხედრო საქმეებში მისი უმთავრესი თანაშემწეები იყვნენ მინისტრი **ლუვუა** და მარშალი **ვობანი**. ლუვუამ სამხედრო საქმეში, ბევრი რამ გააკეთა: ჯარი გაადიდა, დისციპლინა დაამყარა, ომში გამოსადეგი ოფიცრები მოამზადა. იარაღი და სურსათი გააუმჯობესა. მანვე შემოიღო ჯარში განსხვავებული ფორმა, რომელიც ცალკე ნაწილებს ერთნაირ წესიერ სახეს აძლევდა. ვობანი შესანიშნავია, როგორც საინჟენერო ნაწილის გარდამქნელი.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მან ქალაქების ხელოვნურათ გამაგრებას და ალყის შემორტყმას. მისი ნიჭის წყალობით ლიუდოვიკმა ბევრი ისეთი ციხე ქალაქი აიღო, რომელიც მიუდგომლათ ითვლებოდა. იმ დროის სარდლებ შორის განსაკუთრებით ყურადღებას იქცევენ მარშალი **ტიურენი** და პრინცი **კონდე**, რომლებმაც სახელი გაითქვეს ცხენოსანთა რაზმების შეტევით.

ლიუდოვიკ მე-XIV-ე აწარმოებდა ოთხ ომს:

პირველი (1667—1668) მან დაიწყო ისპანიასთან იმ მიზნით, რომ ბელგია დაეპყრო. მაგრამ რადგან ისპანიას დაეხმარა გოლანდია, ინგლისი და შვეცია, ლიუდოვიკე იძულებული შეიქნა ახენში ზავი შეეკრა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისპანიისაგან ბელგიის საზღვარზე მხოლოდ 12 ციხე მიელო. მეორე (1672 — 1678) ლიუდოვიკს უნდოდა ჰოლანდიის სრული დამცირება იმ საქციელისთვის, რომელიც მან პირველი ომის დროს ჩაიდინა.

ამ შემთხვევაში მან მოახერხა და მიიმხრო შვეცია და ინგლისი. საფრანგეთის ჯარმა მალე ჰოლანდიის უმეტესი ნაწილი დაიპყრო, მაგრამ თვით ჰოლანდიელებმა გახსნეს წყლის საგუბრები (შლიუზები) შემოუშვეს წყალი და შეაჩერეს მტრის წინსვლა. ამ წინააღმდეგობის მეთაური იყო შტატჰალტერი **ორანელი პრინცი ვილჰელმი,** რომელმაც ის იყო დაამხო არისტოკრატიულ ვაჭართა პარტიის ბატონობა, რომელსაც ხელმძღვანელობდენ ძმები **დე-ვიტი,** მალე ჰოლანდიას მიემხრენ იმპერია და ისპანია. ბოლოს ლიუდოვიკე იძულებული გახდა უარი ეთქვა ჰოლანდიის დაპყრობაზე, მაგრამ სურდა სამაგიეროო აენაზღაურებია ისპანიის მხრივ, რომელსაც უნდა დაეთმო მისთვის ფრანშკონტე და კიდევ (12) თორმეტი მოსაზღვრე ქალაქი. ჰოლანდიამ დაიბრუნა უკან მტრისგან დაპყრობილი მიწა-წყალი. ზავი შეიკრა ქ. ნიმვეგენში 1678 წელს.

ნიმვეგენის ზავი არის უმაღლესი წერტილი საფრანგეთის გაძლიერებისა, „ვინაიდგან იმპერია დასუსტებული იყო და თანაც ოსმალეთთან ომს აწარმოებდა, ისპანია და ჰოლანდია კი ძალა გამოლეული იყვნენ, ლიუდოვიკ მე-XIV-მ გადასწყვიტა სრული მშვიდობიანობის დროსაც კი დაპყრობითი პოლიტიკა ეწარმოებია. საფრანგეთის აღმოსავლეთის ზოგიერთ ქალაქებში დააწესა განსაკუთრებული სასამართლოები, ეგრედწოდებული **„შემოერთების პალატები“,** რომლებსაც უნდა განეხილა, რომელი მიწები ეკუთვნოდა საფრანგეთს იმპერიის საზღვარზე. ასეთი სასამართლოების დადგენილებით მან შემოიერთა რამდენიმე საიმპერიო მიწები, მათ შორის ქ. სტრასბურგი.

ასე დაურიდებლათ მიწების მითვისებამ ევროპის საზოგადოება საშინლათ ააღელვა. ლიუდოვიკს უსაზღვრო უფლების მოყვარეობას წინ გადაუდგა ვილჰელმ ორანელი, რომელიც 1688 წელს ინგლისში გამეფდა. საფრანგეთის წინააღმდეგ შესდგა კოალიცია, რომელშიაც შედიოდენ იმპერია, ისპანია, შვეცია, ინგლისი, ჰოლანდია და სავოია. ომი წარმოებდა ცხრა წლის განმავლობაში (1688 — 1697), ხან ერთი მხარე იმარჯვებდა ხან მეორე, განსაკუთრებით სიმკაცრეს იჩენდა საფრანგეთი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელმაც პფალცი მიწასთან გაასწორა. ზავი შეიკრა რისვიკში, რომლის ძალით საფრანგეთს შერჩა სტრასბურგი და სხვა წართმეული მეზობ-ზასში, დანარჩენი დაპყრობილი ადგილები ორივე მხარემ დაიბრუნა.

მესამე ომმა საშინლათ დაასუსტა საფრანგეთი. მიუხედავად ამისა, ლიუდოვიკ მაინც ახალ დაპყრობასა და შემოერთებაზე ოცნებობდა. მისმა მოხერხებულმა მინისტრებმა და ელჩებმა მოახერხეს და დააჯერეს ესპანიის უშვილო მეფე **კარლოს** II ჰაბსბურგი, რომ ანდერძით ყველაფერი ლიუდოვიკ მე-XIV შვილისშვილს **ფილიპე ანჟუელისთვის** დაეტოვებია.

1700 წელს გარდაიცვალა თუ არა კარლოს მეორე, მაშინვე ფილიპე გამოაცხადეს ესპანიის მეფეთ. ეს არაჩვეულებრივი ბურბონების გაძლიერება იწვევდა მედგარ წინააღმდეგობას ინგლისის, ჰოლანდიის და იმპერატორ ლეოპოლდ I-ის მხრივ, რომელიც ესპანიის ჰაბსბურგების კანონიერ მემკვიდრეთ სთვლიდა თავის მეორე შვილს კარლოსს. დაიწყო დიდი ომი, რომელსაც ისტორიაში ეწოდება **„ომი ესპანიის მემკვიდრეობაზე“** (1700—1714).

ახლაც ლიუდოვიკ მე-XIV-ს წინააღმდეგ დიდი კოალიცია შესდგა: ინგლისი, ჰოლანდია, იმპერია (გარდა ბავარიისა და კელნის მთავარეპისკოპოსისა), პორტუგალია და სავოია. ომი ერთსადაიმავე დროს სწარმოებდა ესპანიასა, იტალიასა, გერმანიასა, ნიდერლანდსა და ზღვაზე. მოკავშირეთა სარდლებ შორის თავისი ნიჭით და გამარჯვებებით ყურადღებას იქცევდა ინგლისის მხრივ ჰერცოგი **მალბორო,** ავსტრიის მხრივ კი პრინცი **ევგენი სავოელი.** შეერთებული ძალებით ამათ რამდენჯერმე ძალზე დაამარცხეს ფრანგები (გეხშტედთან ბავარიაში, უდენარდესთან და მალპლაკეთან ნიდერლანდში). ევგენიმ დაამარცხა ფრანგები ბგრეთვე იტალიაში ტურინთან. ინგლისელები მარჯვეთ ომობდენ ზღვაზე და აიღეს გიბრალტარი. 1709 წ. ლიუდოვიკ მე-XIV-ს მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ის თანახმა იყო მოკავშირეთა ყოველი მოთხოვნები მიეღო, მხოლოდ ესპანიაში კი ფილიპე ანჟუელი საფრანგეთის ჯარით დაეტოვებინათ. მოლაპარაკება ამ საკითხზე შეჩერდა. შემდეგ წლებში ორი შემთხვევა მოხდა, რამაც საფრანგეთი გადაარჩინა. 1. გარდიცვალა იმპერატორი **იოსებ** მე-V, მისი ძმა **კარლოსი,** რომელიც აპირებდა ესპანიაში გამეფებას, კიდეც გახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმპერატორათ კარლოს მე-VI-ის სახელით. თითქოს განგებამ დაავალა მას კარლოს მე-V-ის ყოფილი იმპერიის აღდგენა, მაგრამ ორ საკუთარ-რეებს—ჰოლანდიასა და ინგლისს სრულიადაც არა სურდათ ავსტრიის ჰაბსბურგების ზედმეტი გაძლიერება. 2. ინგლისში გადადგა ომის მომხრე სამინისტრო და ძალა-უფლება გადავიდა უფრო მშვიდობიანობის მომხრე პარტიის ხელში; ამის გამო ინგლისმა და ჰოლანდიამ დიდათ ხელსაყრელი ზავის პირობები წაუყენეს საფრანგეთს. ამ სახელმწიფოთა შორის ზავი ჩამოგდებულ იქმნა უტრეხტში 1713 წ. საფრანგეთმა დაუთმო ინგლისს ზოგიერთი მიწები ჩრდილოეთ ამერიკაში (ნიუ-ფაუნდლენდი, ახალი შოტლანდია და სხვა), ისპანიამ—გიბრალტარი, ჰოლანდიამ მიიღო უფლება დაეკავებია თავის ჯარით ნიდერლანდის საზღვარზე მდებარე ზოგიერთი ციხე, ისპანია ახალშენებით ფილიპე ანჟუელს დარჩა. იტალია, ნიდერლანდი, მილანი, ნეაპოლი და სარდინია უნდა გადასულიყო კარლოს მე-VI-ს ხელში, რომელმაც საფრანგეთს ზავი შეუკრა ერთი წლის შემდეგ ქ. რაშტატში (1714).

სავოიამ სიცილია მიიღო, რომელიც შემდეგ გასცვალა სარდინიაზე.

ისპანიის მემკვიდრეობაზე აღძრულმა რომმა ძლიერ დაზარალა საფრანგეთი და ძალიან დასცა მისი მნიშვნელობა ევროპაში.

ამნაირათ კარლოს მე-V-ის და ფილიპე მე-II-ის დროს ჰაბსბურგების უფროსობის და საფრანგეთში ლიუდოვიკ მე-XIV-ის ბატონობის შემდეგ ევროპაში დამყარდა პოლიტიკური სწორწონაობა.

რაშტატის ზავის ერთი წლის შემდეგ ლიუდოვიკ მე-XIV-ე გარდაიცვალა, სახელმწიფო კი დაზარალებული დარჩა, ხაზინა ცარიელი იყო, მეურნეობა დაცემული და ვალი დიდი.

იმ დროს, როცა საფრანგეთში ლიუდოვიკ მე-XIV-ის აბსოლიუტიზმი ვითარდებოდა და უმაღლეს განვითარებას მიაღწია, ინგლისი მკაცრ ბრძოლას განიცდიდა, რომლის შემდეგ სრულიად დამარცხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე თავი.

ბრძოლა აბსოლიუტიზმსა და პარლამენტ შორის ინგლისში

სტიუარტების დინასტია. მათი ბრძოლა პარლამენტთან.

ინგლისის პარლამენტი საკმაოთ დასუსტებული ტიუდორების დინასტიის მეფობის დასაწყისში, ხელახლავ გაძლიერდა ელისაბედის მეფობის დროს ვაჭარ-მრეწველ კლასთა აღორძინების გამო. იმავე დროს მიუხედავათ სასტიკი დევნისა, ინგლისში უფრო და უფრო გავრცელდა კალვინიზმი თავისი წმინდა სახით, რომელსაც ეწოდებოდა პურიტანიზმი. მე-XVII-ე საუკ. დასაწყისში კალვინისტებს ანუ, როგორც მათ უწოდებდენ „პრესვიტერიანებს“ დიდი უმეტესობა ჰყავდათ თემთა პალატაში. პრესვიტერიანები და პურიტანები ძლიერ მტრულათ უყურებდენ ანგლიკანურ ეკლესიას, რადგან ის ბევრში მოგონებდა მათ კათოლიციზმს. ამგვარათ თემთა პალატაში მე-XVII-ე საუკ. დასაწყისში ორი უმთავრესი მისწრაფება ჩამოყალიბდა: 1. პოლიტიკურ სფეროში პარლამენტს უნდა ჰქონოდა მუდმივი და გადამწყვეტი გავლენა; 2. სარწმუნოებრივ სფეროში უნდა გამეფებულიყო პრესვიტერიანთა ეკლესია.

სტიუარტების დინასტიას, რომელიც ელისაბედის სიკვდილის შემდეგ **იაკობ** I ტახტზე ასვლით ინგლისში გამეფდა (1603—1625), სრულებით არ უნდოდა სათემო პალატის მისწრაფებისთვის ანგარიში გაეწია. მეფეები სტიუარტების გვარისა პოლიტიკურათ აბსოლიუტიზმის მომხრენი იყვნენ და რელიგიურათ ანგლიკანიზმისა, თანაც ყოველთვის ჰქონდათ მიდრეკილება კათოლიკურ ეკლესიასთან დაახლოვებისა.

ცხადია, რომ სტიუარტებსა და პარლამენტს შორის ბრძოლა აუცილებელი იყო. ეს ბრძოლა რთულდებოდა იმით, რომ ინგლისში არ იყო მარტივი და სრული კანონი. თუ არ ვიგულისხმებთ უკვე მოძველებულ **თავისუფლების დიდს სიგელს** (1215), რომელსაც უნდა განესაზღვრა მეფისა და პარლამენტის უფლება. ასეთი კანონის უქონლობა ართულებდა სადაო საკითხებს და აიძულებდა მათ საკითხები გადაეწყვიტათ ჩვეულებრივ წინანდელი შემთხვევების მიხედვით, ანუ, როგორც ამბობდენ უნდა მიემართათ **„პრეცენდენტისთვის“**. მაგრამ პრეცენდენტებიც სხვადასხვა ხასიათისა იყო: ხან მეფის სასარგებლოთ იყო, ხან პარლამენტის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა მეფესა და პარლამენტს შორის დაიწყო იაკობ I-ის მეფობის დასაწყისში. კათოლიკეებმა მოაწყეს ეგრეთ წოდებული, „ასაფეთქებელი შეთქმულება“ და სურდათ მთელი პარლამენტის მეფითურთ აფეთქება, ამ სურვილმა ყველანი გააერთიანა საერთო მტრის კათოლიციზმის საწინააღმდეგოთ. მაგრამ სულ მალე იაკობ I-ის ანგლიკანური ხასიათის განცხადებამ: „არ არსებობს მეფე უეპისკოპოსოთო“, ძლიერ წაახდინა საქმე. გარდა სარწმუნოებრივი წინააღმდეგობისა, პარლამენტს დიდათ აღელვებდა მეფის შემდეგი მოქმედებანი: 1. თავის ნებით გადასახადების გაწერა და მოკრება; (პალატების ნებადაურთველათ); 2. ფართო მფარველობა ულირსი ნათესავისა, რომელსაც დანაშაულობის დროს იაკობი ყველას უწევდა ხოლმე. 3, თვითნებურ სასამართლოს განაჩენის გამოტანა, რის განსახორციელებლათ ის სარგებლობდა ორი უმაღლესი სასამართლოთი „ვარსკვლავთ პალატ“-ით სახელმწიფო საქმეებისთვის და „უმაღლესი კომისიით“ სარწმუნოებრივ საკითხებში; 4. საგარეო პოლიტიკაში გადადგმული ნაბიჯი, როცა ის ერთ დროს აპირებდა დაახლოვებას ისპანიისას, რომლის გახსენებაც კი ეზიზღებოდათ ინგლისის პროტესტანტებს. ამას ისიც დაემატა, რომ იაკობი აწარმოებდა საფრანგეთთან საზარალო ომს და ოცდაათწლიან ომში სუსტ დახმარებას უწევდა თავის სიძეს ფრიდრიხ პფალცელს, რომელიც პროტესტანტების უნიის მეთაური იყო.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოებანი, რაც მეფესა და პარლამენტს შორის ბუნებრივ უკმაყოფილებას იწვევდა, ძალაში დარჩა იაკობის მემკვიდრის **კარლოს** I-ის მეფობაში (1625—1649).

ბრძოლა მეფისა პარლამენტთან კარლოს I დროს რევოლიუციის დაწყებამდი.

კარლოს I გარეგნულათ გაცილებით სჯობდა თავის უხეშ და უპატიოსნო მამას. მას თავისი იშვიათი სილამაზით, თავაზიანი მოქცევით და საუცხოვო მიხრა-მოხრით გაოცებაში მოჰყავდა ხალხი. თავის კერძო ცხოვრებაში ის იყო საუკეთესო მამა ოჯახისა, პატიოსანი და ერთგული ამხანაგი და მუდამ დამცველი თავისი სიტყვისა. საუბედუროთ სახელმწიფო მოღვაწეობაში ის შესაძლოთ და თითქმის აუცილებლათაც სთვლიდა მოტყუებასა და ღალატს, რადგან მათი საშვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით მტრებს უფრო ადვილათ დაამარცხებდა. ამ საშვალებებით მან უაღრესათ ისარგებლა, მაგრამ ამით მან თავისი დაღუპვის ნიადაგიც ამზადა.

მეფობის პირველ ხანებში კარლოს I-ს გავლენიან მრჩეველათ ჰყავდა ბოროტი გენიოსი ჰერცოგი **ბეკინგენი**, რომელიც მამა მისის იაკობ I საყვარელი პიროვნება იყო. ბეკინგენი თვითონ არაჩვეულებრივი ფულის მფლანგველი და მექრთამე იყო და მეფეც ამ გზით მიჰყავდა. პარლამენტი ამაზე მეტათ გაჯავრებული იყო. როცა მეფემ საფრანგეთთან ომი წააგო, პარლამენტს მოთმინების ფიალაც აევსო. 1628 წ. მოწვეულმა პარლამენტმა გამოუცხადა მეფეს, რომ ის ფულით დახმარებას ომის საჭიროებისთვის მანამდი ვერ მიიღებს, სანამ არ დაამტკიცებს ქვედა პალატის მიერ შემუშავებულ **„პეტიციას უფლებათა შესახებ“** (1628).

პეტიცია შესდგებოდა სამი მუხლისაგან: 1. ვერც ერთ მოქალაქეს ვერ დაამალებენ ისეთი გადასახადის გადახდას, რომელიც პარლამენტის მიერ არ იქნებოდა დამტკიცებული. 2. არც ერთი მოქალაქის დატყვევება არ შეიძლებოდა ისე, თუ დატყვევების მიზეზს სასამართლო არ დაადასტურებდა. 3. სამხედრო სასამართლოს მოქმედება და სამხედრო ბინადრობა მშვიდობიანობის დროს შეჩერებული უნდა ყოფილიყო.

„პეტიცია უფლებათა შესახებ“ არის ერთი უმთავრესი კანონთაგანი, რომელიც დღესაც ინგლისის სახელმწიფო წყობილების საფუძვლათ ითვლებოდა. ამ „პეტიციით“ პარლამენტს სურდა ინგლისის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ორი დიდი აკტის განმტკიცება. I **პარლამენტის განსაკუთრებული უფლება გადასახადების შეკრების შესახებ; და მე-II-ე მოქალაქეთა პიროვნების უზრუნველყოფა.**

მეფემ ძალიან გაჭირვებით დაამტკიცა პეტიცია, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ მოხერხებულ დროს ის უარყოფდა მას.

ერთი წლის შემდეგ თვით ბეკინგენი მოკლეს, მაგრამ მეფის დამოკიდებულება პარლამენტთან არამც თუ არ გაუმჯობესდა, პირიქით კიდეც გაუარესდა იმის გამო, რომ პარლამენტმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მთავრობის რელიგიური პოლიტიკა, რომელიც ნაკარნახევი იყო გადაჭარბებული ანგლიკანური სიმპატიებით. აშფოთებულმა კარლოს I დაითხოვა პარლამენტი, დაატუსაღა ქვედა პალატის მეთაური **ელიოტი** — და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპარლამენტოთ დააპირა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა: ამგვარად ეფიქრა ამ კარლოს I-ის თერთმეტწლოვანი უპარლამენტო მეფობის ხანა.

მეფემ გამონახა ორი ენერგიული ფანატიმეწე: **თომა ვენტვორტი**, რომელიც შემდეგ გრაფის ხარისხზე აიყვანა **სტრაფფორდის** სახელწოდებით და ლონდონის მთავარ ეპისკოპოსი **ლოუდა**.

სტრაფფორდი გულგრილათ ეპყრობოდა რელიგიურ საკითხებს, იმას მარტო მეფის უფლების გაძლიერება აინტერესებდა. ის ჰბაძავდა კარდინალ რიშელიეს, რომელმაც სარწმუნოება გამოიყენა აბსოლუტიზმის განსავითარებლათ. სტრაფფორდი დაინიშნა ირლანდიის მართველათ და აქ საუკეთესო მართველობა შემოიღო, მოამზადა მეფისთვის ერთგული ჯარი, ვინაიდგან ის დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან მეფეს ის დასჭირდება ურჩი ქვეშევრდომების დასამორჩილებლათ. ლოუდი კი სულ სხვა გზას დაადგა; მან პირველ რიგში საეკლესიო საკითხები წამოაყენა, როგორც დიდი მოტრფიალე ანგლიკანური ეკლესიისა, ის ოცნებობდა ინგლისში არსებული სხვადასხვა რელიგიური პარტიების მოსპობას და ამისთვის ის სარგებლობდა იმ უკიდურესი საშვალებით, რომელსაც სახელდახელოთ აძლევდა მას უმაღლესი კომისია თავისი განაჩენებით. ლოუდის ანგლიკანიზმი ისე უახლოვდებოდა კათოლიციზმს, რომ საზოგადოებასა და ხალხში დადიოდა ხმები, თითქოს მთავარ ეპისკოპოსს ინგლისის რომთან შერიგება ნდომოდეს. ეს ხმები კიდევ უფრო ამწვავებდა მთავარ ეპისკოპოსის მდგომარეობას და სამაგიეროთ აძლიერებდა პრესვიტერიანელების პარტიას.

მეფეს რომ ფული გამოენახა იძულებული იყო უკანონო მოქმედებისთვის მიემართა. 1634 წ. მან გამოაცხადა ეგრეთ წოდებულ „**საფლოტო გადასახადი**“. ზოგიერთ შემთხვევაში მეფეები ასეთ გადასახადს პარლამენტის დაუკითხავად კრებდენ განსაკუთრებით ახლო მდებარე საგრაფოებიდან და ქალაქებიდან, ისიც ფლოტის სასარგებლოდ, როცა გარეშე მტრისაგან მარცხს მოელოდენ. კარლოს I-მა მოისურვა ამ გადასახადის მოკრება მშვიდობიანობის დროს ხალხისგან და არა ფლოტისთვის, არამედ სხვა საჭიროებისთვის ამის გამო ერთმა აზნაურმა **გემპდენმა** უარი სთქვა მაზედ შეწერილი 20 შილინგის გადახდაზე. მთავრობამ ის სამართალში მისცა და მოსამართლეებმა მეფის შიშით დამნაშავეთ იცვნეს. ეს

სასიკვდილო განაჩენი იმავე დროს ინგლისის თავისუფლებისთვის სიკვდილო იყო. სულ მალე შეიცვალა გარემოება ლოუდმა გადაწყვიტა ანგლიკანიზმის შემოღება შოტლანდიაში, სადაც პრესვიტერიანული ეკლესია საკმაოთ ძლიერი იყო. ამის საპასუხოთ შოტლანდიელებმა განაახლეს **კოვენანტი** ე. ი. კავშირი პრესვიტერიანულ ეკლესიის დაცვისა და ამხობების დროშა აღმართეს. მეფის ჯარი დამარცხდა, ინგლისში ხალხის სულის კვეთება შეიცვალა მეფის საწინააღმდეგოთ, მეფეს კი ფული არ გააჩნდა. ყველა ამან აიძულა მეფე, რომ პარლამენტი მოეწვია, რომელთანაც მას რამდენიმე კვირის შემდეგ უთანხმოება მოუვიდა და კიდეც დაითხოვა. თუმცა, ახალმა დამარცხებებმა აიძულა მეფე, რომ ახალი პარლამენტი მოეწვია (1640). ამ ხნიდგან იწყება ნამდვილი ბრძოლა მათ შორის.

ხანგრძლივი პარლამენტი. განხეთქილება მეფესა და პარლამენტს შორის.

1640 წ. კარლოს I მიერ მოწვეულ მეორე პარლამენტს ისტორიაში ეწოდება **„ხანგრძლივი“**, ვინაიდგან ის განაგებდა სახელმწიფოს 12 წლის განმავლობაში (1640—1653). ხანგრძლივი პარლამენტის თითქმის ყველა წევრები, როგორც ზედა, ისე ქვედა პალატის, ერთხმად ჰკიცხავდენ მეფისა და მისი მთავრობის უკანონო მოქმედებას იმ ხნის განმავლობაში, როცა პარლამენტი დათხოვნილი იყო. პარლამენტის წევრთა ასეთმა ერთსულოვნებამ აიძულა მეფე, რომ დათმობის გზას დადგომოდა. მიღებულ იქნა კანონი, რომლის ძალით პარლამენტი ყოველ სამ წელში ერთხელ მაინც უნდა მოწვეულიყო. საფლოტო გადასახადი უკანონოთ აღიარეს და განაჩენი გემპდენის შესახებ გაბათილეს ავრეთვე გააუქმეს **ვარსკვლავთა პალატა** და **უმაღლესი კომისია.** გადასახადების შეკრება უნდა მომხდარიყო მხოლოდ პარლამენტის ნებადართვით. ხანგრძლივი პარლამენტი ბოლოს იქამდი მივიდა, რომ მოითხოვა, მეფეს არ ჰქონოდა უფლება პარლამენტი დაეთხოვა ისე, თუ თვით პარლამენტი ამის თანახმა არ იქნებოდა. მეფე ყველაფერზე დასთანხმდა, რადგან ეშინოდა, რომ უარისთვის იმას აწამებდენ. სხვათა შორის ვან იმის ნებაც კი მისცა პარლამენტს, რომ მისი უფროსი თანაშემწე და მოსამსახურე — გრაფი სტრაფფორდი გაესამართლებიათ და სიკვდილით დაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯათ. ლოუდიც დაიჭირეს, მაგრამ გასამართლება და წამება მეს, მეტ მას შემდეგ, როცა მეფესა და პარლამენტს შორის განხეთქილება [illegible]

ყველა ზემო აღნიშნულ საკითხებს პარლამენტი ერთსულოვნათ შეხვდა, თუმცა მალე ეს ერთსულოვნება დაირღვა. ირლანდიაში მოხდა კათოლიკეთა ამბოხება და შეუბრალებლათ დახოცეს საბრალო პროტესტანტები, რომლებიც სრულიად მოუმზადებელი იყვნენ, რადგან არაფერს ამის მზგავსს არ მოელოდენ. აუცილებელი იყო ირლანდიაში ჯარის გაგზავნა, მაგრამ სათემო პალატის უმეტესობას არ სურდა წინამძღოლობა მეფისთვის მიენდოთ, ვინაიდგან ეშინოდათ, რომ მეფემ ამ ჯარს პარლამენტის საწინააღმდეგოთ მოიხმარდა. ბევრი ლორდი კი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოში ჯარის უმაღლესი ხელმძღვანელობა მეფის უფლებაა და ეს მის **პრეროგატივას** შეადგენსო.

ამ საკითხმა პარლამენტი ორ დიდ პარტიათ დაჰყო: ერთს უწოდებდენ **კავალერებს** დ მეორეს **თავმრგვალებს**. პირველი სჭარბობდა ლორდთა პალატაში, ემხრობოდა ანგლიკანურ ეკლესიას და სურდა პარლამენტსა და მეფეს შორის განწყობილება დაეცვა. მეორე ბატონობდა თემთა პალატაში (თავმრგვალი ეწოდებოდათ იმიტომ, რომ თმას მრგვალათ იკრეჭდენ). თავმრგვალებს წინამძღოლობდა **პიმი** და **გემპდენი**, რომლებიც პრესვიტერიანული ეკლესიის მხარეზე იყვნენ, სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში მათ სურდათ, რომ უპირატესობა ჰქონოდა საერთოთ პარლამენტს, კერძოთ კი თემთა პალატას. თავმრგვალები უკიდურეს შემთხვევაში მზათ იყვნენ მეფესთან ბრძოლაში გასულიყვნენ, კავალერები კი, როგორც მეფესთან უფრო ახლო მდგომნი, მასთან ბრძოლას უკანონოთ და შეუძლებლათ სთვლიდენ. გარდა ამისა თავმრგვალები მოითხოვდენ ეპისკოპოსების დათხოვას ლორდთა პალატიდან, რასაც კავალერები, თუნდა უნაყოფოთ, მაგრამ მაინც ეწინააღმდეგებოდენ.

მეფე ძლიერ გაჯავრებული იყო თავმრგვალების მეთაურებზე და რომ მათგან თავი დაეხსნა, გადასწყვიტა მათთვის სახელმწიფოს ღალატი დაებრალებია და უკანონოთ დაეტყვევებია. ამ განზრახვით თუმცა თვითონ მეფე მივიდა შეიარაღებული ძალებით თემთა პალატაში, რომ დაეტყვევებია პიმი, გემპდენი და კიდევ სამი მეთაური, მაგრამ ეს განზრახვა მაინც არ აღსრულდა. ამ ნაბიჯმა ისეთი მტრული განწყობილება შექმნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონდონში, რომ მეფემ გადასწყვიტა ლონდონიდგან გასვლა, მდეგ პარლამენტსა და მის შორის ყოველივე დამოკიდებულება შეწყდა. ორივე პარტია მეფის და პარლამენტისა, დიდი ფაცა-ფუცით შეუდგა ომისთვის მზადებას. მეფეს დახმარების იმედი ქონდა ჩრდილო და დასავლეთ ინგლისისა, სადაც იმ დროს მსხვილი მემამულეთა არისტოკრატია სჭარბობდა, პარლამენტი კა ემყარებოდა სახელმწიფოს აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებს, სადაც მსხვილი სამრეწველო და სავაჭრო ადგილები იყო. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდენ არისტოკრატია და საშუალო კლასი, წვრილი გლეხობა კი ამ ბრძოლაში არავითარ ინტერესს არ იჩენდა. საგულისხმოა ისიც, რომ პარლამენტს დიდხანს ჰქონდა იმედი მეფესთან შერიგებისა და სრულიადაც არ ფიქრობდა თუ მონარქია დაინგრეოდა.

სამოქალაქო ომი. ინტერენდენტების გამოსვლა. მეფის წამება.

ბრძოლა მეფესა და პარლამენტს შორის გაჭიანურდა, ხან ერთი მხარე იმარჯვებდა, ხან მეორე. ამას ხელს უწყობდა გაუბედავი მოქმედება პარლამენტის არმიის ბელადებისა — **გრაფ ესეკსისა** და **ლორდ მანჩესტერისა.** მათ მუდამ სახეში ჰქონდათ მშვიდობიანათ საქმის მოგვარება კარლოს I-თან და ამიტომ არც ისე ენერგიულათ მოქმედებდენ, რადგან მეფე ნამდვილ მტრათ არ მიაჩნდათ. ომის ხასიათი არსებითად შეიცვალა, როცა ჯარში უმთავრესი გავლენა ე. წ. **„ინტენენდენტების."** პარტიამ მოიპოვა. ინდეპენდენტები უკიდურესი მიმართულებისა იყვნენ სახელმწიფო და საეკლესიო საკითხებში, ანგლიკანებსა და პრესვიტერიანებს სურდათ ხალხისთვის თავზე მოეხვიათ სახელმწიფოს დახმარებით თავისი სარწმუნოება და საეკლესიო წესწყობილება, ინდენპენდენტები კი, ფიქრობდენ, რომ თემები სარწმუნოებრივ ცხოვრებაში სრული დამოუკიდებელნი უნდა ყოფილიყვენ სახელმწიფოსაგან. ხელმძღვანელობდენ რა ასეთ შეხედულებით, ისინი მოითხოვდენ ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოდან და სარწმუნოებრივი თავისუფლების დამყარებას. მეფესთან ბრძოლაში ისინი მოითხოვდენ მკაცრი ნაბიჯების გადადგმას და მზათ იყვნენ მონარქია საესებით გაეუქმებიათ. ინდეპენდენტებში ძლიერი მისტიური სული ტრიალებდა, მათ სწამდათ, რომ ისინი ღვთისაგან არჩეულნი იყვნენ, ასეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულისკვეთებას უფრო ნათლათ გამოხატავდა მათი ხელმძღვანელი **ოლივერ კრომველი.**

ოლივერ კრომველი შეძლებული აზნაურის შვილი იყო, მან მიიღო წმინდა პურიტანული აღზრდა და ადრიდგანვე დიდი მოწინააღმდეგე იყო კარლოს I-ის. როცა სამოქალაქო ომი ასტყდა, კრომველმა შეადგინა კავალერიის პოლკი შეძლებული გლეხებისა და მოიჯარადრეებისაგან, რომლებმაც თოფი ხელში აიღეს იმიტომ კი არა, რომ ქონება შეეძინათ, იმიტომ რომ ღრმათ დარწმუნებული იყვნენ, ისინი ასრულებდენ თავის მოვალეობას ღვთისა და სამშობლოს წინაშე. კრომველის პოლკმა მალე ისახელა თავი სამაგალითო დისციპლინით და ომში სიმამაცით. ცხენოსან ჯარის ასეთ გაშმაგებულმა ბრძოლამ არგუნა პარლამენტის ჯარს უმთავრესი გამარჯვებები. პარლამენტის არმიის ხელმძღვანელების გაუბედავი მოქმედებით, აღშფოთებულმა კრომველმა პარლამენტში გაატარა კანონი, რომელიც უკრძალავდა პარლამენტის წევრს წევრობის დროს რომელიმე საზოგადო ან სამხედრო თანამდებობა ჰქონოდა. გამონაკლისს მხოლოდ თვით კრომველი შეადგენდა. ამ კანონის გამო ესეკსმა და მანჩესტერმა სამსახურს თავი დაანებეს და მათ მაგიერ მთავარსარდლათ დაინიშნა მეგობარი და თანამოაზრე კრომველისა — ვინმე **ფერფაკსი.** კრომველი კი მთელი კავალერიის წინამძღოლათ იქმნა დანიშნული. ფერფაკსის და კრომველის მეთაურობაში ჯარი ინდეპენდენტებით გაივსო. 1645 წ. ნეზბისთან ჯარმა მეფე სასტიკათ დაამარცხა და დაიკავა ის ციხე-სიმაგრეები, რომლებიც აქამდი მეფის ხელში იყო. დამარცხებული კარლოსი მოკავშირე შოტლანდიაში გაიქცა, მაგრამ შოტლანდიელებმა შეიპყრეს და ინგლისის პარლამენტს გადასცეს. ომიც გათავდა, მეფეც დამარცხდა, მაგრამ პარლამენტსა და ჯარს შორის მალე უსიამოვნება შეიქნა. პარლამენტის უმეტესობას პრესვიტერიანებს, თანახმად შოტლანდიელებთან დადებული პირობისა, სურდათ მთელ ინგლისში პრესვიტერიანული ეკლესია დაემყარებიათ, ინტეპენდენტთა ჯარი კი სარწმუნოებრივ თავისუფლებას მოითხოვდა. მეფემ მოინდომა ამ უთანხმოებით ესარგებლნა და ხან პარლამენტისთვის მიემართა, ხან ჯარისთვის. ამავე დროს დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკება შოტლანდიელებთან, რომლებიც ემდუროდენ ინგლისს მეფესთან უკმაყოფილებისთვის და პრესვიტერიანული ეკლესიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოღების გაჭიანურებისათვის. შოტლანდიელებმა გადასწყვიტეს ინგლისში შემოჭრილიყვენ. მეფის საიდუმლო მოლაპარაკება გამომჟღავნდა და ამაც ხალხში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. კრომველი დიდი ჯარით შოტლანდიელების წინააღმდეგ გაეშურა და გადაწყვეტილი ჰქონდა გამარჯვების შემდეგ მეფე პასუხისგებაში მიეცა. შოტლანდიელები დამარცხდენ და კრომველი გამარჯვებული ჯარით უკან დაბრუნდა. მაგრამ პარლამენტის წევრთა უმეტესობა (პრესვიტერიანები) არ იზიარებდა ჯარის მოთხოვნას არც სარწმუნოებრივ საკითხში, არც მეფის პასუხისგებაში მიცემას. მაშინ კრომველმა უკიდურეს ზომას მიმართა. მისმა ჯარმა პოლკოვნიკ **პრაიდის** ხელმძღვანელობით ყველა პრესვიტერიანები პარლამენტიდან დაითხოვა. დარჩენილმა უმცირესობამ (ინდეპენდენტებმა) მეფე სასამართლოს გადასცეს; სასამართლომ მეფე დასახა როგორც მოღალატე, მკვლელი და მტერი სახელმწიფოსი, ამიტომაც მას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

განაჩენი აჩქარებულათ სისრულეში მოიყვანეს 30 იანვარს 1649 წ., რამაც ლონდონის მცხოვრებლები ძლიერ გააოცა. კარლოსი სიკვდილს მამაცურათ შეხვდა. ამგვარათ თანახმად ინდენპენდენტების ჯარის სურვილისა ინგლისი რესპუბლიკათ გადაიქცა, თუმცა დიდი უმეტესობა ინგლისელებისა ამის წინააღდეგი იყო.

რესპუბლიკა. პროტექტორატი და კრომველის შინაგანი მმართველობა.

ინგლისში რესპუბლიკა ძალამ დაამყარა და ისევ ძალას შეეძლო მისი შენახვა. ინგლისელთა უმეტესობა რესპუბლიკას მტრულათ უცქეროდა და ამიტომ რესპუბლიკანური მთავრობა რესპუბლიკის დასაცავათ იძულებული იყო მკაცრი ზომებისთვის მიემართა, მაგრამ საუბედუროთ არც თვით რესპუბლიკანელთა შორის იყო ერთსულოვნება. ხანგრძლივი პარლამენტის ინდენპენდენტ წევრთა და კრომველს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. პარლამენტი უმაღლესი ძალა-უფლების მქონეთ სთვლიდა თავის თავს და ამიტომ მოითხოვდა, რომ კრომველი თავის ჯარით მას დამორჩილებოდა, მაგრამ კრომველს ასეთი როლი არ შეეფერებოდა. თავის დიად გამარჯვებას კარლოსთან ბრძოლაში კრომველი სასწაულს აწერდა და განგების წყალობად სთვლიდა. 1650—51 წ. განმავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაში მან შესძლო ირლანდიის ამბოხების ჩაქრობა, დაიპყრო ირლანდია, სადაც მოკლული მეფის შვილმა, რომელსაც როიალისტები კარლოს მე-II-ს უწოდებდენ რესპუბლიკის წინააღმდეგ ამბოხება მოაწყო. ასეთმა გამარჯვებამ კრომველი სავსებით დაარწმუნა, რომ მას თვით ღმერთი ანდობდა დიდი მისიის შესრულებას; ეს რწმენა მას ზნეობრივათ ახალისებდა და ამით კათამამებულლი უკანონო მოქმედებასაც კი არ ერიდებოდა. ჯარი მონურად ემორჩილებოდა მას. ასეთ ჯარზე დაყრდნობილ კრომველს რასაკვირველია შეეძლო ემოქმედნა, როგორც ნამდვილ ბრძანებელს. მართლაც რესპუბლიკა სამხედრო დესპოტიათ გადაიქცა.

პირველი დესპოტიური ნაბიჯი კრომველისა, რომელიც მან აფიცრების თანხმობით გადასდგა პარლამენტის წევრების დათხოვა იყო. ეს პარლამენტი მაინც ძლიერ ეჯავრებოდა მხედრობას, რადგან ჯარის დამორჩილებას აპირებდა და ახალი წევრების არჩევნები არაერთხელ გადასდვა. პარლამენტის დათხოვის შემდეგ, კრომველმა ოფიცრების საბჭოთა თანხმობით მოიწვია რაღაც პარლამენტის მზგავსი კრება ინდეპენდენტებისა და რესპუბლიკის ერთგული პირებისაგან. ამათ უნდა შეემუშავებიათ პროეკტი საერთოდ სახელმწიფოს რეფორმის შესახებ, მაგრამ შესძლეს მხოლოდ რამოდენიმე საჭირო კანონების გამოცემა, მაგ. სამოქალაქო ქორწინებისა და სხვა. კრომველმა პარლამენტიც დაითხოვა, ვინაიდგან მისტიურათ მოაზროვნე ხალხი სჭარბობდა და რეალურ სინამდვილეს ისინი ანგარიშს არ უწევდენ. შემდეგ კრომველმა ოფიცერთა საბჭოს რჩევით კონსტიტუციის ძალით ახალი პარლამენტი მოიწვია, რომელშიაც 400 წევრი ინგლისელი უნდა ყოფილიყო და 60 შოტლანდია—ირლანდიიდან (თვითოეულიდან ოც-ოცდაათი). ბოლოს ეს ახალი პარლამენტიც, თუმცა იქ საეჭვო ელემენტი აღარ იყო, წაეჩხუბა კრომველს, რადგან მას არ სურდა პარლამენტს დამორჩილებოდა. ჩხუბის მიზეზი იყო ის, რომ პარლამენტმა ისურვა გადაესინჯა კონსტიტუციის ის მუხლი, რომლის ძალითაც კრომველი იყო არჩეული. იმას ისიც დაერთო, რომ კრომველი, მათი აზრით, სარწმუნოების საკითხში მკაცრი იყო.

კრომველმა ეს პარლამენტიც დაითხოვა ბ ჯარის შემწეობით დაიწყო სახელმწიფოს მართვა. მთელი ინგლისი გაჰყო ოლქებათ და თვითოეულის სათავეში თითქმის განუსაზღვრელ უფლებით აღჭურვილი გენერალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუბერნატორი დააყენა, მაგრამ გარეშე საფრთხემ აიძულა პროტექტორი, რომ ისევ პარლამენტისთვის მიემართა, პარლამენტმა დაჟინებით მოითხოვა გენერალ მაიორების სამხედრო მართველობის გაუქმება და შეიმუშავა ახალი კონსტიტუცია. პროტექტორის მდგომარეობა გამაგრდა: მას მიეცა უფლება თავის მოადგილის დანიშვნისა, მაგრამ აქვე ხაზგასმით აღნიშნეს პარლამენტის პრივილეგიები განსაკუთრებით გადასახადების შეკრების შესახებ. ამის გარდა კონსტიტუციამ ქვედა პალატის მაგიერ გახსნა ზედა პალატა, რომლის წევრებსაც თვითონ პროტექტორი ნიშნავდა. **ასე რომ ინგლისი, გარეგნულათ რესპუბლიკა, ხელახლავ უბრუნდებოდა ძველ მონარქიულ წესწყობილებას.** ზედა პალატის დაარსებას მტრულათ შეხვდა ქვედა პალატის უმრავლესობა. ამან ხელი შეუწყო ახალ უთანხმოებას და გაუგებრობას, რის გამო ეს ახალი კრომველის მიერ მოწვეული პარლამენტიც დაიხურა.

პარლამენტებთან ბრძოლას გარდა, კრომველს ანგარიში უნდა გაეწია ჯარისკაცთა შორის აღძრული უკმაყოფილებისათვის. თვით კრომველი მსხვილი მემამულე იყო და აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნდა, რომ ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში უპირატესობა საშუალო შეძლებული კლასის ხელში ყოფილიყო. ჯარის ზოგიერთი ნაწილები კი მოითხოვდენ, რომ ყველა ინგლისელები თანასწორი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებისა ყოფილიყვნენ და ყოველგვარი სოციალური უპირატესობა და პრივილეგიები მოსპობილიყო. ამ მოთხოვნებისათვის მათ უწოდეს **„ლეველერები“** (გამათანასწორებელნი). მათი მეთაური იყო **ლილბერნი,** რომელმაც ენერგიული მონაწილეობა მიიღო მეფესთან ბრძოლაში. ლეველერების აგიტაციამ ხალხი ააჯანყა, რაც კრომველმა შეუბრალებლად ჩააქრო. ლილბერნი გაიქცა ჰოლანდიაში. დაახლოებით ამ დროს ინგლისში გამოვიდენ კიდევ უფრო უკიდურესი აზრების მქადაგებლები, რომლებიც უარყოფდენ კერძო საკუთრებას და ამბობდენ, რომ სასუფეველი მოახლოებული არისო. ზოგმა მათგანმა დაიწყო სხვისი მიწების დამუშავებაც. ამ მოძრაობას არ მიუღია საშიში სახე და ადვილათაც ჩააქრეს. ყველა ამ შეტაკებებს დაემატა მონარქისტების მუდმივი შეთქმულება რესპუბლიკისა და პროტექტორის წინააღმდეგ. ყოველივე ეს ცუდათ მო-

ქმედებდა კრომველზე და ამიტომ უფრო მკაცრ ზომებს მიმართავ: შეთქმულებების საწინააღმდეგოთ მან მოაწყო საიდუმლო პოლიცია, ... დიდი ყურადღებით თვალყური უნდა ედევნებია მოქალაქეთათვის. საერთოდ პროტექტორის მმართველობას მკაცრი ელფერი ჰქონდა. ერთად ერთი ბრწყინვალე თვისება კრომველისა იყო სარწმუნოების თავისუფლების პრინციპის დაცვა.

თუმცა ის ნებას ვერ აძლევდა კათოლიკებსა და ანგლიკანებს, რომ მათ საჯაროთ გაემართათ ღვთისმსახურება, მაგრამ დიდი წინააღმდეგი იყო სარწმუნოებრივი რწმენისათვის რაიმე დევნა ყოფილიყო. ამ მხრივ ის თანამედროვეებზე განშორებით მაღლა იდგა. თავის მოღვაწეობის დასაწყისში ის მომხრე იყო ეკლესიის სახელმწიფოსაგან განშორებისა, მაგრამ მერე პრაკტიკულმა მოსაზრებებმა აიძულა, რომ ძალაში დაეტოვებია საეკლესიო გადასახადი მამულზე ეგრეთწოდებული „მეათედი“ (ამ ფულით ინახებოდა სამღვდელოება) და სამღვდელოებისათვის ნივთიერი დახმარება სახელმწიფო ხაზინიდან მიეცა. დახმარება, რა საკვირველია, მხოლოდ პურიტანულ ეკლესიას ეძლეოდა.

რამდენათაც ინგლისი შინაგან ცხოვრებაში გაჭირვებას განიცდიდა რესპუბლიკის დროს, იმდენად მოგებული და გამარჯვებული დარჩა საგარეო პოლიტიკის წარმოებით.

კრომველის საგარეო პოლიტიკა. მისი სიკვდილი. სტიუარტების ტახტზე აღდგენა.

ინგლისის რესპუბლიკას, რომელიც კარლოს I-ის სისხლით იყო გასვრილი, ევროპის სახელმწიფოებმა პირველად მტრულის თვალით შეხედეს. მაგრამ რესპუბლიკანური ჯარების გამარჯვებებმა და რესპუბლიკანური მთავრობის ენერგიით განახლებულმა ფლოტმა სულ მალე შეაცვლევინა ევროპას თავისი პირვანდელი დამოკიდებულება. ახალი სახელმწიფოს ძლიერება პირველად ჰოლანდიამ გამოსცადა. 1651 წ. პარლამენტმა გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც ყოველი საქონელი ინგლისში უნდა შემოტანილიყო ინგლისისავე ხომალდებით, ან-და იმ ქვეყნების ხომალდებით, სადაც საქონელი იყო დამზადებული. ინგლისის ვაჭრობის წარმოება ახალშენებთან შეიძლებოდა მხოლოდ ინგლისელების ხომალდებით ეს ე.წ. „**საზღვაოსნო აქტი**“ დიდ ზარალს აძლევდა ჰოლანდიის ვაჭრობას, ვინაიდან ჰოლანდიელებს თავის ხომალდებით უმთავრესად საქონელი გადაჰქონდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ქვეყნიდან მეორეში და ამით სარგებლობდენ. ამის შემდეგ აუცილებელი შეიქნა. ინგლისის რესპუბლიკამ გაიმარჯვა მოწინააღმდეგეზე. ჰოლანდიამ მიიღო „საზღვაოსნო აქტი“ და გადიხადა კონტრიბუცია იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც ომის დროს ინგლისში არსებულ ოსტ-ინდოეთის კომპანიას (ამხანაგობას) მოუვიდა (1654). ომის გათავების შემდეგ კრომველი ცდილობდა მეგობრული განწყობილება დაეჭირა ჰოლანდიასთან და ხელსაყრელი პირობებით შეეკრა დანიასა და შვეციას. პროტესტანტურ სახელმწიფოთა შორის ინგლისი თანდათანობით იწყევდა პირველ ადგილზე. **ევროპაში კრომველს შეხედეს, როგორც პროტესტანტიზმის უმაღლეს დამცველს.** კრომველი, მართლაც პროტესტანტების ინტერესს იცავდა. ასე მაგ. კარდინალ მაზარინის საშუალებით მან აიძულა სავოელი ჰერცოგი, რომ მას შეეწყვიტა ვალდენსელების დევნა, რომლებიც მის სახელმწიფოში ცხოვრობდნენ.

საფრანგეთთან შეკავშირებული კრომველი აწარმოებდა ომს ისპანიასთან. ინგლისელებმა წაართვეს ისპანელებს იამაიკას კუნძული და ფრანგებთან ერთად დაიკავეს დიუნკირხენი, რომელიც შემდეგ ინგლისელებს მიასაკუთრეს. ამგვარად ინგლისელებმა ქალაქ კალეს დაკარგვის შემდეგ ისევ მოიკიდეს ფეხი ევროპის ხმელეთზე.

უმთავრესი გმირები ამ ომებში იყვნენ: ადმირალი **რობერტ ბლეკი** და გენერალი **მონკი.**

კრომველის საგარეო პოლიტიკას შედეგად მოჰყვა ის, რომ ინგლისი უძლიერესი სახელმწიფო გახდა ზღვაზე და მთელ ევროპაში ყველა პროტესტანტური სახელმწიფოების წინამძოლიც შეიქნა.

1658 წ. კრომველი დიდის შრომით დაქანცულმ გარდაიცვალა და პროტექტორად თავისი შვილი **რიჩარდი** დანიშნა, მაგრამ კრომველის სიკვდილის შემდეგ ინგლისში არეულობა მოხდა და რიჩარდი იძულებული გახდა პროტექტორობაზე უარი ეთქვა და კერძო ცხოვრებას დაბრუნებოდა. ბრძოლაში ორი პარტია ჩამოყალიბდა: სამოქალაქო და სამხედრო. პირველი მოითხოვდა პარლამენტის უზენაესობას; მან ისარგებლა ღენერლების უთანხმოებით და აღადგინა კრომველისგან გარეკილი ინდეპენდენტების პარლამენტი, თუმცა ცოტა ხნით სამხედრო პარტიის წინამძღოლმა ღენერალმა ლამბერტმა ეს პარლამენტი ისევ გარეკა, მაგრამ ის

ხელახლა აღადგინა გამოჩენილმა ღენერალმა მონკმა, რომელიც წინამ-ძღოლობდა შოტლანდიაში, მყოფ ჯარს. მონკმა დაამარცხა ლაბანტოტა, შევიდა ლონდონში და აღადგინა პრესვიტერიანული წევრებისგან შემ-დგარი ხანგრძლივი პარლამენტი, რომელიც ერთ დროს პრაიდის მიერ იყო განდევნილი. ამგვარად განახლდა ძველი შემადგენლობით ხანგრძლივი პარლამენტი და თან მისი იმედები კანონიერი მონარქიის აღდგენაზე, რომელიც ინდეპენდენტებმა მოსპეს მიუხედავათ ინგლისელთა, დიდი უმეტესობის და ხანგრძლივი პარლამენტის სურვილისა. ასეთი იმედები ასულდგმულებდა ხალხის უმეტესობას; ამიტომ მონკმა ვადაწყვიტა საქმე აღარ დაეგვიანებია. მან დაიწყო მოლაპარაკება კარლოს მე-II-თან (კარ-ლოს I-ის შვილია), რომელმაც სადღესასწაულო დეკლარაციაში აღუთქვა საყოველთაო ამნისტია და სარწმუნოების თავისუფლება, თუ კი ამას მი-იღებდა პარლამენტი. ამის შემდეგ პარლამენტმა აღადგინა კანონიერი მონარქია და მოიწვია კარლოსი ინგლისში. მეფის დაბრუნება დიდის ზე-იმით მოხდა. საერთოდ ინგლისმა თავისი არაჩვეულებრივი სიხარულით და მეფისადმი ერთგულობის გამოცხადებით დაამთავრა რევოლიუციონური შფოთი და რესპუბლიკანური დესპოტიზმის არსებობა (1660 წ.).

კარლოს II-ის მართველობა. ახალი შეტაკებები მეფესა და პარლამენტ შორის.

რესპუბლიკანელების და პურიტანების ბატონობამ ინგლისში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რამაც ისეთი გავლენა იქონია კარლოს მე-II მიერ მოწვეულ პარლამენტზე, რომ მან გადამეტებული რეაქციონური ხასიათი მიიღო. რეაქცია მიმართული იყო რელიგიურ საკითხებში პრესვიტერიანულ ეკლესიის წინააღმდეგ, რომელიც პურიტა-ნული სულით იყო გაჟღენთილი, პოლიტიკურში კი ეწინააღმდეგებოდა ყველა იმ ცვლილებებს, რომლებიც კრომველმა მოახდინა ინგლისის ში-ნაგან ცხოვრებაში. ახალ პარლამენტში დიდი უმეტესობა იყო მომხრე ანგლიკანური ეკლესიისა და რევოლიუციამდი არსებული ძველი სახელ-მწიფოებრივი წესწყობილებისა. სულ მალე დაუწყეს დევნა პრესვიტე-რიანებს და საერთოდ ყველას, ვინც ანგლიკანურ ეკლესიას არ ემორჩი-ლებოდა, რომელთაც უწოდეს **ნონ-კონფორმისტები**. ნონ-კონფორ-მისტებს აუკრძალეს რელიგიური მიზნებისთვის შეკრება, პრესვიტერია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების მღვდლები რიცხვით 2000 განდევნეს თავთავიანთი ბინებიდან და ვინც ანგლიკანურ ეკლესიაში ღვთისმსახურებას არ დაესწრებოდა, მას აჯარიმებდენ. კრომველის ჯარი, რომელიც წინეთ ძალიან იცავდა სარწმუნოების თავისუფლებას, კარლოს მე-II-ის დაბრუნების შემდეგ საჩქაროდ დაითხოვეს. რევოლუციისადმი ზიზღით აღვსილმა პარლამენტმა გამორიცხა საერთო ამნისტიის სიიდგან და ეშაფოტზე გაგზავნა კრომველის რამდენიმე თანამშრომელი, რომელთაც მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული კარლოს I-ის სიკვდილში. ამდენად რეაქციონური პარლამენტი სრულიადაც არ უარჰყოფდა თავის ძირითად უფლებებს, მაგ. გადასახადების გაწესების ნებართვას და შეფის მინისტრებზე ზედამხედველობას — ეს უფლებები პროგრესიული პარლამენტისა მას მოსწონდა და შენარჩუნებაც სურდა.

ამ მხრივ პარლამენტმა მეტიც მოისურვა, ვინაიდგან მეფე ბევრს ხარჯავდა სასახლის გამშვენიერებაზე და მდიდრულ ცხოვრებაზე და სასახლეში ზედმეტი სიმხიარულისა გამო, ხარჯები მატულობდა, პარლამენტში ძალიან დაჟინებით გაისმოდა ხმები, რომ პარლამენტის ნებართვით აკრებილი ფულების ანგარიში წარედგინათ. ეს არ მოსწონდა მეფეს და მან საომრად დაიწყო მზადება. კიდევ უფრო მეტი უკმაყოფილება დაბადა მეფის რელიგიურმა პოლიტიკამ. კარლოს მე-II-ეს დიდი სიმპატია ჰქონდა კათოლიციზმის და ბოლოს იდუმალათ კიდეც გადვიდა ამ სარწმუნოებაზე, იგივე ჩაიდინა მისმა ძმამ და მემკვიდრემ **იაკობმა — იორკის** ჰერცოგმა იმ განსხვავებით, რომ მან ეს საქვეყნოთ შეასრულა. ერთ დროს კარლოს მე-II-ე კიდეც ფიქრობდა კათოლიკეებისთვის სარწმუნოების თავისუფლება მიეცა, რადგან ეგევე მისცა პროტესტანტების ნონ-კონფორმისტებს, მაგრამ პარლამენტის წინააღმდეგობამ მეფეს ხელი შეუშალა, ვინაიდგან სავსებით აშკარა იყო, რომ მეფე კათოლიციზმს ემხრობოდა. პარლამენტმა 1673 წ. გამოსცა განსაკუთრებული კანონი ე. წ. „ტესტ აკტი“ (ფიცის მიღება), რომლის ძალით არც ერთ მოქალაქეს არ შეეძლო სამხედრო ან სამოქალაქო სამსახურში შესულიყო, თუ ფიცს არ მიიღებდა, რომ ის აღიარებს მეფის უზენაესობას საეკლესიო სფეროში და წერილობით არ განაცხადებდა, რომ ის ეზიარებოდა ანგლიკანურ ეკლესიის წესით ე. ი. ორი სახით: პურით და ღვინით. „ტესტ აკტი“ უმთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესათ კათოლიკების წინააღმდეგ იყო მიმართული, თუმცა პირველ-ლი (მეფის უზენაესობა საეკლესიო სფეროში) მიუღებელი იყო პროტესტანტ ნონ-კონფორმისტებისთვისაც. ამ კანონის გამოცემის შემდეგ იორკელმა ჰერცოგმა სამსახურს თავი გაანება. ყველა ამ საკითხებს, რომლებმაც მტრული დამოკიდებულება ჩამოაგდო პარლამენტსა და მეფეს შორის, კარლოს მე-II-ს საგარეო პოლიტიკაც დაემატა. პირადათ კარლოსი მუდამ მომხრე იყო, რომ ინგლისს საფრანგეთან ჰქონოდა კავშირი, რადგან ლიუდოვიკ მე-XIV-ე მას ბევრ ფულს აძლევდა და ეს კი მისთვის დიდი ანგარიში იყო, რადგან პარლამენტისაგან ფულის მიღება მას ძლიერ უძნელდებოდა ხოლმე; ქვეშევრდომთა უმეტესობა კი და თვით პარლამენტიც მომხრე იყო ჰოლანდიასთან კავშირისა, 1678 წ. დამოკიდებულება მეფესა და პარლამენტს შორის იმდენათ გამწვავდა, რომ კარლოს მე-II-ემ გადასწყვიტა იმ პარლამენტის დათხოვა და ახალის მოწვევა. მაგრამ ახალი პარლამენტიც ოპოზიციონური გამოდგა. 1679 წ. მან მიიღო კანონი ეგრეთ წოდებული **„ლაბეას კორპუს აკტი“** (habeas corpus act), რომელიც მოქალაქის პირადობის ხელშეუხებლობას შეეხებოდა. ამ კანონის ძალით არც ერთი ინგლისელი არ უნდა დაეპატიმრებიათ, თუ ასეთი წერილობითი ბრძანება არ იქნებოდა, რომელიც დატყვევების მიზეზს განმარტავდა. დაპატიმრებულს უფლება ჰქონდა მოეთხოვა, რომ 3 დღის განმავლობაში იგი სასამართლოსთვის გადაეცათ; სასამართლო მოვალე იყო პატიმარი განეთავისუფლებია, თუ აღნიშნული მიზეზი უკანონო გამოდგებოდა ან საკმაოდ დასაბუთებული არ იქნებოდა. სასამართლოში მოყვანის ბრძანებას ეწოდებოდა „ლაბეას კორპუს“; აქედგან წარმოსდგა კანონის სახელწოდებაც. „ლაბეას კორპუს“ აკტს სამართლიანად სთვლიან თავისუფლების მეორე დიდ ხარტიათ, ვინაიდგან მოქალაქის პირადი თავისუფლება მთავრობის თვითნებობისაგან სავსებით დაცულია. კარლოს მე-II-ს მთავრობის შეურიგებელმა მტრებმა ისარგებლეს საერთო შიშით, რომელიც გამოიწვია ყალბათ გავრცელებულმა ხმებმა, ვითომც „პაპისტები“ აპირებენ შეთქმულების მოწყობას და მოინდომეს, რომ იორკელი ჰერცოგისათვის, როგორც კათოლიკესათვის ტახტის მემკვიდრეობის უფლება წაერთმიათ. ეს აზრი ერთხმად მიიღეს ქვედა პალატაში, მაგრამ უარყოფილ იქნა ლორდთა პალატისაგან. ამ კანონ პროექტის მომხრეებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიგები ეწოდებოდა, მოწინააღმდეგეთ კი **ტორები**. ამ ორი სახელწოდებით ინგლისში დღესაც აღნიშვნენ ლიბერალურ და კონსერვატიულ პარტიებს. ვიგები თითქოს თავმრგვალების მაგიერი იყვნენ, ტორები კი კავალერების. როცა კანონ-პროექტი იორკელ ჰერცოგის შესახებ არ დამტკიცდა, პარლამენტი დაითხოვეს. ვიგებს შორის უკიდურესმა წევრებმა შეთქმულება მოაწყეს, რომელიც თუმცა მალე გამომჟღავნდა და კიდევაც ჩაქრა, მაგრამ რევოლიუციის ლანდით ისე დააფრთხო ინგლისელები, რომ ყველანი ისევ მეფის გარშემო შეჯგუფდენ. შეთქმულებაში მონაწილენი და ვიგების პარტიის ზოგიერთი გამოჩენილი პირები, რომლებიც ენერგიულ აგიტაციას აწარმოებდენ მეფის წინააღმდეგ, სიკვდილით დაისაჯენ. მეფის პოზიცია ძლიერ გამაგრდა.

კარლოს მე-II-ის სიკვდილის შემდეგ 1685 წ. იორკის ჰერცოგმა თავისუფლათ დაიკავა ტახტი იაკობ მე-II-ის სახელით.

იაკობ მე-II-ის მართველობა. ინგლისის დიდი რევოლიუცია.

Იაკობ მე-II-ე, რომელიც ფანატიკური მიმდევარი იყო კათოლიკური სარწმუნოებისა, კათოლიკურ ეკლესიას სთვლიდა საუკეთესო საშუალებათ, რომ ინგლისში აბსოლიუტური მმართველობა დაემყარებია. მიუხედავათ იმისა, რომ მას თავისი მახლობლებიც აფრთხილებდენ, ის მაინც თამამად არღვევდა „ტესტ-აკტის“ კანონს და თავისუფლათ ნიშნავდა კათოლიკებს ოფიცრებათ და სახელმწიფო სამსახურზე მოხელეებათ. მეფის უკანონო მოქმედება საერთო უკმაყოფილებას იწვევდა, რითაც ისარგებლა კარლოს მე-II-ის უკანონო შვილმა ჰერცოგმა **მონმუსმა** და ამბოხება მოაწყო. ამბოხებამ მიზანს ვერ მიაღწია. ინგლისელებს არ სურდათ რევოლიუცია, ვინაიდგან ახსოვდათ 1648—1660 წლების მწარე გამოცდილება. მეამბოხენი დამარცხდენ, თვით მონმუსი ტყვეთ წაიყვანეს და აწამეს, მერე მოსამართლე **დჯეფრეისმა** შემოიარა მთელი ის ადგილები, სადაც ამბოხება მოხდა და ყველა, ვისაც კი ოდნავ მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, სასტიკათ დასაჯა. რამდენიმე ათასი კაცი სიკვდილით დასაჯეს, რამდენიმე ციხეში ჩასვეს და ზოგიც გადაასახლეს. დჯეფრეისმა ერთგული მოქმედებისათვის კანცლერის თანამდებობა მიიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბოხების დაცხრომის შემდეგ იაკობ მე-II-ე სრულიადაც აღარ ეშინ-ოდა დებოდა კანონების დარღვევას. ის მუდამ იმის ცდაში იყო, რომ კათოლიკენი სარწმუნოების მხრივ გაეთანასწორებია სხვებთან, და ამიტომ მან გამოსცა განსაკუთრებული დეკლარაცია, რომელიც სარწმუნოებრივ თავისუფლებას ანიჭებდა ყველა ნონკონფორმისტებს. ამით მეფეს სურდა პროტესტანტები მოემადლიერებია, რომ მათ მხარი დაეჭირათ მისთვის, მაგრამ პროტესტანტ ნონკონფორმისტებს იმდენათ სძულდათ პირადათ მეფე, რომ მას მაინც მხარი არ დაუჭირეს; ეპისკოპოსებმაც არ აასრულეს მეფის ბრძანება და დეკლარაცია ეკლესიებში არ წაიკითხეს. მაშინ მეფემ ისინი სამართალში მისცა, მაგრამ ნაფიც მსაჯულებმა მიუხედავათ ზევიდგან მათზე ძალდატანებისა, მაინც მათ შესახებ გასამართლებელი განაჩენი გამოიტანეს. ამგვარათ იაკობ მე-II-მ ეპისკოპალური ეკლესიაც ჩამოიშორა და მასთან ერთად ტორების წრეში გამოჩენილი პირებიც, თუმცა მანამდი ორივე ესენი დიდი ერთგული იყვნენ ტახტისა. მიუხედავათ ამისა, ინგლისელები მაინც არ აპირებდენ მეფის წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლას, ვინაიდგან იმედი ჰქონდათ, რომ მეფის სიკვდილის შემდეგ ტახტი დარჩებოდა მის უფროს ქალიშვილს **მარიამს**, რომელიც თვითონაც პროტესტანტი იყო და ქმარიც—ჰოლანდიის შტატგალტერი **ვილჰელმი**—პროტესტანტი ჰყავდა. მაგრამ 1688 წ. ყველასათვის მოულოდნელათ მეფეს ეყოლა ვაჟიშვილი, რომლის აღზრდაც გადაწყვიტეს წმიდა კათოლიკურ ნიადაგზე მომხდარიყო. ხალხში კი ხმები დადიოდა, რომ ტახტის მემკვიდრე მეფის შვილი კი არ არის, სხვისი ბავშიაო. საერთოდ ხალხის სულიერი მდგომარეობა მრისხანე სახეს იღებდა. მაშინ ტორებისა და ვიგების მეთაურებმა მიმართეს მეფის სიძეს ვილჰელმს და სთხოვეს, რომ ის ინგლისში ჩამოსულიყო, იაკობი ჩამოეგდო და კანონიერი წესწყობილება აღედგინა. ვილჰელმა კარგათ იცოდა საქმეების გარემოება ინგლისში და ამიტომ მიიღო წინადადება და 13.000 ჯარის კაცით ინგლისის ნაპირებს მიადგა. ყოველი მხრიდან მოვიდენ შეიარაღებული აზნაურები თავთავისი ამალით და ვილჰელმის დროშის ქვეშ შეჯგუფდენ; უმცროსი ქალიშვილიც იაკობ მე-II-ისა ანა ვილჰელმის მხარეზე გადვიდა. ყველასგან მიტოვებული იაკობი გაიქცა, მაგრამ გზაზედ დაიჭირეს და ისევ ლონდონში მოიყვანეს. რადგან მოწინააღმდეგეებს არ

სურდათ მისი დალუპვა, მას ისევ საშუალება მისცეს გაქცეულიყო. მარ-ლაც იაკობი ისევ გაიქცა საფრანგეთში, სადაც მეფე ლიუდოვიკ მე-XIV-მ ის ღირსეულათ მიიღო. ვილჰელმმა ინგლისი დაიკავა, სასწრაფოთ შეიკ-რიბა პარლამენტი, რომელმაც ვილჰელმი და მისი ცოლი მარიამი სამე-ფო ტახტის კანონიერ მემკვიდრეებათ იცნო. რევოლიუცია უსისხლოთ დასრულდა, ამიტომაც, ინგლისელების აზრით, მას ეწოდება **დიდი** ანუ **უსისხლო** რევოლიუცია (1688 წ.)

პარლამენტმა ვილჰელმის მეფეთ ცნობამდი შეადგინა განსაკუთრე-ბული **დეკლარაცია უფლებათა შესახებ**. ამ დეკლარაციაში ჩამოთვლი-ლი იყო იაკობ მე-II-ს დროს ჩადენილი ბოროტმოქმედებები, იკრძალე-ბოდა პარლამენტის ნებადაურთავათ გადასახადების და ჯარის შეკრება. მეფეს არ ჰქონდა უფლება კანონის მოქმედება სადმე ან როდისმე შეე-ჩერებიოს (სუსპენსიური უფლება) ან რომელიმე მოქალაქე კანონის ას-რულების მოვალეობისაგან განეთავისუფლებიოს (დისპენსიური უფლება). უკმაყოფილო ქვეშევრდომს ნება ეძლეოდა პარლამენტში თხოვნის მი-ცემისა; სარწმუნოებრივი თავისუფლება უნდა მინიჭებოდა ყველა პრო-ტესტანტს, შემდეგ წელში (1689) ეს დეკლარაცია „**უფლებათა ბი-ლის**“ სახელწოდებით მეფემაც და პარლამენტმაც დაამტკიცა. ვილჰელმმა სავსებით გაამართლა მაზე დამყარებული იმედები. მან ოსტატურათ ჩა-აქრო მისი მეფობისათვის სახიფათო ირლანდიის ამბოხება, რომელიც მო-უწყეს მას იაკობმა და ლიუდოვიკ მე-XIV-მ, ამასთანავე საფრანგეთთან ატეხილი ომი ინგლისისათვის სასარგებლოთ დაასრულა. იმავე წელს „უფლე-ბათა ბილის“ მიღებასთან განაცხადა სარწმუნოებრივი თავისუფლება ყვე-ლა პროტესტანტ ნონკონფორმისტებისთვის და ამით სამუდამოთ მოსპო პროტესტანტთა უმეტესობის უკმაყოფილება.

1701 წ. პარლამენტმა გამოსცა კანონი ე. წ. „**აქტი ტახტის მემ-კვიდრეობაზე**“, რომლის ძალით სტიუარტები ტახტის მემკვიდრეთა სია-დან სრულიად გამოირიცხენ. ამასთანავე დაადგინეს, რომ ამიერიდან ინგ-ლისის მეფე პროტესტანტთაგან უნდა ყოფილიყო და ვილჰელმის ცო-ლის—ანას სიკვდილის შემდეგ ინგლისის ტახტზე უნდა ასულიყო იაკობ I მონათესავე განოვერთა კურფიურსტების ოჯახის შვილი. გარდა ამისა, ამ „აქტით“ ინგლისის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში შემოდიოდა ორი

ფრიად მნიშვნელოვანი პრინციპი: მოსამართლეების გამო უცვლელობა და მინისტრების პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე.

„ტახტის დაკავების აკტი“-თ დასრულდა ინგლისში მთელი რიგი სხვადასხვა დროს გამოცემული კანონებისა, რომლებიც უზრუნველყოფდა ინგლისის სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას. 1215 წელს გამოცემული თავისუფლების დიდი ხარტია ზღუდავდა მეფის თვითნებობას. 1628 წ. გამოცემული „უფლებათა პეტიცია“ აღნიშნავდა თავისუფლების ორ უმთავრეს პირობას: 1) პარლამენტის ნებადაურთველათ არ შეიძლებოდა გადასახადების შეკრება. 2) უმიზეზოთ მოქალაქეს ვერავინ დაატყვევებდა და სასამართლოზე ზევიდან გავლენას ვერავინ მოახდენდა. 1679 წ. გამოცემული „ლაბეას კორპუსი“ მიმართული იყო თვითნებობით დატყვევების საწინააღმდეგოთ და ამან სამუდამოთ დაადასტურა პიროვნების ხელშეუხლებლობა. 1689 წ. „უფლებათა ბილი“-თ სამუდამოთ ბოლო მოეღო პარლამენტის ნებადაურთველათ გადასახადების შეკრებას და მეფის უფლებით კანონების დარღვევას, რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო (დისპენსიური თუ სუსპენსიური) 1701 წ. გამოცემულმა „აკტმა ტახტის მემკვიდრეობაზე“ სამუდამოთ მოსპო სასამართლოზე ზეგავლენა და მინისტრები პარლამენტის მუდმივ კონტროლს დაუმორჩილა. ინგლისის მეორე რევოლიუცია, რომელმაც პარლამენტის აკტით მეფობა ვილჰელმს გადასცა, სამუდამოთ დაამყარა ინგლისში პარლამენტის უპირატესობა მეფის უფლების წინაშე.

მესამე თავი.

გერმანია აბსოლიუტიზმის ეპოქაში.

პრუსია-ბრანდერბურგის გაძლიერება. დიდი კურფიურსტები.

ვესტფალიის ზავის შემდეგ გერმანია დაიყო რამდენიმე სამთავროთ და სახელმწიფოთ, რომელთა შორის პირველი ადგილი პრუსია-ბრანდერბურგის სახელმწიფოს ეკავა. ეს სახელმწიფო წარმოსდგა ბრანდერბურგის მარკიდგან, რომელიც მდებარეობდა ელბა-ოდერ შუა და $4^1/_2$ საუკუნის განმავლობაში თანდათან ვითარდებოდა. 1356 წ. ოქროს ბულამ ბრანდენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურგის მარკგრაფს კურფიურსტის ღირსება მისცა. 1415 წ. იმპერატორ-
მა სიგიზმუნდმა ეს მარკა და კურფიურსტის წოდება უბოძა ნიურენ-
ბურგელ ბურგრაფს **ფრიდრიხ გოგენცოლერნს** და იმ დროიდან ეს გვა-
რეულობა განაგებდა ამ მხარეს. მე-XVII-ე საუკ. დასაწყისში ბრანდერ-
ბურგის საკურფიურსტოს მიემატა მდ. რეინის ახლო მდებარე მიწები და
ალმოსავლეთ პრუსიის საჰერცოგო, სადაც ალბრეხტ გოგენცოლერნის
შთამომავლობა შეწყდა. ბრანდენბურგის კურფიურსტები, როგორც ჰერ-
ცოგები ალმოსავლეთ პრუსიისა, პოლონელი მეფის ვასალები შეიქნენ.
ვესტფალიის ზავით ბრანდენბურგის კურფიურსტმა ალმოსავლეთ პომერა-
ნია მიიღო, რომელიც მარკას გვერდით მდებარეობდა და სამი საეპისკო-
პოსი: მაგდებურგის, გალბერშტადის და მინდენისა.

მამულების გაფანტულად ქონება გოგენცოლერნების წინაშე ძალიან
სამძიმო საკითხს აყენებდა, სახელდობრ ყველა მამულების გაერთიანებას
და ერთ ფარგლებში მოქცევას. ამ მიზნის განსახორციელებლად აუცი-
ლებელი იყო მეზობელ სახელმწიფოებთან ბრძოლა. ასეთი სახელმწიფო-
ები იყვნენ ერთის მხრივ შვეცია და პოლონეთი, რომლებსაც უნდა და-
ეთმოთ ნაწილი თავისი მამულებისა და მეორეს მხრივ ავსტრია და საფ-
რანგეთი, რომლებსაც არ სურდათ ბრანდენბურგის გაძლიერება. ამისა-
თვის საჭირო იყო, რომ პრუსიას ჰყოლოდა ჯარი რიცხვითაც მეტი და
ღირსებითაც უკეთესი, ვინემ მის მეზობლებს. ასეთი ჯარის შენახვა კი
სამძიმო იყო სახელმწიფოსთვის და რომ სახელმწიფოს ეს შესძლებოდა,
ამისათვის გოგენცოლერნები იძულებულნი იყვნენ მუდამ ეზრუნათ ხალ-
ხის მატერიალურ კეთილდღეობაზე და თავის პირადსა და სასახლის ხარ-
ჯებში დიდი ეკონომია გაეწიათ.

ამგვარად შეიქმნა ერთგვარი სამხედრო-სამეურნეო სისტემა მართვე-
ლობისა, რომლითაც პრუსია ბრანდენბურგის ყველა მეფენი ხელმძღვანე-
ლობდენ.

გოგენცოლერნებს რომ წარმატებით ეწარმოებიათ ეს პოლიტიკა,
საჭირო იყო მათთვის მეტი თავისუფლება, რასაც ისინი წინეთ მოკლე-
ბულნი იყვნენ, ვინაიდან მათ უფლებას რავდენათმე ზღუდავდენ სახელ-
მწიფოს სხვადასხვა ნაწილის წოდებათა წარმომადგენელნი. ეს წარმომად-
გენელნი უმეტესად ადგილობრივ ინტერესებს იცავდნენ, გოგენცოლერ-

ნები კი უმთავრესად სახელმწიფო მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ. ეი ამ ნიადაგზე იწყებოდა მათი ბრძოლა წოდებათა წარმომადგენლებთან და სურვილი აბსოლიუტური მართველობის დამყარებისა.

ამგვარად გოგენცოლერნების შინაური მართველობის დამახასიათებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს აბსოლიუტურად მართვა, რაც ადვილად დაამყარებდა სახელმწიფოში ერთფეროვან წესწყობილებას.

ყველა ამ ტენდენციების გამომხატველი და ნამდვილი შემქმნელი ბრანდენბურგის ძლიერებისა იყო **ფრიდრიხ-ვილჰელმ** I-ი, **დიდ კურფიურსტად** წოდებული (1640 – 1688 წ.)

ის ავიდა ტახტზე მაშინ, როცა პრუსია და ბრანდენბურგი ოცდაათწლიანი ომისაგან ძალზე დაზარალებულნი იყვნენ და გარდაიცვალა იმ დროს, როცა სახელმწიფო აყვავებული იყო; გარდა იმისა, რომ ბრანდენბურგმა გერმანელ სამთავროთა შორის პირველი ადგილი დაიკავა, მას ჰქონდა სავსე ხაზინა და ჰყავდა სამაგალითოდ გაწრთვნილი მუდმივი ჯარი, რომლის რიცხვიც კურფიურსტმა 30000-მდი აიყვანა.

საიმედო ჯარზე დამყარებულმა კურფიურსტმა დიდ მიზნებს მიაღწია საგარეო პოლიტიკაში. 1) მან ვესტფალიის ზავით ზემოთ მოხსენებული მიწები მიიღო; 2) ჩაერია შვეცია-პოლონეთის ომში და მოხერხებულათ ხან ერთს ეხმარებოდა, ხან მეორეს და ბოლოს ოლივის ზავით (1660 წ.) სრული დამოკიდებულობა მიიღო, მისი სუვერენობა იცნეს აღმოსავლეთ პრუსიაში; 3) მან ენერგიული მონაწილეობა მიიღო ლიუდოვიკ მე-XIV-ე საწინააღმდეგოთ დაწყებულ მეორე ომში; ლიუდოვიკის მოკავშირედ შვეცია გამოვიდა. რეინიდან რომ კურფიურსტის ძალები გაებნია, ლიუდოვიკმა მიუსია მას შვედები, რომლებიც კურფიურსტმა ძალზე დაამარცხა ფერბელინთან (1675 წ.). შემდეგ შეუჩერებელი წინსვლით წაართვა მათ დასავლეთი პომერანია, რუგენის კუნძული, ქალაქები შტეტინი და შტრალზუნდი, ასე რომ თვით რიგას უახლოვდებოდა. მართალია, საფრანგეთის ზეგავლენით ის იძულებული შეიქნა უარი ეთქვა დაპყრობილ ადგილებზე, გარდა ოდერის შესართავის მარჯვნივ მდებარე ვიწრო ნაპირის გამყოლ ადგილისა, მაგრამ ასეთმა ბრწყინვალე გამარჯვებამ ჯარის ღირსებაც გამოაჩინა და იმასაც სახელი გაუთქვა, ამიტომაც ის მთელ გერმანიაში დიდი გავლენიანი მთავარი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო მოქმედებებმა არ შეუშალეს ხელი კურფიურსტს, რომ-მას ბევრი რამ გაეკეთებია სახელმწიფოს შინაური წარმატებისათვისაც. მან გააუქმა წოდებათა წარმომადგენლების ინსტიტუტი და შემოიღო სამაგალითო წესი შინაგანი მართვა-გამგეობისა. სამეურნეო პოლიტიკაში ის მერკანტელიზმს ემყარებოდა, თუმცა ცდილობდა, რომ ცუდი გავლენა არ ჰქონოდა მიწადმოქმედებაზე; პირიქით მიწადმოქმედებას დიდად შეუწყო ხელი მით, რომ ოცდაათწლიანი ომის დროს დაცარიელებულ ადგილებში ახალშენები მოაწყო. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას ძლიერ შეუწყო ხელი გზების და არხების გაკეთებამ და ფოჩტის დაწესებამ. კურფიურსტი ოცნებობდა ახალშენების შეძენაზე და ამისთვის ფლოტიც გაიჩინა, მაგრამ ეს განზრახვა არ განხორციელდა.

ვაჭრობა-მრეწველობას და გონებრივი ცხოვრების განვითარებას დიდი სარგებლობა მოუტანეს გუგენოტებმა, რომელნიც გამოდევნა საფრანგეთიდან ლიუდოვიკ მე-XIV-ემ და კურფიურსტი კი მათ სიამოვნებით ღებულობდა. გუგენოტებმა თან მოიტანეს აქ ცოდნა, გემოვნება და შრომის-მოყვარეობა სავაჭრო და სამრეწველო საქმეებისა. თუმცა კურფიურსტი დევნილ გუგენოტებს ღებულობდა და მფარველობდა, მაგრამ ადგილობრივ კათოლიკებსაც სრულ სარწმუნოებრივ თავისუფლებას აძლევდა, ბოლოს ყოველ უფლებაში გაათანასწორა კალვინისტები და ლიუტერანები. სწორეთ სარწმუნოებრივი თავისუფლების დაცვით განირჩევა ფრიდრიხის აბსოლიუტიზმი ლიუდოვიკ მე-XIV-ის აბსოლიუტიზმისაგან.

ფრიდრიხ-ვილჰელმ I-ს თავისი მოღვაწეობისათვის სამართლიანად მიანიჭეს დიდი კურფიურსტის სახელწოდება.

დიდი კურფიურსტის უახლოესი მემკვიდრენი. ავსტრია მე-XVII-ე საუკ. მეორე ნახევარში.

დიდი კურფიურსტის მემკვიდრე **ფრიდრიხ მე-III-ე** სასახლეში ფართოთ ცხოვრების მოყვარული და თანაც ფულის მფლანგველი იყო. ფრიდრიხი დაჰპირდა იმპერატორ **ლეოპოლდ I-ს**, რომ თურქების საწინააღმდეგო ომში მოგვეხმარებიო; ამ დაპირებისთვის ლეოპოლდი დასთანხმდა, რომ ფრიდრიხს მეფის ტიტული მიეღო. ფრიდრიხი დიდის ზეიმით ეკურთხა მეფედ პრუსიის სატახტო ქალაქ კენინსბერგში (1701 წ.)

ფრიდრიხი ჰბაძავდა ლიუდოვიკ მე-XIV-ს და დიდ მფარველობას უწევდა მეცნიერებას და ხელოვნებას. ამ საქმეში მას მხარს უჭერდა მეუღლე სოფიო შარლოტი, რომელიც მეგობრულ განწყობილებაში იყო ფილოსოფოს ლეიბნიცთან. ლეიბნიცის თავმჯდომარეობით დაწესდა მეცნიერების მოყვარულთა საზოგადოება ბერლინში. გალლეში გაიხსნა უნივერსიტეტი. ფრიდრიხ მე-III-ის შვილი და მემკვიდრე **ფრიდრიხ-ვილჰელმ I** სრულიად არ წაგავდა მამას, პირიქით მას სძაგდა ფუფუნება და მდიდრული ცხოვრება, მას არ ესმოდა მეცნიერება და ხელოვნება, მაგრამ ის დიდად დაინტერესებული იყო სამხედრო და სამეურნეო საკითხებით.

ტახტზე ასვლისთანავე მან გარეკა სასახლის ზედმეტი მოსამსახურენი და ხარჯებში დიდი ეკონომია დაიკავა. თავის მინისტრებს და მოხელეებს ეჭვის თვალით უყურებდა და ამიტომ თვით მეფე მუდმივ ათვალიერებდა თავის სამეფოს, ახლო ეცნობოდა მართველობის საქმეებს, სკოლებში რევიზიას აწყობდა, ნახულობდა ადგილობრივ გარნიზონებს, დაწვრილებით ეცნობოდა მეურნეობას და სასტიკად სჯიდა ყველას, ვინც სამსახურში უწესოებას ჩაიდენდა, განსაკუთრებით სდევნიდა მექრთამეობას; მექრთამეს სასწრაფოდ ახრჩობდა. უბრალო დანაშაულისათვის თვითონაც ჯოხით სცემდა ხოლმე დამნაშავეს. სამაგიეროთ მან შექმნა პატიოსანი და საქმის მცოდნე მოხელეობა და საქმის წარმოებაში მშვენიერი წესრიგი. პაპამისივით ის უმთავრეს ყურადღებას აქცევდა ჯარს, რომლის მუდმივი რიცხვი 80000-დი აიყვანა, რაც იმ დროს უდიდეს რიცხვად ითვლებოდა. მეფეს თავისი პოლკიც ჰყავდა, რომელშიაც მხოლოდ მაღალს და წარმოსადეგ ახალგაზრდებს ღებულობდა, ეძებდა მათ, სადაც კი შეხვდებოდა და ამისთვის ის ფულს არ ზოგავდა. სამხედრო ხარჯებს არ შეუშლია მისთვის ხელი, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის სხვა დარგებშიაც დიდი ხარჯები არ გაეწიოს. ის, როგორც პაპა მისი, ახალშენებს აწყობდა, ცარიელ ადგილებზე აშენებდა მოსახლეობას, აუმჯობესებდა სახალხო მეურნეობას, იძენდა საუკეთესო იარაღებს და სიამოვნებით ღებულობდა სამშობლოდან გამოქცეულ პროტესტანტებს (ზალცბურგელებს). არც სარწმუნოებრივი თავისუფლების დამყარებაში ჩამოუვარდებოდა ის თავის პაპას; იმან ნებაც კი დართო კათოლიკებს, რომ ბერლინში საკუთარი საყდარი აეშენებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიდრიხ-ვილჰელმ I-ის საგარეო პოლიტიკიდან აღსანიშნავია
ბალტეთ პომერანიის შეძენა.

სასახლის ხარჯებში გონიერი ეკონომია, სამაგალითო მართველობა, მზრუნველობა ჯარზე და ხალხის ქონებრივ წარმატებაზე. ამასთანავე სარწმუნოებრივი თავისუფლება, — აი დამახასიათებელი თვისებანი პრუსიის აბსოლუტიზმისა. უცვლელად დარჩა იგი ფრიდრიხ-ვილჰელმის I-ის შვილის ფრიდრიხ მე-II-ის დიდის დროსაც, როცა პრუსია დიდ სახელმწიფოთა რიცხვში შევიდა.

იმ დროს, როცა ბრანდენბურგ-პრუსია გაძლიერდა, დიდი ცვლილება მოხდა გაბსბურგთა მამულებში, რომლებიც გერმანეთის აღმოსავლეთით იყო. 1438 წ.-დან გაბსბურგებს განუწყვეტლივ იმპერატორის ტახტი ეკავათ და ამ ხნის განმავლობაში უმთავრესად ისინი ცდილობდნენ თავისი მდგომარეობა იმპერიაში საკმაოდ გაემაგრებიათ. მათი მამულის გაფართოვებას აღმოსავლეთით ე. ი. იმ ქვეყნების დაპყრობას, რომლებიც ახლა უნგრეთში შედის, ხელს უშლიდნენ თურქები (თათრები). თათრების ბატონობამ და ძლიერებამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია 1683 წ., როდესაც იგინი შეეცადენ ვენის აღებას, მაგრამ პოლონეთის მეფის **იან სობესკის** შემწეობით გაბსბურგებმა თურქები კვლავ დაამარცხეს. თათრების დამარცხების შემდეგ იმპერატორი ლეოპოლდ I-ლი ზოგიერთი მთავრების დახმარებით შეტევაზე გადავიდა და რამდენიმე გამარჯვების შემდეგ აიღო ბუდაპეშტი და მთელი უნგრეთი დაიპყრო. ამ ომში განსაკუთრებით თავი ისახელა პრინცმა ევგენი სავოელმა. 1699 წ. კარლოვიცაში შეიკრა ზავი, რომლის ძალითაც თათრებმა დაუთმეს ავსტრიას თითქმის მთელი უნგრეთი და შვიდქალაქეთი. კიდევ ადრე, ომის დროს უნგრების სეიმმა აღიარა, რომ უნგრეთის ტახტი გაბსბურგების გვარის მამრობით შტოს სამემკვიდროთ დარჩენოდა. ასე წარმოსდგა ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფო. ამ ახლად შეძენილმა ადგილებმა კიდევ უფრო გააძლიერა გაბსბურგები, ვინაიდგან ისინი ვეებერთელა სახელმწიფოს მბრძანებელნი შეიქმნენ. ამ დროიდგან უმთავრესი ინტერესი გაბსბურგებისა აღმოსავლეთისკენ იხრება და იმავე დროს სუსტდება მათი გავლენა გერმანიაში, სადაც თანდათანობით ხელმძღვანელობითი როლი პრუსიაზე გადაღის.

112

ს ა რ ჩ ე ვ ი.

გვერდი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რენესანსი ანუ განახლების ხანა.

პირველი თავი.

ჰუმანიზმი. . . . . 3.

მეორე თავი

გერმანია მეთუთხმეტე საუკუნის ბოლოს და მეთექვსმეტე საუკუნ. დასაწყისში. ლიუტერანული რეფორმაცია. . . . 16.

მესამე თავი.

რეფორმაცია შვეიცარიაში. კალვინიზმი. რეფორმაცია ინგლისში. 31.

კათოლიკური რეაქცია

პირველი თავი.

რეაქციის ხასიათი და უმთავრესი იარაღი. . . . 39

მეორე თავი.

ისპანია და ნიდერლანდი კათოლიკური რეაქციის დროს. . 45.

მესამე თავი

ინგლისი და შოტლანდია კათოლიკური რეაქციის დროს. . 53.

მეოთხე თავი.

საფრანგეთი კათოლიკური რეაქციის დროს. . . . 57.

მეხუთე თავი

უკანასკნელი ბრძოლა კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის გერმანიაში. შვეციის ამაღლება. . . . . 61.

აბსოლიუტიზმის განვითარების ეპოქა და საფრანგეთის პირველობა ევროპაში.

პირველი თავი.

აბსოლიუტიზმის განვითარება საფრანგეთში. . . . 66.

მეორე თავი.

ბრძოლა აბსოლიუტიზმსა და პარლამენტს შორისინგლისში. . 87.

მესამე თავი.

გერმანია აბსოლიუტიზმის ეპოქაში. . . . . 106.

1920-93

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისი. თ. ა. მთავრიშვილის ამხანაგობის გამოცემანი

1 გორგაძე ს. რ. კაზმულსიტყვიერებითი ქრისტომატია, ჩვენი ახალი მწერლობა, მეორე გამოცემა, წიგნი I, 200 მ. 5120

2 მისივე. კაზმულსიტყვიერებითი ქრისტომატია ჩვენი ახალი მწერლობა. წიგნი მეორე 300 მ. 5339

3 მისივე ჩვენი მწერლობა, ქრისტომატია მერვე კლასის კურსი, წიგნი მეოთხე. 200 მ. 5340

4 მისივე. საქართველოს ძველი ისტორია არაბების შემოსვლამდე. 100 მ. 5549

5 პროფ. ვულფიუსი. საშუალო ისტორიის სახელმძღვანელო. მეორე გამოცემა 100 მ. 5353

6 ზალიშვილი ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია მეორე გამოცემა 60 მ. 5356

7 მისივე. პირველდაწყებითი გეოგრაფია, სამშობლოსი და სხვა ქვეყნების მოკლე აღწერითი კურსი 100 მ. 5357

8 ექიმი ევსევი ლოსაბერიძე. ანატომია და ფიზიოლოგია ჰიგიენით — საშუალო სასწავლებლის კურსი 50 მ. 5382

9 რუსთაველი შ. ვეფხის-ტყაოსანი, სიტყვების განმარტებით 100 მ. 5258

10 არველაძე, კ. არითმეტიკის პროგრამმა პირველი სამი წლის კურსისა 31 ტიპიური კონსპექტით და მეთოდურის შენიშვნებით 35 მ. 5391

11 კათალიკოზ კირიონ მე-II-ე და გრ. ყიფშიძე. სიტყვიერების თეორია. 100 მ. 5619

12 გ. ჯანაშვილი. საქართველოს გეოგრაფია, მეშვიდე კლასის კურსი. 100 მ. 5771

13 ზაალიშვილი მ. მოკლე სახელმძღვანელო ბუნების-მეტყველებისა, ორგანოვანი ბუნება. ზოოლოგია. მეორე გადათვალიერებული გამოცემა. 100 მ. 5581

14 პროფ. ვულფიუსი. ახალი ისტორია, მე-6-ე კლასის კურსი. 120 მ. 5580

15 შაპოშნიკოვი და ვალცოვი. კრებული ალგებრული ამოცანებისა, მესამე კლასის კურსი. 125 მ.

იბეჭდება.

1 გორგაძე ს. კაზმულსიტყვიერებითი ქრისტომატია, ჩვენი ხალხური პოეზია პარალელებით ახალი ქართ. მწერლ. წიგ. III

2 რუხაძე. საქართველოს გეოგრაფია, მეოთხე კლასის კურსი.

3 პროფ. ბროუნოვი. საზოგადო გეოგრაფიის სახელმძღვანელო (ფიზიკური გეოგრაფია) ნათ. ექ. ყიფშიძის მიერ 5520

4 შაპოშნიკოვი და ვალცოვი. არითმეტ. ამოცანათა კრებული, მეორე კლასის კურსი